საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა


# ლელო

ყაზბეგი

№060 (12 130) 14 მარტი ოთხშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი




## დაველოდოთ 18 მარტს

თუ მილანის შემადგენლობაში მოვხვდი, ნაკრებშიც ვითამაშებ

2

## კოკაი შესანიშნავ შვიდეულში



## ლევან ცაგურია სამი მოგებით ლიდერობს

11

## კრუიფი ბარსელონას აკრიტიკებს

6

ჭადრაკი. დღეს გამოვლინდება საქართველოს ქალთა ჩემპიონი და დაიწყება ვაჟთა ჩემპიონატი

# ჯავახიშვილი vs ხუხაშვილი
# აზმაიფარაშვილი vs ფედერაცია



**ზურაბ აზმაიფარაშვილის პირობა საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობის სანაცვლოდ:** ევროპის ჩემპიონატზე დაფინანსება ჭადრაკის ფედერაციისგან; სასტუმროს 105-ევროიან ნომერში ცხოვრება

**ფედერაციის პასუხი:** ევროპის ჩემპიონატზე დაფინანსდება მხოლოდ ეროვნული პირველობის პირველი სამეული; ყველასთვის 63-ევროიანი ნომრებია გათვალისწინებული

**აზმაიფარაშვილი:** საქართველოს ჩემპიონატში არ ვითამაშებ. ალბათ, იძულებული გავხდები, სხვა ქვეყნის ფედერაციას მივმართო და მისი სახელით ვიასპარეზო ევროპის ჩემპიონატებსა და სხვა ტურნირებში

11

სოფიკო ხუხაშვილი და ლელა ჯავახიშვილი ჩემპიონის ვინაობას დამატებით მატჩში გაარკვევენ

TOKYO JAPAN 2007 World Figure Skating Championships

ფიგურული ციგურაობა. მსოფლიო ჩემპიონატი

# ვინ მოიგებს ტოკიოში?

## ელენე გედევანიშვილს ფავორიტთა შორის ასახელებენ

იაპონიის დედაქალაქი 19-25 მარტს ფიგურულ ციგურაობაში მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლებს. ტურნირში მონაწილეობას ქართველი სპორტსმენი **ელენე გედევანიშვილიც** მიიღებს. ქალთა შორის ჩემპიონატში 38 ქვეყნის 48 წარმომადგენელი ისრიალებს. 17 წლის ქართველი მოკლე პროგრამას კვლავ პოლ მორიას "ორი გიტარის" მუსიკის ფონზე შეასრულებს, თავისუფალ პროგრამაში კი კვლავ "ფლამენგო ფანტაზის" გამოიყენებს. ელენემ შარშან პირველად იასპარეზა მსოფლიო ჩემპიონატზე და მე-14 ადგილი დაიკავა. ქალები ჩემპიონატში 23 მარტს ჩაებმებიან, თავისუფალი პროგრამა კი 24 მარტს დაასრულებს ტურნირს.

მიმომხილველები ჩემპიონობის მთავარ ფავორიტებად იაპონელ **მაო ასადას**, კორეელ **იუ-ნა კიმს** და ამერიკელ **კიმ მაისნერს** მიიჩნევენ. როგორც ხედავთ, სიაში არცერთი ევროპელი არაა. 16 წლის ვუნდერკინდი ასადა შინაურ ასპარეზზე სამართლიანად ითვლება ოქროს მედლის მოპოვების უმთავრეს პრეტენდენტად. მით უფრო, რომ ახლახან იაპონიის ჩემპიონატში მან 211 ქულით იმარჯვა, თანაც უახლოეს მდევარს 25 ქულით გაუსწრო. თუკი ასადა გამარჯვებას ვერ შეძლებს, კიდევ ერთი ფავორიტი მასზე 20 დღით უფროსი კორეელი კიმია, რომელიც შარშან მსოფლიოს ჩემპიონი გახდა ახალგაზრდებში. ასადა და კიმი შარშან ოლიმპიადაზე ასაკობრივი ცენზის გამო ვერ გამოვიდნენ. კიმ მაისნერი მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონია. ამერიკელი წლეულს კარგ ფორმაში არაა, თუმცა ყველამ კარგად იცის მისი მებრძოლი ხასიათის შესახებ. "გოლდენ სკეიტი" სხვა სავარაუდო ფავორიტთა შორის იაპონელ **მიკი ანდოს** და იტალიელ **კაროლინა კოსტნერს** ასახელებს. მედლების მოპოვება იმავე "გოლდენ სკეიტის" აზრით შეუძლიათ **იუკარი ნაკანოს** (იაპონია), **ემილი ჰიუზს** (აშშ), **ალისა შჩისნის** (აშშ), **ჟანი როშეს** (კანადა), **სარა მაიერს** (შვეიცარია) და ელენე გედევანიშვილს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ესპანეთი და პორტუგალია გამოირიცხა. თბილისში ჩამოსვლა ირანის ნაკრებს სურს

დავით ცაბაძე

ბრაზილიელებს ქართულ მხარესთან თავდაპირველად შეთანხმებული ფინანსური და სხვა სახის პირობები რომ არ შეეცვალათ, 22 აგვისტოს, თბილისში მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონებს ვიხილავდით, მაგრამ... ბრაზილიასთან თამაში ხომ გამოირიცხა, ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობის განცხადებით, ასევე გამორიცხულია პორტუგალიისა და ესპანეთის ნაკრებების სტუმრობაც. შესაბამისად, დარჩა 5 ვარიანტი - ჩილე, კოლუმბია, პარაგვაი, ხორვატია და უელსი. თუმცა ამ ხუთეულს გუშინ ირანის სახით კიდევ ერთი დაემატა.

3

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
პროფესიონალური ფეხბურთის ლიგა
www.pfl.ge

19-წლამდელთა ნაკრებები

# გერმანიაში რუმენიგე დაგვიხვდება

ხუთიოდე დღეც და ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდში გასული საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები მოსამზადებელი შეკრებისთვის გერმანიას გაემგზავრება. **ჰაინც ტოპმიოლერის** გუნდი თბილისიდან კვირას ღამით გაფრინდება და გერმანიის ბიტბურგის სპორტკომპლექსში შეიკრიბება. 21 მარტს ჩვენი ჭაბუკთა ნაკრები გერმანელ თანატოლებს დაუპირისპირდება. ქართველებთან მატჩისთვის გერმანიის ჭაბუკთა ნაკრების თავკაცმა **ფრანკ ენგელმა** უკვე დაახსახელა შემადგენლობა:

მეკარეები: **მარტინ მენელი (კოტბუსი), სვენ ულრაიხი (შტუტგარტი).**

მცველები: **ჯერომ ბოატენგი (ჰერტა), ალექსანდერ ებერლაინი (მიუნხენ 1860), არნი ფაიკი (კოტბუსი), ბენედიქტ ჰიოვედესი (შალკე), მარკო რუმენიგე (დორტმუნდი), დანიელ შვააბი (ფრაიბურგი).**

ნახევარმცველები: **ენის ბენ-ჰატირა (ჰამბურგი), სერგეი ევლიუშკინი (ვოლფსბურგი), მაქს კრუზი (ვერდერი), მესუთ იოზილი (შალკე), მანუელ შმიდებახი (ჰერტა).**

თავდამსხმელები: **მანუელ ფიშერი (შტუტგარტი), კევინ შინდლერი (ვერდერი), დენის შმიდტი (ლევერკუზენი), სებასტიან ტირალა (დორტმუნდი).**

გერმანიის საფეხბურთო კავშირის ოფიციალურ ვებგვერდზე, ამ შემადგენლობის გარდა, მეტოქის მოთამაშეთა სტატისტიკური მონაცემებიც მოვიძიეთ. როგორც ირკვევა 19 წლამდელთა ნაკრებში ყველაზე მეტი, 10 მატჩი "ჰერტას" მცველ **ჯერომ ბოატენგს** აქვს ჩატარებული და თავს ორი გოლით იწონებს. ყველაზე მეტი 5 გოლი, 6 მატჩში კი "დორტმუნდის" ფორვარდ **სებასტიან ტირალას** ანგარიშზეა.

ბრემენის "ვერდერის" ოფიციალური ვებგვერდი კი 19-წლამდელთა ნაკრებში გუნდის ორი ფეხბურთელის გამოძახების შესახებ იტყობინება. იქვე საიტი გვამცნობს, რომ გერმანია-საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებების მატჩი უძველეს ქალაქ ბადემსში გაიმართება და ადგილობრივი დროით 18 საათზე (21 საათი თბილისის დროით) დაიწყება.

გერმანულ შეკრებაზე ჰაინც ტოპმიოლერის გუნდი, ფრანკ ენგელის კრებულთან გაჯიბრების გარდა, კიდევ ორ ამხანაგურ მატჩს გამართავს. 25 მარტს ჩვენი 19-წლამდელების მეტოქე ლუქსემბურგის უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე "ვიქტორია როსსპორტი" იქნება. ეს შეხვედრა ლუქსემბურგში ჩატარდება და თბილისის დროით 19 საათზე დაიწყება. 28 მარტს კი ჩვენი ნაკრები ლუქსემბურგის 19 და 21-წლამდელთა გაერთიანებულ გუნდთან მოსინჯავს ძალებს.

დაბოლოს, როგორც შევიტყვეთ, გერმანული შეკრებისთვის ნაკრებში გამოძახებულთა საბოლოო შემადგენლობას ჰაინც ტოპმიოლერი და სამწვრთნელო შტაბი დღეს-ხვალ დაასახელებს.

**დავით ცაბაძე**

ჩვენი მეტოქე გერმანიის ჭაბუკთა ნაკრები



ეროვნული ნაკრები

# კახა კალაძე: კვირას თუ ვითამაშებ...

გუშინდელ ნომერში ეროვნული ნაკრების კაპიტან **კახა კალაძესთან** ინტერვიუ შემოგთავაზეთ. ჩემპიონთა ლიგაზე გლაზგოში გამართულ მატჩში მიღებული აქილევსის მყესის ტრავმის გამო, საქართველოს ნაკრების კაპიტანს კარგა ხანია "მილანშიც" არ უთამაშია. როგორც თავად კახამ გვითხრა, ექიმები მას დიდ დატვირთვას აქამდე უკრძალავენ, ის კვლავაც აგრძელებს მკურნალობის კურსს და მწყობრში ჩასადგომად მინიმუმ ერთი კვირა კიდევ ესაჭიროება. შესაბამისად, შოტლანდია-საქართველოს მატჩში მის მონაწილეობა ეჭვქვეშ დადგა. მართალია თავად კალაძეს კვლავაც აქვს ეროვნულ ნაკრებში 24 მარტს თამაშის იმედი, მაგრამ ჩვენ მიერ მოპოვებულ ცნობათა თანახმად, ეს თითქმის გამორიცხულია. ამ ამბავს რეზონანსი უკვე მოჰყვა და გუშინ "მილანის" ქართ ელ მცველს ნაკრები გუნდების მენეჯერი **თამაზ ბოკერია** ესაუბრა. ვითარებაში უკეთ გასარკვევად ბოკერიას შევეხმიანეთ.

*"დიახ, კახას ტელეფონით ვესაუბრე. ის უკეთ გრძნობს თავს, მაგრამ შოტლანდიის ნაკრებთან თამაშის გარანტიის მოცემა რაღა თქმა უნდა უჭირს...*

*ბოლოს კალაძემ მითხრა უახლოეს ტურში თუკი ვითამაშებ ან სათადარიგოთა შორის მაინც ვიქნები, ეროვნულშიც ვითამაშებო. იმედია, კახა გამოჯანმრთელებას მოასწრებს. მისი საკითხი ამ დღეებში საბოლოოდ გაირკვევა"*, - გვითხრა თამაზ ბოკერიამ.

მომავალ ტურში "მილანი" "ატალანტას" მასპინძლობს და ისღა დაგვრჩენია, ვიმედოვნოთ, რომ ქართველი მცველი გუნდის საამმატჩო განაცხადში მოხვდება.

უქმობის პერიოდში კალაძეს "სპორტ-ექსპრესი" დაუკავშირდა.

## რონალდოს მხარში მდგომნი

**კახა კალაძისა და რუსული "სპორტ-ექსპრესის" კორესპონდენტის საუბარი ქართულ თემატიკას არ შეხებია, მაგრამ "ინტერთან" მატჩის წინ ჩაწერილი ინტერვიუ მაინც საინტერესო გამოვიდა. მთავარი თემა "მილანი" იყო.**

**- გაგეხარდათ, ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალიდან "ვალენსიამ" "ინტერი" რომ გამოაგდო?**

- რა თქმა უნდა. "ინტერი" ხომ ჩვენი პრინციპული მეტოქეა, სულაც არ გვსურდა, მას ლიგაშიც გადავყროდით. ძალიან კარგია ისიც, მერვედფინალიდან "არსენალი" და "რეალი" რომ გავარდნენ.

**- ესე იგი, "ინტერის" ჩემპიონობაც გეწყინებათ.**

- სულაც არა. მათ ხომ სკუდეტო 1989 წლის მერე არ მოუგიათ. იმ დროს 11 წლის ვიყავი და სკოლაში დავდიოდი.

**- ერთ დროს "სან სიროზე" "მილანის" გასახდელი შავ-წითელი სავარძლებით იყო განყობილი, "ინტერის" გასახდელში კი უბრალო ხის სკამები იდგა. ახლაც ასეა?**

- როგორც ვიცი, "ინტერმა" ჩვენ მოგვბაძა და ახლა მის გასახდელში შავლურჯ სავარძლებს ნახავთ.

**- ალბათ, იცით, რომ "ინტერის" გულშემატკივრებმა სპეციალურად რონალდოზე ზემოქმედებისთვის 30 ათასი სასტვენი შეიძინეს.**

- რონალდო ბავშვი არაა, რომ ასეთმა რამემ წყობილებიდან გამოიყვანოს. "ინტერისთვის" მას ძალიან ბევრი გაუკეთებია, დღეს კი "მილანის" ფეხბურთელია. ამაში საოცარი და დასაძრახი არაფერია. მით უფრო, რომ აქ მოსვლამდე იგი "რეალის" ღირსებას იცავდა.

**- დაიკლო წონაში?**

- როცა აქ ჩამოვიდა, უკვე ნორმალურ კონდიციებში იყო. რონალდო ბევრს შრომობს, მისთვის სპეციალური სავარჯიშო პროგრამა შეადგინეს.

**- "მილანში" უკვე შინაურად გრძნობს თავს?**

- რა თქმა უნდა. ძალიან კარგი ბიჭია, უბრალო და თავმდაბალი. უნდა, თავისი ფეხბურთი ითამაშოს და ყველას დაუმტკიცოს, რომ კიდევ შეუძლია მაღალ დონეზე ასპარეზობა. მარტო ფული რომ უნდოდეს, არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში წავიდოდა, სადაც ზღაპრულ კონტრაქტს სთავაზობდნენ. ყველა მხარში ვუდგავართ, "მილანი" ხომ ერთი დიდი ოჯახია.

**- რონალდოს ადრე თუ იცნობდით?**

- კი, ოღონდ შორიდან. სხვათა შორის, მან "მილანთან" კონტრაქტს ჩემს რესტორანში მოაწერა ხელი.

**დავით ცაბაძე,**
**ლევან ჯანეზაშვილი**

21-წლამდელთა ნაკრებები

# სეგრტი ბიჭებს მალე შეკრებს

ცოტა ხნის წინათ, უეფას შტაბბინაში, 21-წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის წილისყრა შედგა. ამ პროცედურის შედეგად, შესარჩევ ციკლში ჯგუფის მეტოქეებად ესპანეთი, პოლონეთი, რუსეთი და ყაზახეთი გვერგო. საკვალიფიკაციო ეტაპი 5 ივნისს აიღებს სტარტს - ამ დღეს საქართველო ესპანეთს უმასპინძლებს. ტურნირზე წარმატების მიღწევის საწინდარი, უპირველესად, კარგი მომზადებაა. საამისოდ კონსულტაციები ფედერაციასა და ნაკრების ხორვატ მწვრთნელ **პეტარ სეგრტს** შორის უკვე დაიწყო. წესით ყველაფერი მალე უნდა გაირკვეს. ჩვენ მიერ მოპოვებულ წყაროთა თანახმად საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრები ამ თვეშივე გაივლის პირველ მოსამზადებელ შეკრებას. ახალგაზრდები, სავარაუდოდ, 20 მარტს შეიკრიბებიან და 28-29 მარტამდე თბილისში ივარჯიშებენ. მოსამზადებელი ეტაპის ფარგლებში პეტარ სეგრტის გუნდი ამხანაგურ მატჩებსაც გამართავს. ნაკრები ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის გუნდებთან მოსინჯავს ძალებს.

**დავით ცაბაძე**

პეტარ სეგრტი

გაზეთი...
# ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

საქართველოს ნაკრები ჯერ შოტლანდიასთან და ფარარებთან მატჩებისთვის ემაზადება

ეროვნული ნაკრები. ამხანაგური მატჩები

## საქართველოსთან თამაში ირანს სურს

### ესპანეთი და პორტუგალია საბოლოოდ გამოირიცხა

*ჰ.პირველი გვერდიდან*

*"დიახ, ასეა. პორტუგალიასა და ესპანეთთან 22 აგვისტოს თამაში უკვე გამორიცხულია. კოლუმბიასთან, ჩილესთან, პარაგვაისთან, ხორვატიასა და უელსთან თამაშის ვარიანტის გარდა, ირანის ნაკრებთან გაჯიბრების შანსი გვაქვს. ირანელებმა თავად გამოთქვეს სურვილი ეთამაშონ ჩვენს ნაკრებს, თუმცა ამ საკითხზე მოლაპარაკებებს კვლავაც განვაგრძობთ და საბოლოო არჩევანსაც გავაკეთებთ.*

*კლაუს ტოპმიოლერი და სანაკრებო შტაბი უკვე რამდენიმე დღეა, რაც თბილისშია, მაგრამ ახლა ყველანი შოტლანდიასა და ფარერებთან მოახლოებულ მატჩებზე ვართ გადართულები. ასე რომ, 22 აგვისტოს ამხანაგურ მატჩსა და მეტოქეზე საბოლოო მსჯელობა გლაზგოდან დაბრუნების შემდეგ გვექნება", - "ლელოსთან" საუბარში განაცხადა ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა* **უჩა უგულავამ.**

მოკლედ არჩევანის გასაკეთებლად ფედერაციას ჯერ კიდევ აქვს დრო. მთავარი ამ ეტაპზე კი შოტლანდიასა და ფარერებთან მოახლოებული მატჩებია.

გიორგი კიკნაძე

საქართველოს ჩემპიონატი

## კიკნაძე ლოკომოტივში?

თბილისს "ლოკომოტივმა" მეორე წრე წარუმატებლად დაიწყო. საშინაო მატჩი "ზესტაფონთან" 1:4 წააგო, უშუალო კონკურენტ თბილისს "მერანთან" გასვლითი მატჩი ფრედ დაასრულა - 1:1.

ძნელი სათქმელია, ლიდერთან წაგება და აუტსაიდერთან გასვლითი ფრე არის თუ არა წარუმატებლობა, მაგრამ ფაქტია, "ლოკომოტივი" დამაჯერებლად ვერ თამაშობს.

როგორც შევიტყვეთ, "ლოკომოტივში" მწვრთნელის შეცვლა იგეგმება - **ამირან მინაშვილის** ნაცვლად, გუნდს ქუთაისის "ტორპედოდან" წამოსული **გიორგი კიკნაძე** ჩაიბარებს.

ინფორმაციის გადამოწმება კი გვსურდა, მაგრამ "ლოკომოტივის" გენერალურ დირექტორ **დიმიტრი ობოლაძესთან** დაკავშირება ვერ მოვახერხეთ. თუმცა ნამდვილად ვიცით, რომ კიკნაძეს მწვრთნელობას სთავაზობენ.

**მერაბ მამულაშვილი**

## წუნუნავა ნავიდა

ზამთრის სატრანსფერი პერიოდში თელავის „კახეთიდან" თბილისის "ლოკომოტივში" გადასულმა თავდამსხმელმა კახა წუწუნავამ რკინიგზული კლუბი დატოვა. ამირან მინაშვილმა ის მხოლოდ საკონტროლო მატჩში ათამაშა. ახალგაზრდა ფორვარდი ამჟამად უგუნდოდაა და ალბათ უახლოეს დღეებში გაირკვევა სად გააგრძელებს კარიერას.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერები

## რომ არა ვოლნინის ნეზა

რუსეთის ჩემპიონატში ამ სეზონში შვიდი ქართველი ფეხბურთელი ითამაშებს. პირველ ტურში ამ შვიდეულიდან ხუთმა ითამაშა, ტრავმის გამო ჯერ ვერ თამაშობს „ლოკომოტივის" მცველი **მალხაზ ასათიანი,** ხოლო **ნუკრი რევიშვილი** "რუბინის" სათადარიგოთა სკამით დაკმაყოფილდა. ხუთიდან ოთხმა ქართველმა ლეგიონერმა სასტარტო შემადგენლობაში ითამაშა, ნალჩიკის სპარტაკელი **ლევან გვაზავა** კი 83-ე წუთზე შევიდა მოედანზე.

"სპორტ ექსპრესს" გვაზავას თამაში, ბუნებრივია, არ შეუფასებია, დანარჩენ ქართველთაგან კი საუკეთესო შეფასება "კრილია სოვეტოვის" კაპიტანმა **დავით მუჯირმა** მიიღო - 6,0. **ალეკო ამისულაშვილის, ლაშა სალუქვაძის** და მოედნიდან გაძევებული **გოგიტა გოგუას** გარჯა რუსულმა გაზეთმა 5,0 ბალით შეაფასა და პირველი ტურის სიმბოლურ ნაკრებში ვერ მოხვდნენ. "ტომთან" გასვლით მატჩში მცველმა ალეკო ამისულაშვილმა გოლიც გაიტანა, მაგრამ თანამსაჯმა **ვოლნინმა** თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა. მატჩის შემდეგ სტუმართა თავკაცმა **იური კრასნოჟანმა** აღნიშნა, რომ ვიდეოჩანაწერმა ნათლად ვერ აჩვენა იყო თუ არა თამაშგარე მდგომარეობა.

გოგიტა გოგუამ სეზონის პირველივე მატჩში ორი ყვითელი ბარათი მიიღო და 48 წუთში დატოვა მოედანი. არადა თამაშის წინ მას "სპორტ ექსპრესის" წარმომადგენლებმა საზეიმოდ გადასცეს სეზონის საუკეთესო ახალბედის პრიზი. სხვათა შორის, საერთო შეფასებით გოგუას მეორე ფოლი მთლად საყვითლე არ იყო და მსაჯმა ოდნავ მკაცრად განსაჯა. როგორც ჩანს, გოგუა საკუთარიმა იმიჯმა დააღალატა. გაძევების მიუხედავად, გოგიტა უახლოეს სათასო შეხვედრას იმავე "ზენიტთან" მაინც ჩაატარებს, იუწყება "სპორტ-ექსპრესი".

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


გოგიტა გოგუა

## ხმაურიანი დემეტრაძე

უკრაინულმა საინფორმაციო ცენტრმა "ელვისტმა" გასული კვირის მოვლენები შეაფასა და მათგან ყველაზე აქტუალური სპორტული თემები გამოარჩია.

**გიორგი დემეტრაძის** საქმე ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული რომ იყო, გამოკითხვამაც დაადასტურა. ქართველი თავდამსხმელისა და უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის დაპირისპირება სასამართლო დარბაზში კვირის მოვლენებში მეექვსე ადგილზე გავიდა. *"გრძელდება დაპირისპირება დონეცკის "მეტალურგის" თავდამსხმელსა და უკრაინინის ფეხბურთის ფედერაციას შორის, რაც ლეგიონერებზე ლიმიტის დაწესებამ გამოიწვია. ეს თემა ერთ-ერთი ყველაზე აქტუალურია ქვეყნის ცხოვრებაში",* ამგვარი იყო ცენტრის კომენტარი.

საქმეს ისეთი პირი უჭანს დემეტრაძეს კიდევ მოუწევს მოხვედრა ამგვარ რეიტინგში, მას ხომ სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება აქვს მიზნად.

## მოდებაძემ ვარჯიში განაახლა

ზაპოროჟიეს "მეტალურგის" ქართველმა ფორვარდმა **ირაკლი მოდებაძემ** მძიმე ტრავმის შემდეგ, ვარჯიში განაახლა. "მეტალურგის" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, მისი სარეაბილიტაციო პროცესი, ფაქტობრივად, დასრულებულია, მკურნალობამ სასურველი შედეგი გამოიღო. უკრაინული კლუბის ექიმების ვარაუდით, ოფიციალურ მატჩებში მონაწილეობას იგი დაახლოებით სამ კვირაში შეძლებს. სავარაოდოდ, ირაკლის ძირითად შემადგენლობაში ხელახლა დამკვიდრება არ უნდა გაუჭირდეს.

**მერაბ მამულაშვილი**

ირაკლი მოდებაძე



ლეგიონერი

# აქვს თუ არა ალადაშვილს კიევში შანსი?

კახა ალადაშვილი

უკრაინის ჩემპიონატის მეორე წრის მეორე ტური წარუმატებელი გამოდგა კიევის "დინამოსთვის". კრივოი როგის "კრივბასთან" გასვლით შეხვედრაში კიეველებმა მხოლოდ ქულა მოიპოვეს და დონეცკის "შახტარს" მიახლოების საშუალება მისცეს.

"დინამოს" ვეტერანი მცველი **ვლადისლავ ვაშჩუკი** პირდაპირ ამბობს, რომ "კრივბასი" "შახტარმა" წაახალისა, ასეთი მონდომებით რომ ეთამაშა.

მთავარი კი ისაა, რომ შეხვედრის შემდეგ კიეველთა პრეზიდენტი **იგორ სურკისი** აღშფოთებული იყო ფეხბურთელების უნიათობით და ძირითადი შემადგენლობიდან ამოგდებით ბევრს დაემუქრა: *"ვუყურებდი ჩემი გუნდის თამაშს და მეგონა, ლიდერის ნაცვლად, აუტსაიდერი თამაშობდა. ზოგიერთი ფეხბურთელი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს ვალის მოსახდელად იყო მოედანზე გასული. ტრავმირებული ფეხბურთელები მალე მომჯობინდებიან და ვინც "კრივბასთან" ითამაშა, ბევრი მათგანი ძირითადში ადგილს დაკარგავს"*.

სამწუხარო ისაა, რომ ტრავმირებულია ჩვენებური **კახა ალადაშვილის** კონკურენტი **ნინკოვიჩი**. ალადაშვილს არც ამჯერად უთამაშია. გამოდის, ალადაშვილი ნინკოვიჩის შემცვლელის შემცვლელია?

ისიც საინტერესოა, ჩვენი კონკურენტი ნაკრების საბაზო გუნდში ქართველი ფეხბურთელის დაბრუნება რა მიზანს ემსახურებოდა? კიევის "დინამო" სახელიანი კლუბია და იქ მოხვედრა ბევრის ოცნებაა, მაგრამ მხოლოდ კონტრაქტი არაფერს ნიშნავს, თუკი ფეხბურთელმა არ ითამაშა.

საერთოდ, ტენდენციაა საინტერესო. ბოლო წლებში ამ გუნდში მოხვედრილი ფეხბურთელების აბსოლუტურ უმრავლესობას სათადარიგოებში ათამაშებენ ან ანათხოვრებენ. ასე შეემთხვა **ალეკო ამისულაშვილს, დავით იმედაშვილს**, თავად კახა ალადაშვილს და **ოთარ მარცვალაძეს**.

გამოდის, ან კიევის "დინამოს" სელექციონერები ცდებიან, ან ქართველებს შეგნებულად სვამენ სკამზე. ეს მეორე ძნელი დასაჯერებელი იქნებოდა, მაგრამ უკრაინა და საქართველო ერთმანეთის კონკურენტები არიან შესარჩევ ციკლში. კიევში უსაქმოდ ყოფნის მწვავე შედეგები კი უკვე საკუთარ თავზე იწვნიეს ნაკრების კანდიდატებმა. მათ ეროვნულში ადგილი დაკარგეს. ამით ისევ ჩვენი ეროვნული ნაკრების რეზერვი მცირდება და გუნდიც სუსტდება.

**მერაბ მამულაშვილი**

დათო დარციმელია ბარსელონაში ივარჯიშებს

სტაჟირებაზე ესპანეთში

# ლოკომოტივის გაზრდილი ბარსელონაში

"ლოკომოტივის" საფეხბურთო სკოლაში გუშინ ბავშვები ჩვეულებისამებრ მივიდნენ. მათთვის ეს რიგითი ვარჯიშის დღე უნდა ყოფილიყო.

სინამდვილეში აღმოჩნდა, რომ ძალიან მნიშვნელოვანი სიახლე უნდა გაეგოთ. როგორც ცნობილია, "ბარსელონამ" სკოლა ტალანტების მოძიების პროექტში ჩართო. კატალონიელებმა წელიწადნახევრის წინ პროექტის კოორდინატორად **იაგო აგილარი** დანიშნეს და ისიც ძირითადად, თბილისში საქმიანობას უთმობს დროს.

გუშინ აგილარმა ერთბაშად ორი ადამიანი გაახარა უზომოდ: მწვრთნელი **მერაბ მელაშვილი**, რომლის მოსწავლე **დათო დარციმელიამ** "ბარსელონის" სკოლის მიწვევა მიიღო. ბუნებრივია, ეს ზოგადად "ლოკომოტივის" საფეხბურთო სკოლის იმიჯზე დადებითად იმოქმედებს. კატალონიური კლუბები ამ სკოლის მეორე გაზრდილით ინტერესდებიან უკვე. პირველი, საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებისა და თბილისის "ლოკომოტივის" ნახევარმცველი **ლევან ყენიაა**.

... ბავშვები მორიგი დავალების მოლოდინში იყვნენ, მწვრთნელმა დარციმელიას რომ უხმო და ოფიციალური მიწვევა გადასცა.

დათო მოულოდნელად დაიბნა და სიხარულისგან ცრემლები წამოუვიდა. მწვრთნელმა დრო იხელთა და სხვებიც დაამედა - რომ იცოდეთ, "ბარსელონის" სკაუტები სხვებითაც დაინტერესდნენო.

იაგო აგილარმა გაგვიმხილა, რომ "ბარსელონის" სკაუტი **ენრიკე დიასი** ნოემბერში სწორედ ამ ბავშვზე დასაკვირვებლად ჩამოვიდა:

*"ახლახან მე, დიასმა და რამდენიმე ადამიანმა რეპორტი დავწერეთ და "ბარსელონის" სკოლაში დარციმელიას რეკომენდაცია გავუწიეთ. იგი ერთი კვირა "ბარსელონას" სკოლაში ივარჯიშებს, ერთი კვირაც ქალაქის უცნობილეს საფეხბურთო ცენტრ "მარსეტში". მთავარი ის კი არაა, დარციმელია რომ მიდის, უფრო მნიშვნელოვანია, რომ მან "ბარსელონაში" "ლოკომოტივის" სკოლის დონე გამოაჩინოს. ჩემი აზრით კი, აქ ძალიან ნიჭიერი ბავშვები არიან. უბრალოდ, საჭიროა თანამედროვე პირობები და ვარჯიშები მათი შესაძლებლობების გამოსაჩენად"*.

აგილარს ლევან ყენიაზეც ვკითხეთ. ის ამ თემაზე საუბარს მოერიდა, გვითხრა იგივე, რომ ლევანს თამაშის ლეგალიზაციის პრობლემა გააჩნია:

*"საქართველოში ლევან მჭედლიძისა და ლევან ყენიას მსგავსი ტალანტები რომ იზრდებიან, ეს უკვე კარგი მაგალითია. საქართველოში მუშაობა უნდა გაძლიერდეს. ჩვენი პროგრამა სამი წლით გაგრძელდება"*.

მისი საუბრიდან დაგვრჩა შთაბეჭდილება, რომ ლევანი ესპანეთში წავა, მაგრამ შეიძლება სხვა კლუბში. ყოველ შემთხვევაში, მისმა პასუხმა გვაფიქრებინა, რომ რაღაც ხდება.

**მერაბ მამულაშვილი**

**P.S. სხვათა შორის, "ლოკომოტივის" სკოლაში სიარულისთვის ბავშვები თანხას არ იხდიან. ეს კიდევ ერთი მაგალითია, რომ უფასო სკოლები ტალანტების ბუდეა და ასეთი "ბუდეები" უნდა შევინარჩუნოთ.**

# პროტასოვმა კანკავა გაამტყუნა

უკრაინის ჩემპიონატის მე-18 ტურში დნეპროპეტროვსკის "დნეპრმა" სტუმრად პოლტავის "ვორსკლა" 1:0 დაამარცხა. დნეპროპეტროვსკელთაგან **ჯაბა კანკავა** გამოირჩა, თუმცა არა მარტო კარგი თამაშით.

*"კანკავა სტუმართა შორის ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა იყო. პირველ ტაიმში მან სერგეი კორნილენკოს ჩინებული გადაცემა გადააწოდა და მანაც მომენტით ისარგებლა. თუმცა მეორე ტაიმში ჯაბამ თავი ცუდადაც დაგვამახსოვრა. "ვორსკლას" ალბანელ ლეგიონერ არმანდუ დალკუს უხეშობას უხეშობითვე უპასუხა და მსაჯმა ორივეს მოედანი დაატოვებინა"*, - წერს "კომერსანტი".

"დნეპრის" მწვრთნელი **ოლეგ პროტასოვი** ქართველი ახალგაზრდას საქციელს არ ამართლებს: *"ჯაბა არასწორად მოიქცა. მან გააკეთა ის, რაც არ უნდა გაეკეთებინა. ასეთ ქმედებაზე კლუბში სანქციებია დაწესებული. მართალია, თავიდან დალკუ ეუხეშა, მაგრამ მას პასუხი რომ არ გაეცა, კაცნაკლული მარტო "ვორსკლა" დარჩებოდა. დიდ სპორტში წარმატების მისაღწევად თავის კონტროლი საჭირო თვისებაა"*.

გუშინ უკრაინის პროფლიგამ მომხდართან დაკავშირებით იმსჯელა და "დნეპრის" ქართველი ლეგიონერი მეტოქე ფეხბურთელისთვის დარტყმის მცდელობისთვის სამმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. კანკავა უახლოეს მატჩს, 24 მარტს შოტლანდიის ნაკრების წინააღმდეგაც გამოტოვებს, ასევე დისკვალიფიკაციის გამო.

**მერაბ მამულაშვილი**



ჯაბა კანკავა


ორშაბათობით იკითხეთ...

8

მსუბუქი გაზეთი ყველა თაობისათვის № 1 (5-18 მარტი) გამოდის ორ კვირაში ერთხელ

მწვანე სამყარო
GREEN WORLD

გამწვანება
ფილების დაგება
სარწყავი სისტემა
რკინის კონსტრუქციები
ქვის სამუშაოები
განათება
შადრევნები

ახალი ეპოქა
ჩვენთან ერთად

მისამართი: ალ. ყაზბეგის ქ. 10ა
ტელეფონები: 21-87-97; მობ. 8 (77) 71-87-97; 8 (77) 44-87-97

გაზეთი...
# ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
პროფესიული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ჩემპიონატი XVIII

პირველი ლიგა. XX ტური

# მგელთა მეორე მარცხი

ტურის ცენტრალურ შეხვედრაში "მეშაქრემ" უმნიშვნელოვანესი გამარჯვება იზეიმა და ფლეი ოფისკენ უდიდესი ნაბიჯი გადადგა. იმავე დღეს აგარელთა უპირველესმა მდევარმა "გაგრამ" საშინაო მარცხი განიცადა და მესამე საფეხურს უკვე მთელი რვა ქულით ჩამორჩება. **გია გეგუჩაძის** გუნდს უმაღლესში აღზევების შანსი ჯერ კიდევ აქვს, მაგრამ თუ ასე გააგრძელეს, მუხრანელები ამ იმედს მალე დაკარგავენ. თეორიულად, საფლეიოფო ზონაში მოხვედრა "ნორჩ დინამოელსაც" შეუძლია.

ამასობაში, კიდევ უფრო გაიმყარა მეორე ადგილი ახალციხის "მესხეთმა", რომელმაც გურიაში იოლად იმარჯვა. სამცხელები შესაშური სტაბილურობით ასპარეზობენ და ზუგდიდელებთან ერთად, უმაღლესში გადასვლის უმთავრეს პრეტენდენტებად რჩებიან.

ორი აუტსაიდერისთვის გასული ტური შედეგიანი გამოდგა. "გურიამ" და "რაჭამ" ამ გამარჯვებით პირველ ლიგაში დარჩენის შანსი შეინარჩუნეს. ოზურგეთის "მერცხალი" კი ბოლო საფეხურს, ალბათ, ვერ ასცდება.

### მეშაქრე-მგლები 1:0

11 მარტი. აბარა. ცენტრალური.
1000 მაყურებელი

1:0 კობახიძე (68)

*მეშაქრე:* დერვიაჩენკო, გვარუციძე, ებრალიძე, გაგნიძე, ლაცაბიძე, ავალიანი, ხაჩიძე (55. გოცირიძე), ლობჟანიძე, კობახიძე, კრავეიშვილი (89. ჩიქოვანი), ჩიხლაძე (84. მანთიძე)
*სათადარიგოები:* ტუხაშვილი, კვახხვაძე, ილურიძე, ვიშნიაკოვი
*მგლები:* დევაძე, გ. ქირია, ხუხია (76. მოდებაძე), ვართაგავა, ჯოჯუა, დ. ქირია (52. ქომეთიანი), თოდუა, კუტალია, ლიპარტია, ბაკარანძე, ლომია (30. ლუკავა)
*სათადარიგოები:* ძაგანია, გაბედავა
მსაჯი: ა. კრიჭაშვილი

ალექსი ბენაშვილმა შაბათს ძირითად გუნდში ითამაშა, კვირას მეორეში

### გურია-ვიტ ჯორჯია 2 2:1

11 მარტი. ოზურგეთი. ცენტრალური.
100 მაყურებელი

0:1 კიკნაძე (32), 1:1 ენდელაძე (65. პენ.), 2:1 კვერენჩხილაძე (68)

*გურია:* მემარნიშვილი, თელია, ქურიძე, კუნჭულია, მაღლაკელიძე, ენდელაძე, მგელაძე, კვერენჩხილაძე (87. გოგიბერიძე), სიამაშვილი (84. ცინცაძე), ქობალია, კოტრიკაძე
*სათადარიგოები:* კალანდაძე, ლომაძე, მოდებაძე, რუსიეშვილი
*ვიტ ჯორჯია 2:* მიქაბერიძე, პირველი, კაიშაური, ადამაძე, აფციაური, ინჯგია, ბეჭვაია, წულაძე (78. იმერლიშვილი), კიკნაძე (71. ჯიქიძე), ბერიაშვილი, ლიპარტია
*სათადარიგოები:* ღურბელეიშვილი, ჭოველიძე, კირთაძე
მსაჯი: კ. ჭაჭუა

### ოლიმპი-სპარტაკი 3:0

11 მარტი. თბილისი. ოლიმპი. 200 მაყურებელი

1:0 მიმინოშვილი (29), 2:0 ზედგინიძე (32), 3:0 მიმინოშვილი (63)

*ოლიმპი:* ალავიძე, ქორიძე, ნ. მაჭავარიანი, ჩიხრაძე, სამსონია, ნეფარიძე (66. ბ. მაჭავარიანი), დონდოლაძე, როსტომაშვილი, ზედგინიძე, მიმინოშვილი (66. კაკულია), სეფიაშვილი (55. გურეშიძე)
*სათადარიგოები:* ხარშილაძე, ჭაფოძე, სულაშვილი, სებისკვერაძე
*სპარტაკი:* ლაძაძე, შუბითიძე, ლომსაძე, რ. კუკულაძე, სახოკია, ოგბაიძე (64. გულიტაშვილი), ხუციშვილი (46. ურუშაძე), ჩიკვაიძე (57. ჯაში), ჯიშკარიანი, კვანტალიანი, ბაბაშვილი
სათადარიგოები: სიბაშვილი, გლოველი, გიორგაძე, მარგიანი
მსაჯი: ზვ. ასკაროლი

### გაგრა-ნ. დინამოელი 0:1

11 მარტი. მუხრანი. ცენტრალური.
200 მაყურებელი

0:1 ტოლონჯაძე (82)

*გაგრა:* ხომერიკი, მერაბიშვილი, ქვრივიშვილი, თოთაძე, მამუკაშვილი, ცხადაია, ხელაძე (54. შარიქაძე), ტყეშელაშვილი, დათუთაშვილი (64. მესხი), სუხიშვილი (54. ბაბულაიძე), მეტრეველი
*სათადარიგოები:* ტალახაძე, მგალობლიშვილი, კვანტალიანი, ძაგანია
ნ. დინამოელი: კობახიძე, ლოლაძე, დონაძე, ბოკუჩავა, ზურაბიშვილი (64. მაყაშვილი), კუტივაძე, რუსიძე, გოგოხია (75. დემეტრაძე), ქობალია, კემუხტაშვილი (71. ბარაბაძე), ტოლონჯაძე
სათადარიგოები: შენგელია, შერმადინი, ნასრაშვილი, მაისურაძე
გაძევება: მეტრეველი (89)
მსაჯი: ვ. ელისაბედაშვილი

### მერცხალი-მესხეთი 0:2

11 მარტი. ოზურგეთი. ცენტრალური.
300 მაყურებელი

0:1 ილურიძე (57), 0:2 მუშკუდიანი (70)

*მერცხალი:* ქურასბედიანი, რამიშვილი, ტეტოიანი, ჩხატარაშვილი, ჩიგოგიძე (46. ქობულაძე), ჭეიშვილი, თენეიშვილი, მაკასარაშვილი, სურგულაძე, ჩხაიძე, გობრონიძე (46 ნაკაიძე)
*სათადარიგოები:* ხურციძე, ჭანუყვაძე, გოგუა
*მესხეთი:* ძამუნაშვილი, ლეკიშვილი, კობესაშვილი, ელისაშვილი, მგელაძე, გვირჯიშვილი, ილურიძე, გამცემლიძე (58. მუმლაძე), მ. თაყაძე, რუსია (60. ტ. კუკულაძე), მუშკუდიანი (70. ინასარიძე)
სათადარიგოები: ჩომახიძე, თელიაშვილი, გ. სუდაძე, ზ. სუდაძე
გაძევება: ჭეიშვილი (55)
მსაჯი: გ. კიკაჩეიშვილი

### დინამო 2-ზესტაფონი 2 0:0

11 მარტი. თბილისი. სინათლე.
100 მაყურებელი

დინამო 2: მაკარიძე, ჩირკაშვილი, აკობია, გ. კაშია, თომაშვილი, ჯანაშია, ოდიკაძე, სირბილაძე, მამრაში, გუგავა, ტეტუნაშვილი (81. ჯიშკარიანი)
*სათადარიგოები:* ნიორაძე, ჯოხაძე, ქანთარია, კაკუბავა, გეთიაშვილი
ზესტაფონი 2: რ. კვახხვაძე, შარანგია, ხუმარაშვილი (46. პარამონოვი), ძარია, ბენაშვილი, მაისურაძე (49. ბახტურიძე), სანაია, დოღონაძე, დაუშვილი, ჯანელიძე, ფიფია (75. თარხნიშვილი)
*სათადარიგოები:* ჯალაღონია, გორგიაშვილი, ივანაშვილი, ბუკია
მსაჯი: ხ. გაგნიძე

### მაღაროელი-რაჭა 1:3

11 მარტი. ჭიათურა. თ. მაღრაძე.
300 მაყურებელი

0:1 რეხვიაშვილი (39), 1:1 კუტალია (52), 1:2 გობეჯიშვილი (78), 1:3 რეხვიაშვილი (90)

მაღაროელი: ბადურაშვილი, გაბრიჭიძე (88. შეყილაძე), ზ. ტყემალაძე, ბრეგვაძე, შუკაკიძე, ნაყოფია, კუტალია, იოსავა (68. ცერცვაძე), ვ. ტყემალაძე, გოგბერაშვილი (77. ჯაჯანიძე), ხაჭიპერაძე
*სათადარიგოები:* სამხარაძე, ნ. ტყემალაძე, გაფრინდაშვილი, დარჯანია
რაჭა: გონგაძე, მიქაბერიძე (87. ჯავოიანი), რობაქიძე, სილაგაძე, გობეჯიშვილი, მიქაძე, რატიანი, კიკვაძე (57. კობახიძე), რეხვიაშვილი, სახელაშვილი, მეტონიძე
სათადარიგოები: მაისაშვილი, ჭელიძე
მსაჯი: ო. ხეცაძე

### სამგრელია-ამერი 2 0:0

11 მარტი. სამგრედია. ცენტრალური.
300 მაყურებელი

სამგრელია: ხარძეიშვილი, მახარაძე, კვესეიშვილი, კალანდარიშვილი, გოგია, ჯანელიძე, ჯიქიძე, სამსეიშვილი, გეგბაძავა, ჯინჭარაძე (59. ჯულაყიძე, 90. ჩუბინიძე), ეცადეიშვილი
სათადარიგოები: მუჯრიშვილი, ივეჩიანი, ახობაძე, რაფაელოვი
ამერი 2: ნადირაშვილი, ფირანიშვილი, მეტონიძე, ბერიანიძე, ნაჭყებია, სილაგავა (90. ხარიტონაშვილი), შენგელია, ვაჩეიშვილი, ნიკოლაიშვილი (80. ბოჯგუა), ჩიმაკაძე (57. კბილეცებლაშვილი), სევასტოპულო
სათადარიგოები: გვენცაძე, სიჭინავა, გადელია
მსაჯი: ჯ. ბუიშვილი

### მეშახტე-ჩიხურა 2 გადაიდო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მგლები | 20 | 16 | 2 | 2 | 35-9 | 50 |
| 2. მესხეთი | 19 | 13 | 4 | 2 | 34-10 | 43 |
| 3. მეშაქრე | 20 | 10 | 7 | 3 | 27-17 | 37 |
| 4. ოლიმპი | 20 | 10 | 4 | 6 | 39-20 | 34 |
| 5. ვიტ ჯორ. 2 | 20 | 9 | 4 | 7 | 33-17 | 31 |
| 6. ამერი 2 | 20 | 8 | 7 | 5 | 30-24 | 31 |
| 7. გაგრა | 20 | 9 | 2 | 9 | 29-27 | 29 |
| 8. ნ. დინამოელი | 20 | 9 | 2 | 9 | 30-29 | 29 |
| 9. დინამო 2 | 20 | 8 | 5 | 7 | 41-20 | 29 |
| 10. ზესტაფონი 2 | 20 | 6 | 7 | 7 | 18-17 | 25 |
| 11. მაღაროელი | 19 | 6 | 7 | 6 | 24-24 | 25 |
| 12. მეშახტე | 18 | 7 | 3 | 8 | 26-25 | 24 |
| 13. ჩიხურა 2 | 19 | 6 | 3 | 10 | 20-32 | 21 |
| 14. სამგრედია | 19 | 5 | 6 | 8 | 19-31 | 21 |
| 15. სპარტაკი | 20 | 5 | 3 | 11 | 10-29 | 18 |
| 16. გურია | 20 | 5 | 3 | 12 | 22-48 | 18 |
| 17. რაჭა | 18 | 3 | 6 | 9 | 16-32 | 15 |
| 18. მერცხალი | 20 | 2 | 3 | 15 | 14-57 | 9 |

| | წავიდნენ | მოვიდნენ |
|---|---|---|
| ოლიმპი | კიკნაძე, ზამთარაძე (მწვრთნელები, ტორპედო) რ. ონიანი (ზესტაფონი), ხოჯავა, ნაჭყებია (ამერი), სირბილაძე (დინამო), მიმინოშვილი, მიქიაშვილი, ვ. კვარაცხელია, ხოხონიშვილი (ორივე- ბათუმი), გ. თოდუა (მგლები) | რ. ძოძუაშვილი (მწვრთნელი, ტორპედო) ვ. კილასონია (მწვრთნელი) მერლანი (ვეტრა, ლიტვა), რ. გოცირიძე (კამაზ, რუსეთი), არზიანი (რუბინი), ნავალოვსკი (დინამო) ჩხარტიშვილი (დინამო ერევანი), ბერუაშვილი (ტორპედო), ჭიქვეიშვილი (სიონი) |
| ვიტ ჯორჯია | დიღმელაშვილი, ფეიქრიშვილი (ორივე - დინამო) | კიკნაძე (ბორჯომი), იმერლიშვილი (კახეთი) |
| ამერი | ჩანგელია (უკრაინა) კედელაშვილი (მერანი) | მესხი (ჩიხურა), ნაჭყებია (ოლიმპი), კაკაშვილი (რილსკი, ბულგ.) |
| ზესტაფონი | იმედაძე (ტორპედო), თურმანიძე (ბათუმი), განუგრავა, ბ. გოცირიძე | რ. ონიანი (ოლიმპი), ლეანდრო, ჟონატასი |
| დინამო | ამბროზიო (გრემიო), ახალაია, ბაბუნაშვილი (სიონი), სტურუა (ჩიხურა), გრიგალაშვილი (ბორჯომი), მახარაძე (ჩიხურა) ნავალოვსკი , ნერგაძე (ბათუმი), გიგაური, ქუცურუა (ჩიხურა), დვალი (ჩიხურა) | დიღმელაშვილი (ვიტ ჯორჯია) ზელიჩი (ავსტრალია, თავისუფალი აგენტი) კრშკო (ყილინა), ფეიქრიშვილი (ვიტ ჯორჯია), სირბილაძე, სპასოევიჩი |
| ტორპედო | ძოძუაშვილი (მწვრთნელი, ოლიმპი), გამეზარდაშვილი (სკონტო) ბერუაშვილი (ოლიმპი) მ. ღონღაძე (ლოკომოტივი) | კიკნაძე, ზამთარაძე (მწვრთნელები), კ. კვეტენაძე, მერკვილაძე, ხურცილავა, გ. იმედაძე |
| სიონი | სიჭინავა, შავგულიძე, ბათიაშვილი, ჭიქვეიშვილი | მამალაძე (ჩიხურა), სილაგაძე, დარასელია (შახტიორი ყარაღანდა), ბაბუნაშვილი (დინამო), ექონია (ბათუმი), კორღალიძე, სანიკიძე, ორბელაძე |
| ლოკომოტივი | ყიფიანი, მხეიძე, ებანოიძე, ცხომარია, მენაბდე, მიხაილიდი, ალავერდაშვილი | სოსელია, წუწუნავა (ორივე - კახეთი) მალიჩავა, სამხარაძე (გაგრა) |
| ბორჯომი | ნკემი, მონგუე, ნაკანი (მერანი), მოდებაძე, კიკნაძე (ვიტ ჯორჯია), ბენდელიანი, ლაბაძე | კვერნაძე, კაიდარაშვილი, კოშკაძე (ბათუმი) ლ. მერებაშვილი (ჩიხურა) საყვარელიძე, მძინარიშვილი (ორიეე დილა), გრიგალაშვილი (დინამო), კაკალაძე (ჩიხურა) |
| მერანი | | კუტივაძე (მწვრთნელი), კედელაშვილი (ამერი), ა. ნოზაძე |
| ჩიხურა | ფეხბურთელთა აბსოლუტური უმრავლესობა | სტურუა, დვალი, ქუცურუა, ჩარგეიშვილი, მახარაძე (ყველა დინამო), მ. მიქაძე, დარჩიძე |
| ბათუმი | ა. მუჯირი (ბაქი), კოშკაძე (ბორჯომი), ნაჭყებია | კერესელიძე, ბარამიძე (დინამო 2), თურმანიძე (ზესტაფონი), შალამბერიძე (მეშაქრე) |
| დილა | ბეგიაშვილი (პრეზიდენტი), მამესწარაშვილი (მწვრთნელი) | ლურსმანაშვილი (პრეზიდენტი), ვარდოსანიძე, ელიაური (მწვრთნელები), დ. ხანიშვილი, კ. ხანიშვილი, ბ. ჩიტაია, გ. ჩიტაია, გონწაროვი |
| ჰაბჯთი | იმერლიშვილი (ვიტ ჯორჯია), ცინაძე, სოსელია, წუწუნავა (ორივე - ლოკომოტივი) | კუპრაშვილი (გურჯაანი) მედოევი, ე. მერებაშვილი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯოზე მოურინიო და რომან აბრამოვიჩი

ჩელსი. მოლაპარაკებები

# მოურინიოს არისტოკრატები გააკვირვა

## ტერი და ლემპარდი უკმაყოფილებას ვერ მალავენ, ესიენი კი დროგბას გაუთანაბრდა...

**ჯოზე მოურინიოს** განცხადებამ, რომ "რეალში" სიამოვნებით იმუშავებდა, "ჩელსის" უკმაყოფილება გამოიწვია. ლონდონური კლუბის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მწვრთნელს უფლება არ ჰქონდა, მადრიდელთა მიმართ სიმპათიები გამოეხატა იმ დროს, როცა ესპანეთში სამსახურებრივი მივლინებით იმყოფებოდა. გასულ უქმეებზე ის "ვალენსია"-"ოსასუნის" მატჩს დაესწრო. მოგეხსენებათ, ვალენსიელები "ჩელსის" ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში შეხვდებიან. მოურინიომ ამ ვოიაჟისთვის **რომან აბრამოვიჩის** ერთ-ერთი კერძო თვითმფრინავით ისარგებლა. იმავე ინტერვიუში ჟოზემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ "ჩელსისთან" 2010 წლამდე გაფორმებული კონტრაქტის გაწყვეტას არ აპირებს. მაგრამ მიმომხილველთა აზრით, მისი კომენტარები აბრამოვიჩთან ურთიერთობას კიდევ უფრო გაართულებს. "ჩელსის" დირექტორატთან დაახლოებული წყარო ამბობს: *"მოურინიოს საქციელი გაკვირვებას იწვევს. ვფიქრობთ, ადამიანს საკუთარი ორგანიზაციის მიმართ მეტი პატივისცემა მართებს. ინტერვიუში შეეძლო, არაფერი ეთქვა, ან აღენიშნა, რომ ესპანეთში ჩელსის სახელითაა ჩასული. სინამდვილეში მან ის თქვა, რაც ყველამ წავიკითხეთ. გვეჩვენება, რომ მოურინიო ორგანებ ქმნის პრობლემებს."*

"მირორი" დარწმუნებულია, რომ სეზონის ბოლოს მოურინიო "ჩელსის" დატოვებს - იმ შემთხვევაშიც კი, თუ გუნდი ჩემპიონთა თასს დაეუფლება. ამ გამოცემას თუ დავუჯერებთ, აბრამოვიჩისთვის ტიტულები მთავარი არ არის. რუს ოლიგარქს სურს, მისმა გუნდმა ყველაზე ლამაზი ფეხბურთი ითამაშოს. "მირორისავე" შედარებას მოვიყვანთ: რომანი ოცნებობს, მთელ "ბარსელონას" ლურჯი მაისურები ჩააცვასო.

"ჩელსის" თემას საკონტრაქტო ამბებით გავაგრძელებთ. არისტოკრატების ორ ლიდერს, **ჯონ ტერისა** და **ფრენკ ლემპარდს** კლუბთან ახალი ხელშეკრულებები ჯერაც არ გაუფორმებიათ. კაპიტანი ტერი უკმაყოფილებას ვერ მალავს იმის გამო, რომ მოლაპარაკებები ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს. "თაიმსის" ცნობით, ტერის "ჩელსიდან" წასვლა არ სურს, მაგრამ არც კლუბის მისდამი მოპყრობითაა კმაყოფილი. ჯონს არ ესიამოვნა, როცა "არისტოკრატების" ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა მის შესახებ განაცხადა, ცენტრალური მცველის კვალობაზე, ტერი ძალიან მაღალ ხელფასს მიიღებსო. ფეხბურთელის აზრით, ეს ურთიერთობის მისაღები ფორმა არ არის.

დაახლოებით ამ განწყობაზეა **ფრენკ ლემპარდიც**. ის კლუბისგან ითხოვს, ახალი კონტრაქტის განხილვა მარტის ბოლომდე დაასრულონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამორიცხული არაა, ფეხბურთელმა შეთანხმებაში დარჩენილი ორი წელი გამოისყიდოს და ახალი სამსახური მოძებნოს. ლემპარდს ამის გაკეთება არ გაუჭირდება. "ბარსელონა", "რეალი" და "ინტერი" არ მალავენ, რომ ინგლისელთან თანამშრომლობა სურთ.

ტერის დარად, ფრენკიც ლონდონში დარჩენაზე ფიქრობს. ის ხუთწლიანი კონტრაქტის გასაფორმებლად ემზადება, რისი წყალობითაც მისი ანაზღაურება **მიხაელ ბალაკისა** და **ანდრეი შევჩენკოს** შემოსავალს, კვირაში 130 ათას გირვანქას უნდა გაუტოლდეს (ანალოგიურია ტერისთვის გამზადებული პირობებიც). პრობლემა ისაა, რომ ლონდონელთა აღმასრულებელი დირექტორი **პიტერ კენიონი** მის აგენტს სამ კვირაზე მეტია, არ დაკავშირებია.

იმ დროს, როცა "ჩელსის" ლიდერები გაურკვევლობაში არიან, **მიკაელ ესიენმა** ყოველგვარი გართულების გარეშე გააფორმა ახალი კონტრაქტი. 24 წლის განელი "სტემფორდ ბრიჯზე" 2012 წლამდე დარჩება და კვირაში 90 ათას გირვანქას მიიღებს. ამხელა ხელფასს უხდიან **დიდიე დროგბასაც**, რომელიც ლონდონელთა საუკეთესო ბომბარდირია. ესიენი და დროგბა "ჩელსის" წლის საუკეთესო ფეხბურთელის ჯილდოზე აცხადებენ პრეტენზიას. მიმომხილველების მტკიცებით, აფრიკელებთან კონტრაქტების გაგრძელება იმას ნიშნავს, რომ "ჩელსიდან" წასვლის შემთხვევაში, მოურინიო მათ ვერ გადაიბირებს.

ამასობაში, დასასრულს მიუახლოვდა მოლაპარაკებები "პორტუსთან" ცენტრალური მცველის, **პეპეს** ტრანსფერზე. ამ ფეხბურთელს "იუვენტუსი" და "ფიორენტინაც" ეპატიჟებოდნენ, მაგრამ იტალიელებმა ფასის გამო უკან დაიხიეს. პორტუგალიელები პეპეს სანაცვლოდ 15 მილიონ გირვანქას ითხოვენ. და კიდევ, ბრაზილიელი მცველი ალექსი, რომელსაც "არისტოკრატები" "ეინდჰოვენიდან" ყიდულობენ, შეიძლება, "იუვენტუსს" ათხოვონ. ამჟამად ალექსს ტრავმა აქვს. ტურინელები მასთან 12-თვიანი საიჯარო კონტრაქტის გაფორმებას აპირებენ. მაგრამ იქამდე ფეხბურთელი "ჩელსის" საკუთრება უნდა გახდეს. ტრანსფერის ფინანსური დეტალები უცნობია.

### ბაპტიშტა რეიესის სანაცვლოდ?

**არსენ ვენგერი** ჟურნალ **ბაპტიშტას** ხანგრძლივ კონტრაქტს გაუფორმებს. ბრაზილელი თავდამსხმელი "არსენალში" ერთნლიანი იჯარით თამაშობს. მისი სატრანსფერო უფლებები "რეალის" ხელშია. "მეთოფეები" 8 მილიონ გირვანქას ამზადებენ. ფასზე, შეიძლება, გავლენა მოახდინოს ხოსე ანტონიო რეიესმა. ეს უკანასკნელი ლონდონელთა საკუთრებაა და მადრიდში იჯარითაა გაშვებული. თუ რეალი რეიესის დატოვებას გადაწყვეტს, კლუბები ფეხბურთელებს გაცვლიან. ასეთ შემთხვევაში დამატებითი ხარჯის გაწევა საჭირო არ იქნება. ცნობისთვის, თავის დროზე რეიესი ბაპტიშტაზე ძვირი ფეხბურთელი იყო. ოთხი წლის წინათ "სევილიას" მის სანაცვლოდ 12 მილიონი გირვანქა გადაუხადეს.

### რა ელის ფორლანს?

**მანუელ პელეგრინის** შესაძლოა სერიოზული პრობლემა შეექმნას. **დიეგო ფორლანს** ვარჯიშზე ტრავმა გაუმიზეზდა. მას მარცხენა ტერფის მყესი დაეჭიმა. "ვილიარეალის" ექიმებს ზუსტი პროგნოზის გაკეთება უჭირთ. მათი აზრით, ყველაფერს უახლოესი 48 საათის შემდეგ მოეფინება ნათელი. თუ ამ დროში სიტუაცია არ გართულდება, ურუგვაელი ფორვარდი პრიმერა დივიზიონის მორიგ ტურში თამაშს შეძლებს. სჩვა შემთხვევაში კი პელეგრინის საკადრო პრობლემის გადაჭრაზე ფიქრი მოუწევს.

ბარსელონა. გამოხმაურება

# კრუიფი: კლასიკო ქაოსი იყო

## ლეგენდარულმა ჰოლანდიელმა რიიკაარდი და მისი შეგირდები კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა, მისი აზრით, დრიმ თიმი და დღევანდელი ბარსელონა სრულიად განსხვავებული გუნდებია...

ლეგენდარულმა **იოჰან კრუიფმა** "ლა ბანგვარდიაში" მისთვის გამოყოფილი ტრადიციული სვეტი "ბარსელონისა" და "რეალის" ბოლო სუპერკლასიკოს მიუძღვნა. ბევრისთვის მოულოდნელად, კატალონიური გრანდის ყოფილი ფეხბურთელი და მთავარი მწვრთნელი მეტისმეტად კრიტიკულად განწყობილი აღმოჩნდა: *"ხშირად ვაწყდები, როცა დღევანდელ ბარსელონასა და 90-იანი წლების დასაწყისის "დრიმ თიმს" ადარებენ. ჩემთვის ასეთი პარალელი პრინციპულად მიუღებელია. ჩვენ 3-4-3 ტაქტიკით ვთამაშობდით. "ბარსა" ახლაც ამ სქემას ანიჭებს უპირატესობას. აღნიშნული მსგავსების მიუხედავად, მიმაჩნია, რომ ეს ორი გუნდი სრულიად განსხვავებულია ერთმანეთისგან. ჩვენ უფრო პროდუქტიულნი და მრავალფეროვანნი ვიყავით. დღევანდელ "ბარსაში" არსებული პრობლემები სუპერკლასიკომ კიდევ ერთხელ ნათლად გამოააშკარავა. თითქოს, გულშემატკივრებმა საინტერესო სანახაობა იხილეს, მაგრამ მე სულ სხვა მოსაზრება მაქვს. "ბარსელონისა" და "რეალის" დაპირისპირებამ NBA-ს ყველა ვარსკვლავის შეხვედრები გამახსენა. ეს ხომ ის სანახაობრივი მატჩებია, რომლებიც არაბუნებრივი ანგარიშით მთავრდება. ზოგჯერ 150 ქულას აგროვებენ, უარეს შემთხვევაში კი 140-ს. ფეხბურთი კალათბურთი არ არის. მით უმეტეს, ოფიციალური ორთაბრძოლებისთვის ქაოსი სრულიად დაუშვებელი მოვლენაა. დიახ, სუპერკლასიკო ქაოსით იყო მოცული. 90 წუთში 6 გოლი გავიდა, თუმცა იოლი შესაძლებელი იყო, თითოეულ გუნდს 5 ბურთი შეეგდო. პირადად მე ამაში მოსაწონს ვერაფერს ვხედავ. დიდ კლუბებს ასეთი უპასუხისმგებლო თამაში არ ეკადრებათ. "რეალი" კვლავაც ვერ აცნობიერებს, ვის წინააღმდეგ და როგორ ფეხბურთს თამაშობს. "ბარსა" კი სეზონის გადამწყვეტ მონაკვეთში თავს ექსპერიმენტების ჩატარების უფლებას აძლევს. სურთ გარკვიონ, დაცვაში სამი კაცი ჯობს თუ ოთხი. ჩემი აზრით, ხელმძღვანელობამ პრეტემპორადისას სერიოზული შეცდომები დაუშვა და ახლა ამ შეცდომების დამალვა სურს. სანახაობა ყოველთვის ფუნდამენტურ საკითხად მიმაჩნდა, მაგრამ იოჰან კრუიფი ამავდროულად ქაოსისა და უწესრიგობის მოწინააღმდეგედ რჩება. ბევრს უხარია და აღფრთოვანებით აღნიშნავს, რომ "ბარსელონის" ვარსკვლავებმა ლამაზი ფეხბურთი აჩვენეს. კი მაგრამ, განა იმას ვერ ვხედავთ, რომ "რეალი" ასეთი უსუსური და სუსტი მრავალი ათწლეულის განმავლობაში არ ყოფილა?! ვიმეორებ, სამეფო კლუბს წარმოდგენა არ აქვს, რა ფეხბურთს თამაშობს. უკეთესი ორგანიზაციის პირობებში ზედმეტი ძალისხმევის გარეშე შეიძლებოდა, დედაქალაქელები დაემარცხებინათ და სატურნირო მდგომარეობა გაეუმჯობესებინათ".

კრუიფი **რიიკაარდის** ცნობილი კრიტიკოსია. ლეგენდარული ჰოლანიელი შესაძლებლობას არ უშვებს ხელიდან, რომ ახალგაზრდა თანამემამულე კოლეგა არ დააკნინოს. მსგავს სიტუაციაში შეურაცხყოფილი ადამიანები ცდილობენ, თავდამსხმელს საკადრისი პასუხი გასცენ, მაგრამ რიიკაარდი რატომღაც ყოველთვის თავშეკავებულია. სახელოვან კრუიფს ის არასოდეს პასუხობს და პოლემიკაც არ იმართება. "ბარსელონის" დამრიგებელი ამჯერადაც ასე მოიქცა და კომენტარზე ყველა გაზეთს უარი უთხრა.

კრუიფმა რიიკაარდის გუნდი მკაცრად გააკრიტიკა

მილანური ამბები

# პუიოლი და ძამბოტა ეშმაკის სამიზნეში

## როსონერი გურკუფისა და ოლივეირას გაშვებას აპირებს. ოლივეირას გატაცებული და გაათავისუფლეს, მალდინი ისევ დაშავდა

"მილანს" რომ **რონალდინიოს** გადაბირება უნდა, ეს ყველასთვის ცნობილი ამბავია, მაგრამ გაუჩო ერთადერთი ბარსელონელი არაა, ვის წაყვანაზეც **ბერლუსკონის** კლუბი ფიქრობს. იტალიური მედიის ცნობით, "როსონერის" თვალი **კარლეს პუიოლსა** და **ჯანლუკა ძამბროტაზეც** უჭირავს. პუიოლის წაყვანა, გასაგები მიზეზების გამო, ურთულესი საქმე იქნება, აი ძამბროტას შეძენის ალბათობა კი საკმაოდ მაღალია, გამომდინარე იქედან, რომ იტალიელს სამშობლოში დაბრუნების სურვილი თავადაც ძალიან დიდი აქვს. ახალი ფეხბურთელების მოყვანასთან ერთად "მილანი" ძველების გაშვებაზეც ფიქრობს. ერთ-ერთი იტალიური წყაროს თანახმად, სეზონის ბოლოს "როსონერი" **იოან გურკუფისა** და **რიკარდო ოლივეირას** გასხვისებას აპირებს. ფრანგმა ნახევარმცველმა და ბრაზილიელმა ფორვარდმა **კარლო ანჩელოტის** იმედები ვერ გაამართლეს. მწვრთნელს უკვე მიუცია თანხმობა კლუბის ხელმძღვანელობისთვის, რომ ზაფხულში ოლივეირა გაიყიდოს. გურკუფს რაც შეეხება, უფრო მოსალოდნელია, რომ "შავ-წითლები" მას ერთი წლით სხვა გუნდში გაანათხოვრებენ. ამასობაში, "მილანის" ვებსაიტმა გავრცელა ცნობა, რომ ოლივეირას და გამტაცებლებმა ტყვეობიდან გაათავისუფლეს. 35 წლის მარია საკუთარი სახლიდან ოქტომბრის დასაწყისში გაიტაცეს, მისი პოვნა პოლიციამ ორი დღის წინათ შეძლო.

"მილანმა" კვირას დერბი წააგო, მაგრამ **პაოლო მალდინისთვის** ეს შეხვედრა ორმაგად უიღბლო აღმოჩნდა. შეიძლება, სამმაგადაც, თუ გავითვალისწინებთ, რომ კაპიტანი საიუბილეო მე-600 მატჩს ატარებდა სერია A-ში. თამაშის შემდეგ მალდინის მუხლის ტკივილმა გაუხსენა. ექიმების დიაგნოზით, 38 წლის კაპიტანს თვენახევრიანი მკურნალობის კურსის გავლა დასჭირდება. არსებობს ოპერაციის ჰიპოთეზაც, თუმცა მალდინის ამის გაგონებაც არ უნდა, რადგან ოპერაცია სეზონის (კარიერის თუ არა) აქვე დასრულებას ნიშნავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეო მესი ინტერის სამიზნეშია

მოსალოდნელი ტრანსფერები

# ადრიანო და სამუელი მესის ნაცვლად

## ასწლოვანი იუბილის აღსანიშნავად ინტერი ხმაურიან ტრანსფერს ამზადებს: მესი, ანრი თუ ბუფონი? მანჩინი ახალ კონტრაქტს კვირის ბოლომდე გააფორმებს

მომავალ წელს "ინტერი" "ჩენტენარიოს", ანუ 100-წლოვან იუბილეს იზეიმებს. ამ მოვლენასთან დაკავშირებით, იტალიელი ჟურნალისტები **მასიმო მორატისგან** რაღაც განსაკუთრებულ და ხმაურიან ტრანსფერს ელოდებიან. მაგალითისთვის, გუშინდელი "გაძეტა დელლო სპორტი" წერს, რომ "ბარსელონა"-"ინტერის" ხაზზე დიდი მოძრაობა შეინიშნებაო. ახალი ამბავი არაა, რომ მორატის განსაკუთრებულად მოსწონს **ლეო მესი**. მეორე მხრივ, კატალონიური გრანდის ხელმძღვანელობაც ღიად აცხადებს, რომ სიამოვნებით იხილავდა თავის გუნდში ადრიანოსა და ასევე, **ვალტერ სამუელს**.

ადრიანო. მილანური დერბის წინ "ინტერის" სპორტული დირექტორი **მარკო ბრანკა** ადრიანოს აგენტ **ჟილმარ რინალდის** შეხვდა. საუბარი ბრაზილიელის მომავალს შეეხო. ადრიანო დიდი ხანია არასტაბილურად გამოდის და აღარ არის ის ფეხბურთელი, ვისი გულისთვისაც ორი წლის წინათ მორატიმ ესპანეთიდან (მათ შორის "ბარსელონისგან") და ინგლისიდან მიღებულ ფარაონულ წინადადებაზე უარი თქვა. "ნერაძურის" მეპატრონეს სერიოზული საფუძველი აქვს იმისთვის, რომ მაშინდელ პოზიციას გადახედოს, მით უმეტეს, რომ საქმე მესის ხელში ჩაგდებას ეხება. კატალონიურ კლუბში ახლა ყველაზე აქტუალური საკითხი დაცვის გაძლიერებაა. ვალტერ სამუელი, თავისი კლასითა და გამოცდილებით, "ბარსას" საკადრისი მცველია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ ორი ფეხბურთელის გაშვება "ინტერისთვის" ტრაგედია ნამდვილად არ იქნება, რადგან მათ გარეშეც ბრწყინვალე შედეგებს აღწევს. ადრიანომაც და სამუელმაც წლევანდელი სეზონის უმეტესი ნაწილი თადარიგში გაატარეს.

ბუფონი. კატალონიელებთან ზემოთხსენებულ გაცვლაზე მოლაპარაკება "ინტერისთვის" მთელი ზაფხულის განმავლობაში ცენტრალური თემა იქნება, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მილანური კლუბი სხვა ფრონტზე არ იაქტიურებს. **ჯანლუიჯი ბუფონის** ჩამოყვანის იდეა ინტერისტებს ისევ არ ასვენებთ. "გაძეტა დელლო სპორტის" თანახმად, თუკი "ბარსელონასთან" არაფერი გამოვიდა, ბუფონის ნაცვლად "ინტერი" "იუვეს" მეკარე ჟულიო სეზარსა და სამუელს ერთად შესთავაზებს, იცის რა, რომ "ქალბატონს" არგენტინელის დონის მცველი ახლა ჰაერივით სჭირდება.

ანრი. "ინტერის" მწვრთნელ **რობერტო მანჩინის** რომ ჰკითხო, მომავალი სეზონიდან რომელი ფეხბურთელის დამატებას ისურვებდა, ის აუცილებლად **კრისტიანო რონალდოს** დაასახელებს. მაგრამ "მანჩესტერ იუნაიტედი" ყველაფერს აკეთებს პორტუგალიელ ვარსკვლავთან კონტრაქტის გასაგრძელებლად და თითქმის გამორიცხულია, რომ სხვაგან გაუშვას. აი, "არსენალი" კი, ისე ჩანს, რომ მზად არის, **ტიერი ანრიში** დიდი ფული აიღოს. და თუ ადრიანო მართლაც წავიდა, ფრანგ ფორვარდზე უკეთესი შემცვლელი ძნელად თუ მოეძებნება. გაურკვეველი რჩება **ერნან კრესპოს** მომავალიც. "ჩელსიმ", რომელსაც არგენტინელი იჯარით ჰყავს გაშვებული, მისი უკან დაბრუნება მოინდომა. და ისე ჩანს, რომ ასეც მოიქცევა, "ინტერს" კი სასწრაფოდ მოუწევს მისი შემცვლელის პოვნა.

გავაგრძელოთ "ნერაძურიზე" საუბარი. "გაძეტა დელლო სპორტის" თანახმად, **რობერტო მანჩინი** კონტრაქტს ამ კვირის ბოლომდე გააგრძელებს. ახალი ხელშეკრულების ვადა 2010 წლამდე იქნება. ხელმოწერის დაჩქარება საკვირაო დერბიში მიღწეულმა წარმატებამ გამოიწვია. ამ გამარჯვებას **მასიმო მორატიმ** "შედევრი" უწოდა და მის მთავარ შემოქმედად თავისი მწვრთნელი გამოაცხადა. კვირას საბოლოოდ დამტკიცდა, რომ "ინტერს" იტალიაში მეტოქე არ ჰყავს, ანუ მანჩინი პოსტზე დარჩენას იმსახურებს, მიუხედავად იმისა, რომ გუნდის ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გაყვანა ვერ შეძლო.

ორშაბათს "ინტერ ჩენელისთვის" მიცემულ ინტერვიუში მანჩინიმ დერბის ასეთი ანალიზი გაუკეთა: "მეგონა, რომ "მილანი" კაკასთან და რონალდოსთან ერთად, ოლივეირასაც პირველი წუთიდან გამოიყვანდა. მშვენიერი შეხვედრა გამოვიდა, "ინტერი" მეტოქეზე აშკარად უფრო ძლიერი იყო, ისე, როგორც პირველი წრის შეხვედრაში (4:3). გოლები ხშირად მეტოქე მცველების შეცდომებით გადის, მაგრამ არც თავდამსხმელებს უნდა დავუკარგოთ დამსახურება. "მილანის" დაცვამ შეცდომები დაუშვა, მაგრამ ამჯერად ყველამ უნდა აღიაროს, რომ "ინტერი" "მილანზე" ძლიერი იყო და უკეთ ითამაშა. ჩემპიონთა ლიგასთან გამომშვიდობების შემდეგ, არსებობდა რისკი, რომ გუნდი ცოტათი არეულიყო, მაგრამ ბიჭებმა ყურები არ ჩამოყარეს და რეაქცია დაუყოვნებლივ გამოავლინეს. ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ "ვალენსიასთან" არ წაგვიგია და მჯერა, რომ მომდევნო წრეში გასვლას ჩვენ ვიმსახურებდით. სწორედ ამის გამო იყო, რომ ევროპის მიღმა დარჩენამ ჩვენზე კვალი ვერ დატოვა". ამის შემდეგ მწვრთნელმა **იბრაჰიმოვიჩის** შესახებ ისაუბრა: "ზლატანი ფენომენია და, როგორც არაერთხელ მითქვამს, მომატება კიდევ შეუძლია. ვფიქრობ, მალე მიაღწევს იმ დონეს, როცა თვითონ გადაწყვეტს, გოლი გაიტანოს თუ პარტნიორს გაატანინოს. დერბის მეორე ტაიმში ეს უკვე გააკეთა, მაგრამ შეუძლია, რომ ყოველ თამაშში იგივე გააკეთოს, რადგან ამისთვის ყველა პირობა აქვს. მრავალი ასპექტის დახვეწა შეუძლია, თუმცა უკვე ყველაფერში არაჩვეულებრივია. არაჩვეულებრივი იყო მაშინაც, როცა "ვალენსიასთან" გავარდნის შემდეგ თქვა, ჩემი ბრალი იყო, სათანადოდ ვერ ვითამაშეო. ფეხბურთელები კარგად იცნობენ საკუთარ შესაძლებლობებს და იციან, როდის ითამაშეს შედარებით სუსტად. ამ აღიარებით მან ყველას დიდებული მაგალითი მისცა, თუმცა მე იბრას არ ვეთანხმები: ვალენსიაში ყველამ მაქსიმუმი გააკეთა: შეიძლება, დამაგვირგვინებელ ფაზაში ცოტა სიბრაზე გვაკლდა, ასე რომ არა, ახლა სხვა თემებზე ვილაპარაკებდით."

**გოგა ახალაძე**

ინტერვიუ რობერტო დონადონისთან

# ოქროს ბურთი იბრაჰიმოვიჩს? არა, კაკას...

## სკუადრა აძურის მწვრთნელი ტიფოზების შეკითხვებს პასუხობს

**28 მარტს ბარიში იტალიის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრაში შოტლანდიას უმასპინძლებს. ორშაბათს "სკუადრა აძურის" მწვრთნელი რობერტო დონადონი "გაძეტა დელლო სპორტის" რედაქციას ესტუმრა და ტიფოზების შეკითხვებს ვიდეოჩეთის საშუალებით უპასუხა. ყველაზე საინტერესო შეკითხვები და მათზე გაცემული პასუხები იტალიური გამოცემის ფურცლებზე გუშინ გამოქვეყნდა.**

**- იტალიის ნაკრების თამაშს კრიტიკა არ აკლია, განსაკუთრებით უცხოეთიდან. რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?**

- არის გარკვეული ეტიკეტები, რომელსაც ძნელად თუ მოიშორებ, რადგან იტალიის ნაკრებს ეს ტრადიციულად მოსდევს. "სკუადრა აძურას" ყოველთვის ჰქონდა საკუთარი სტილი და ხელწერა და ეს ერთი ხელის მოსმით არ შეიცვლება. ცხადია, რომ გარკვეული ასპექტების გამოსწორებასა და გაუმჯობესებას ყოველთვის ვცდილობთ, აქ ლამაზ და სანახაობრივ თამაშსაც ვგულისხმობ.

**- რამდენად ძნელია იმ გუნდის სტიმულირება, რომელმაც სულ რაღაც თვეების წინათ მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო?**

- ეს ერთ-ერთი ყველაზე დელიკატური ასპექტია იმ თანამდებობაზე, რომელსაც გასულ ზაფხულს დავთანხმდი. მაგრამ ფეხბურთს თავადაც ვთამაშობდი და ამ გამოცდილებამ მასწავლა, რომ გამარჯვებას შეუძლია, სტიმულიც მოგცეს და ახალი გამარჯვებების მოთხოვნილება გაგიჩინოს. ერთ რამეში დარწმუნებული ვარ: ეს გუნდი გამძღარი და თვითკმაყოფილი არ არის.

**- ბევრს სჯერა, მათ შორის "აძურის" წევრებსაც, რომ ზაფხულში მომხდარმა სკანდალმა გუნდს სხვა მუხტი მისცა და სამუნდიალო ტრიუმფამდე მიიყვანა. ამის გათვალისწინებით, ხომ არ გაქვთ სურვილი, რომ ევროპის ჩემპიონატის წინ კიდევ ერთი მსგავსი სკანდალი გამეორდეს?**

- სირცხვილი და აბსურდი იქნებოდა, რომ მსგავსი მოვლენების იმედზე ვიყო. ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპისკენ გეზი უკვე აღებული გვაქვს, საკმაოდ რთულ ჯგუფში მოვხვდით, საფრანგეთი, უკრაინა და შოტლანდია ძლიერი გუნდები არიან. შოტლანდიასთან 28 მარტის შეხვედრა უმნიშვნელოვანესი იქნება. თუ ფინალურ ეტაპზე გავალთ, რაშიც ეჭვი არ მეპარება, გარწმუნებთ, რომ იქ თავს არ დავზოგავთ. მსოფლიო ჩემპიონატზე გამარჯვების შემდეგ, ყველა ჩასაფრებულია და გაორმაგებული მონდომებით გვეთამაშება, თუმცა ამას შეუძლია, რომ ჩვენთვის დამატებითი სტიმული იყოს.

**- ტოტი ნაკრებში როდის დაბრუნდება?**

- ფრანჩესკომ უმძიმესი ტრავმა და ოპერაცია გადაიტანა, მერე კი მუნდიალზე დაჩქარებული ტემპებით თამაში მოუწია. ახლა რეაბილიტაციის პროცესი ბოლომდე უნდა მიიყვანოს. ამის თაობაზე შემოდგომაზეც ვილაპარაკეთ და გასულ დღეებშიც (ფედერკალჩომ ოფიციალურად განაცხადა, ტოტი ნაკრებს სექტემბერში დაუბრუნდება).

**- კასანოზე რა აზრის ხართ?**

- მოედანზე ეპიზოდურად უწევს გასვლა, მაგრამ ცოტა დროშიც ახერხებს კარგად თამაშს. იმედი მაქვს, რომ ასე გააგრძელებს და ნაკრებსაც გამოადგება.

**- დელ პიეროს გამოიძახებთ? შევძლებთ, რომ ტოტი-დელ პიეროს წყვილი ვიხილოთ?**

- გამოვიძახებ თუ არა, ამას დრო გვიჩვენებს, ისე კი ალე მშვენივრად თამაშობს. ტოტის მეწყვილეობას რაც შეეხება, ამ როლში დელ პიერო ნაკლებად წარმომიდგენია, რადგან რგოლებს შორის ბალანსი უნდა შევინარჩუნო და ამასთან, ბევრი დიდი თავდამსხმელი მყავს.

**- პალადინო დელ პიეროს მემკვიდრეა?**

- პალადინოს მწვრთნელი "ლივორნოში" ვიყავი და მას კარგად ვიცნობ. ძალიან ნიჭიერი ბიჭია და ახლა ყველაფერი მასზეა დამოკიდებული. არ უნდა ჩათვალოს, რომ უკვე ყველაფერს მიაღწია, თავი უნდა ჩაღუნოს და ბევრი იმუშაოს.

**- ნესტა და კანავარო ტრავმირებულები არიან. მათი სათანადოდ შეცვლა გაჭირდება. შესაძლებელია, რომ "ოქროს ბურთის" პრიზიორის ადგილი კრიშიტომ ("ჯენოას" 20 წლის მცველი) დაიკავოს?**

- კრიშიტო პერსპექტიული ახალგაზრდაა, მაგრამ მისნაირებს ბევრს ვაკვირდები. ნესტასა და კანავაროს არყოფნა ცუდია, მაგრამ ჩვენ გვყავს მატერაცი, ბარძალი და ბონერა, სამივე მშვენიერ ფორმაშია.

**- ჩვენს ახალგაზრდებს თავიანთ გუნდებში ადგილის პოვნა უჭირთ.**

- ამის მიუხედავად, ნამდვილი ტალანტები არასდროს იკარგებიან. წლების წინათ გადაწყდა, რომ ჩემპიონატის კარი უცხოელებისთვის გაგველო და ახლა უკან ვერ დავბრუნდებით. ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ 21-წლამდელთა ნაკრების სამწვრთნელო შტაბთან. როგორც კი რომელიმე ახალგაზრდა თავს გამოიჩენს, კაზირაგი მას მაშინვე იწვევს. სამუშაო, რომელსაც კაზირაგი ატარებს, მნიშვნელოვან შედეგებს იძლევა.

**- იბრაჰიმოვიჩს შეუძლია, რომ ახალი ვან ბასტენი გახდეს?**

- მარკო ერთ-ერთია იმ ორ-სამ საუკეთესო ფეხბურთელს შორის, ვისთან ერთადაც მოედანზე მითამაშია. იბრაჰიმოვიჩს ვუსურვებ, რომ მისი დონისთვის მიაღწიოს, მაგრამ საამისოდ გრძელი გზა აქვს გასავლელი.

**- "ოქროს ბურთისთვის" ბრძოლაში თქვენი ფავორიტი იბრაჰიმოვიჩია?**

- მის მიმართ ცოტა კრიტიკული ვარ, რადგან ვფიქრობ, რომ მისი ნიჭის მქონე ფეხბურთელს ბევრად მეტის გაკეთება შეუძლია, ვიდრე აკეთებს. "ოქროს ბურთს" ის იგებს, ვინც მთელი სეზონის განმავლობაში მაღალ დონეზე თამაშობს. ბოლო ორ-სამ სეზონში ნაჩვენები სტაბილურობისთვის, დღეს ხმას კაკას მივცემდი.

**- ვინ არის მიმდინარე სეზონის აღმოჩენა?**

- სპალეტიმ "რომასგან" დიდი გუნდი გააკეთა, ვფიქრობ, რომ ამ "რომას" ჩემპიონთა ლიგის ფინალამდე მისვლაც შეუძლია. დელიო როსიმაც დიდი სამუშაო ჩაატარა, "ლაციო" შესანიშნავი გუნდია, მიუხედავად იმისა, რომ მისი მოთამაშეების კლასი ძალიან მაღალი არ არის. რომაული გუნდების შემდეგ ძალიან მომეწონა მაცარის "რეჯინა".

დონადონი ტოტის უკანასკნელად ერთი თვის წინათ, იტალიის განათლების სამინისტროში, ახალგაზრდული პროექტის პრეზენტაციაზე შეხვდა

**გოგა ახალაძე**

ბაიერნი. ახალწვეულის პორტრეტი

# პატარა პრინცი სოსიტა

## ვერონი და სიმეონე ერთხმად: ის დიდ ფეხბურთს ითამაშებს!

**მაშასე, ჰამით ალთინთოფისა და იან შლაუდრაფის შემდეგ მიუნხენის „ბაიერნმა“ მომავალი სეზონისთვის კიდევ ერთი ტრანსფერი სრულყო და კონტრაქტი გაუფორმა ლა პლატის „ესტუდიანტესის“ შემტევ ნახევარმცველ ხოსე ერნესტო სოსას, რომელიც რეკორდმაისტერს ზაფხულიდან მიაშურებს. ჩვენი გაზეთის მკითხველი ალთინთოფსა და შლაუდრაფს საკმაოდ კარგად იცნობს, აი, 21 წლის სოსა კი თქვენთვის ჯერ მაინც უცნობი ფეხბურთელია. და ალბათ საინტერესოა, რას წარმოადგენს და რა შეუძლია არგენტინელს, რომელშიც „ბაიერნის“ ხელმძღვანელებმა 10 მილიონ ევრომდე გადაიხადეს.**

თუკი ბუნდესლიგაში ორი გუნდი ქულების თანაბარ რაოდენობას აგროვებს, ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ბურთების შეფარდებას ენიჭება. არგენტინაში ეს სხვანაირადაა – იქ გადამწყვეტი მატჩი ინიშნება ხოლმე. მიუხედავად ამისა, მოდით, მაინც წარმოვიდგინოთ, რომ მიუნხენის „ბაიერნს“ ასეთი „ფინალი“ აქვს რომელიმე ვიზავისთან და ამ მატჩში ჩემპიონობის ბედი წყდება. მოკლედ, მეორე ტაიმის დაწყებიდან უკვე საკმაო დროა გასული და „ბაიერნი“ აგებს, ანგარიშია 0:1. საქმეს კი ისეთი პირი უჭირს, რომ მიუნხენელები წონასწორობის აღდგენას ვერ მოახერხებენ, რადგან მეტოქისგან განსხვავებით თამაში არ მისდით. ამ დროს კი, ნახევრად მარცხენა პოზიციიდან ინიშნება ჯარიმა, რომელიც, **როი მაკაიმ** უნდა შეასრულოს. კარამდე მანძილი 18 მეტრია. გულშემატკივრებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ სწორედ მაკაი დაარტყამს. და ამ დროს, ყველასათვის მოულოდნელად, მასთან მიდის ახალგაზრდა, 21 წლის ფეხბურთელი და ხელს ჰკრავს, იქით გამეცალე, მე უნდა დავარტყაო. ვეტერანი თავს შეურაცხყოფილად გრძნობს, მაგრამ გამოუცდელ თანაგუნდელს მაინც არ ეწინააღმდეგება. ახალგაზრდა კი ურტყამს და მერე როგორ! ბურთი კედელს სცდება და კარის ბადეში ეხვევა. 1:1...

ზუსტად ასეთი რამ მოხდა 12 დეკემბერს, აპერტურის გადამწყვეტ მატჩში, რომელშიც ერთმანეთს ლა პლატის „ესტუდიანტესი“ და „ბოკა ხუნიორსი“ ხვდებოდნენ. მეორე ტაიმი გახლდათ და ანგარიში 1:0 იყო „ბოკას“ სასარგებლოდ, როცა 21 წლის **ხოსე ერნესტო სოსამ** 65-ე წუთზე „ესტუდიანტესის“ გამოცდილ ლიდერს, წლების მანძილზე ერთ-ერთ საუკეთესო არგენტინელ ნახევარმცველსა და სტანდარტული სიტუაციების ოსტატ **ხუან სებასტიან ვერონს** ჯარიმის შესრულება არ დაანება, თვითონ დაარტყა და გოლიც გაიტანა. ამ გოლით მან არა მარტო „ბოკა ხუნიორსის“ მეკარე **ბობადილია** დაამწუხრა, არამედ გააოგნა ვერონიც, მაგრამ მთავარი მაინც ის გახლდათ, რომ გოლი გავიდა და, ამრიგად, ხუანს „პატარა პრინცთან“ (სწორედ ასე მიმართავენ სოსას „ესტუდიანტესის“ ფანები) პრეტენზია აღარ ჰქონია. ამ გოლიდან რამდენიმე წუთის შემდეგ „ესტუდიანტესმა“ კიდევ ერთხელ იხეირა და აპერტურა მოიგო – ეს ლა პლატური კლუბისთვის ბოლო 23 წლის განმავლობაში პირველი ტიტული გახლდათ.

*„როგორ გეკადრებათ, სულაც არ ვუბრაზდები. მან ხომ უდიდესი მნიშვნელობის გოლი შეაგდო,“* – ამბობდა მატჩის შემდეგ 32 წლის ვერონი და იქვე დასძენდა, - *„ერთ დღესაც სოსა მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი გახდება!“* „ესტუდიანტესის“ მწვრთნელმა, ასევე ვერონის პლეადის კაცმა **დიეგო სიმეონემ** კი თქვა: *„ვამაყობ იმით, რომ გუნდში მყავს ფეხბურთელი, რომელიც არავის ეპუება. ვერონისთვის ჯარიმის დარტყმის უფლების წართმევა დიდ ვაჟკაცობას მოითხოვს. მჯერა, ეს ბიჭი დიდ ფეხბურთს ითამაშებს.“*

ჰო, მაგრამ სულ მალე სოსა „ესტუდიანტესს“ დატოვებს და ევროპაში, კერძოდ კი გერმანიაში გადაბარგდება, სადაც თვით მიუნხენის „ბაიერნის“ მაისურას მოირგებს. Principito ანუ, „პატარა პრინცი“ მას დარტყმის შესანიშნავი ტექნიკის გამო შეარქვეს. სხვათა შორის, ეს მეტსახელი სოსას ვერონის მამამ მოუგონა, რომელიც ლა პლატური კლუბის ბავშვთა გუნდის დამრიგებელია. ხოსე ერნესტოც სწორედ მის ხელშია გაზრდილი. ვერონის მამას სოსა ყოველთვის დიდ **ენცო ფრანჩესკოლის** აგონებდა, ურუგვაის პრინცს, რომელიც „რივერ პლეიტში“ გატარებული შესანიშნავი ხანის (10 წელზე მეტი) შემდეგ უამრავი არგენტინელის კერპიც გახდა. მაგრამ სოსას, რომელსაც მოფერებით „სოსიტასაც“ ეძახიან, ზუსტი და ტექნიკური დარტყმის გარდა ბევრი სხვა პლუსიც აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ 7 ნომრიანი მაისურით თამაშობს, წმინდა წყლის ფლეიმეიქერია, გამთამაშებელი, რომელმაც გუნდის რიტმი უნდა აკონტროლოს და თავდამსხმელები პასებით დაანაყროს. რომელსაც უნდა ჰქონდეს სისწრაფე, შესაშური ტექნიკა, ასევე მოედნის ხედვისა და საფეხბურთო აზროვნების უნარი. *„იმის გათვალისწინებით, რომ სოსიტა ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდაა, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მას აქვს შანსი, გახდეს მსოფლიო დონის ვარსკვლავი. სოსა არგენტინის ჩემპიონატში ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია. მასზე უკეთესი იქ არავინაა,“* – აცხადებს არგენტინის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი, ამჟამად კი „ჰამბურგის“ ბავშვთა გუნდის მწვრთნელი **რომოლფო ესტებან კარდოსო**, რომელმაც კარიერა ასევე „ესტუდიანტესში“ დაიწყო, მერე კი გერმანიას მიაშურა და ძალიან კარგად იცის ბუნდესლიგის ავან-ჩავანი. *„მოედნის შესანიშნავი ხედვა ბავშვობიდან ჰქონდა და ფლეიმეიერის პოზიცია ამიტომაც შეურჩიეს, მას ნებისმიერ მომენტში შეუძლია მომაკვდინებელი პასის გაკეთება,“* – აგრძელებს კარდოსო, რომელიც დარწმუნებულია, რომ თუ „ბაიერნის“ შეფები სოსას ზაფხულში სამხრეთი ამერიკის პირველობაზე თამაშის ნებას დართავენ, ეს უკანასკნელი ფურორს მოახდენს.

ხოსე ერნესტო სოსა

არგენტინის ნაკრების მწვრთნელმა **ალფიო ბასილემ** სოსა იმ ელიტურ ფეხბურთელთა განაცხადში შეიყვანა, რომლებსაც კვირაში ორჯერ კონსულტაციებისთვის იბარებს და სხვადასხვა რჩევა-დარიგებას აძლევს. ეს ის მოთამაშეები არიან, რომლებსაც ბასილე კოპა ამერიკისთვის ამზადებს. სოსასთვის ეს პირველი ტურნირი უნდა იყოს, რადგან ორი წლის წინ, 20 წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე სამი დღით ადრე ტრავმა მიიღო და ნაკრებს ჰოლანდიაში ვერ გაჰყვა. არადა, არგენტინა **გახოსა** და **აგუეროსთან** ერთად მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, ტურნირის გმირად კი სულაც **ლიონელ მესი** შერაცხეს. გუნდმა ეს გამარჯვება სწორედ ხოსე ერნესტო სოსას მიუძღვნა...

**გოტფრიდ ლენცი**

### ეს საინტერესოა

## ხოსე ერნესტო სოსა

**დაიბადა 1985 წლის 19 ივნისს კარკარაში. სიმაღლე: 1.79 მ. წონა: 71 კგ. ბავშვობიდან თამაშობს ლა პლატის „ესტუდიანტესში“, 1 ივნისიდან გახდება მიუნხენის “ბაიერნის“ ფეხბურთელი. არგენტინის ჩემპიონატში ჩატარებული აქვს 127 მატჩი (11 გოლი), ლიბერტადორესის თასზე 10 მატჩი, არგენტინის ეროვნულ ნაკრებში 1 მატჩი. 2006 წელს „ესტუდიანტესთან“ ერთად მოიგო აპერტურა. საერთო ჯამში გერმანიის პირველობაზე 29 არგენტინელს უთამაშია. დღეს ბუნდესლიგაში 8 არგენტინელი ასპარეზობს. ესენი არიან:**

| ფეხბურთელი | კლუბი | რიდან |
|---|---|---|
| დიეგო ფერნანდო კლიმოვიჩი | ვოლფსბურგი | 2001 |
| მარტინ ბასტონ დემიკელისი | ბაიერნი | 2003 |
| ხუან კარლოს მენსიზესი | ვოლფსბურგი | 2003 |
| ფაბუნდო ორმან ქიროგა | ვოლფსბურგი | 2004 |
| ორასიო ხავიერ პინოლა | ნიურნბერგი | 2005 |
| კრისტიან ხიმენესი | ჰერტა | 2006 |
| ჯონათან სანტანა | ვოლფსბურგი | 2006 |
| ხუან პაბლო სორინი | ჰამბურგი | 2006 |

ბაიერნი

# ახალი კონტრაქტი 37 წლის კანს?

## ოლის ხელშეკრულება 2008 წელს ეწურება...

ის, რომ კვირას „ბაიერნმა“ „ვერდერს“ ვერ მოუგო (1:1), მეტწილად **ოლივერ კანის** ბრალიც გახლდათ, რომელმაც გამოსვლაზე ვერ ივარგა და აშკარად შეცდომა დაუშვა, რაც რეკორდმაისტერს ჯერ გაშვებულ გოლად, საბოლოო ჯამში კი, უშუალო კონკურენტთან 2 ქულის დაკარგვის ფასად დაუჯდა. ბავარიული გიგანტის მთავარი მწვრთნელი **ოტმარ ჰიტცფელდი** არ უარყოფს, რომ კანმა მართლაც შეცოდა: *„შეეძლო, უკეთესად ეთამაშა და ასეთ შემთხვევაში გოლს არ გავუშვებდით. ხანდახან მინდა, რომ ოლიმ უფრო მეტი გარისკოს, მაგრამ ამის გამო ვერ ვუსაყვედურებ. სამაგიეროდ, „რეალთან“ შეხვედრაში არაერთხელ გვიხსნა,“* – აცხადებს გენერალი.

გუშინ „ტიტანს“ გუნდთან ერთად არ უვარჯიშია, რადგან „ვერდერთან“ მატჩის დროს ბრემენული კლუბის ფორვარდ **უგო ალმეიდასთან** შეჯახებისას ტრავმა მიიღო და ზურგი იტკინა. მაგრამ ტრავმა სერიოზული არ არის. ასე რომ, მომდევნო ტურში, რომელშიც „ბაიერნი“ ფრანკფურტის „აინტრახტს“ სტუმრობს, ოლი აუცილებლად ითამაშებს. „ტიტანს“ ძალიან გაახარებდა ის ინფორმაცია, რომელიც ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა გუშინ გაავრცელეს.

მიუხედავად იმისა, რომ ოლი უკვე 37 წლისაა და 15 ივნისს 38 წელი უსრულდება, „ბაიერნის“ ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგე** მზადაა, ახალი კონტრაქტი გაუფორმოს. და ეს ყველაფერი მიუხედავად იმისა, რომ კანის ამჟამინდელ ხელშეკრულებას ამ სეზონის ბოლოს კი არა, 2008 წლის ზაფხულში გასდის ვადა. ანუ, ის, რომ ოლივერი მომავალ სეზონშიც რეკორდმაისტერის კარს დაიცავს, ისედაც ნათელია. რუმენიგე მას კიდევ 1 ან 2 წლით ურჩევს დიდ ფეხბურთში დარჩენას და თუ ოლი კალეს აზრს გაიზიარებს და კონტრაქტს გააგრძელებს, გამოდის, რომ ფეხბურთს 40 წლამდე ითამაშებს.

*„ოლის კონტრაქტი 2008 წელს უმთავრდება, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ მას შეუძლია, კიდევ 1 ან 2 წელი ითამაშოს. ეს, რა თქმა უნდა, თვითონ მისი გადასაწყვეტია, მაგრამ თუ კონტრაქტის გაგრძელებას გადაწყვეტს, მინდა იცოდეს, რომ ჩვენ ამისთვის მზად ვართ,“* – ამბობს რუმენიგე.

ახალი კონტრაქტი 37 წლის მეკარეს? ფაქტი ის გახლავთ, რომ ოლი მიმდინარე სეზონში საკმაოდ კარგად თამაშობს და „ვერდერთან“ დაშვებული შეცდომა, კანისთვის ამ სეზონში პირველი იაღლიში იყო. ის აქამდე ყოველთვის ამბობდა, ვფიქრობ, რომ აქტიურ სპორტულ კარიერას 2008 წელს დავასრულებო, მაგრამ ყოველთვის ამატებდა, თუ ფიზიკურად კარგ ფორმაში ვიქნები, არც იმას გამოვრიცხავ, რომ ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდება 2010 წლამდე გადავდოო. თუ „ტიტანი“ კონტრაქტს მართლაც გაახანგრძლივებს, ეს, ცხადია, აბსოლუტურად ყველა ბაიერნელს გაუხარდება, გარდა ერთისა – საუბარია 22 წლის სათადარიგო მეკარე **მიხაელ რენზინგზე**, რომელიც უკვე დიდი ხანია ამაოდ ელის კანის პენსიაზე გასვლას...

**გოტფრიდ ლენცი**

ოლი კანი ახალი კონტრაქტის მოლოდინშია

## პირსს კარისკენ მიუთითებენ, ბარტონი ლივერპულში ან არსენალში წავა

“მანჩესტერ სიტი” სტიუარტ **პირსის** დათხოვნას აპირებს. კვირას, 10-კაციან “ბლექბერნთან” ასოციაციის თასის მეოთხედფინალში წაგებამ დირექტორთა მოთმინების ფიალა აავსო. ახალგაზრდა მწვრთნელს სხვა სამსახურის მოძებნა მოუწევს იმ შემთხვევაშიც კი, თუ კლუბს პრემიერლიგაში ადგილს შეუნარჩუნებს. “სანის” ცნობით, “სიტის” პირსის შემცვლელები უკვე შეგულებული ჰყავს. ის არჩევანს ბოლტონელ **სემ ელერდაისსა** და ვიგანელ **პოლ ჯუელს** შორის გააკეთებს. სხვათა შორის, პირსმა სეზონის ბოლომდე შეიძლება ვეღარც კი გაატანოს. დღეს მანჩესტერელები პრემიერლიგის გამოტოვებულ მატჩში “ჩელსის” ხვდებიან. თუ “არისტოკრატები” მეტოქეს შავ დღეს დააყრიან, სტიუარტს ბარგის ჩალაგება მოუწევს. ფინანსური პრობლემების მიუხედავად, იანვრის ტრანსფერებისას პირსს 13 მილიონი გირვანქა გამოუყვეს. როგორც ირკვევა, ეს თანხა წყალში გადაიყარა.

“სიტი”, შეიძლება, კიდევ ერთ წევრს გამოეთხოვოს. საუბარია წამყვან ნახევარმცველ **ჯო ბარტონზე**, რომელსაც “არსენალი” და “ლივერპული” ეპატიჟებიან. “დეილი მეილის” ცნობით, ფეხბურთელი თანახმაა, “სიტიში” დარჩეს, თუ კლუბი გავარდნას გადაურჩება. მაგრამ დაქვეითების შემთხვევაში, ტრანსფერზე დაყენებას მოითხოვს. ეს კლუბის ინტერესებშიც იქნება. მანჩესტერელებს ფული სჭირდებათ. სოლიდური ფულის აღება კი მხოლოდ რამდენიმე ფეხბურთელის გაყიდვით შეიძლება. მათგან ერთ-ერთი ბარტონია. მოსალოდნელი ტრანსფერის დეტალები უცნობია.

დორტმუნდი. ახალი მწვრთნელი

# ბორუსია დოლზე დაუკრავს

## მაგათმა და ზამერმა უარი თქვეს, თომასი კი მაშინვე დათანხმდა...

თომას დოლი

**იურგენ რიობერმა** დორტმუნდის „ბორუსიის“ თავკაცის რანგში 10 კვირაზე მეტ ხანს ვერ გაძლო. გუშინდელ ნომერში გაცნობეთ, რომ 53 წლის სპეციალისტი ორშაბათს თანამდებობიდან გადადგა. გუშინდელ ნომერში იმასაც ვიუწყებოდით, რომ „დორტმუნდის“ ბოსები რიობერის შემცვლელად სამ სპეციალისტს მოიაზრებდნენ: **ფელიქს მაგათს, მათიას ზამერსა** და **თომას დოლს**. „ბაიერნის“ ექს-მწვრთნელმა და გერმანიის საფეხბურთო კავშირის სპორტულმა დირექტორმა BVB-ს ბოსებს სამშაბათს უარი შეუთვალეს, რის შემდეგაც გუნდის მენეჯერი **ჰანს-იოახიმ ვატცკე** „ჰამბურგის“ ექს-თავკაც დოლს დაუკავშირდა და მისგან მაშინვე თანხმობა მიიღო. მაშ ასე, ამიერიდან დორტმუნდის „ბორუსიას“ 40 წლის ოცი გაწვრთნის, კაცი, რომელიც 31 იანვარს „ჰამბურგიდან“ გაათავისუფლეს.

ზამერის უარი თავიდანვე მყარი გახლდათ, აი, მაგათმა კი მოსაფიქრებელი დრო ითხოვა და ვატცკეს დაპირდა, საბოლოო პასუხს ორ-სამ დღეში გაცნობებო. მაგრამ BVB-ს შეფმა „დესპოტ ფელიქსს“ უთხრა, პასუხი დღესვე მჭირდებაო. რამდენიმე საათის შემდეგ მაგათმა მას დაურეკა და ამცნო, რომ ამ საქმეს ხელს არ მოჰკიდებდა. სწორედ ამის შემდეგ გადაიტანა ვატცკემ აქცენტი დოლზე.

თვენახევრის წინათ „ჰამბურგიდან“ გაგდებული თომასი „ბორუსიაში“ გუშინ ნაშუადღევს ვატცკემ და სპორტულმა დირექტორმა **მიხაელ ცორკმა** წარადგინეს. გაფორმდა კონტრაქტი, რომელსაც ვადა 2008 წლის ივნისამდე აქვს (ხელფასი: წელიწადში 1 მილიონი ევრო). ხელშეკრულებაში ჩადებულია ისეთი პუნქტიც, რომლის მიხედვითაც თომასი BVB-ს მეორე ბუნდესლიგაშიც უხელმძღვანელებს. მოგეხსენებათ, ვესტფალიური კლუბი ახლა მე-13 ადგილზეა და გასავარდნ ზონას მხოლოდ 1 ქულა აშორებს. გუშინვე დოლმა „ბორუსია“ პირველად ავარჯიშა. შაბათს კი ამ გუნდის დამრიგებლის რანგში დებიუტი ექნება - „დორტმუნდი“ „ნიურნბერგს“ მასპინძლობს და ცნობისთვის, „ვესტფალენშტადიონზე“ ყველა ბილეთი (81 000) გაყიდულია...

*„ეს ჩემთვის უდიდესი გამოწვევა და პატივია. როცა 40 წლის მწვრთნელს ისეთი გუნდი გეპატიჟება, როგორიც დორტმუნდის „ბორუსიაა“, დიდხანს არ უნდა იფიქრო. თანაც, დიდი ხანი არაა, რაც უმუშევარი ვარ. მეც მაშინვე დავთანხმდი და ბედნიერი ვარ, რომ ამ პოსტზე დავინიშნე. ამ სეზონის პირველი ნახევარი ჩემთვის ძალიან უიღბლო გამოდგა, მჯერა, რომ დასკვნითი ნაწილი იღბლიანი და წარმატებული იქნება. ახლა უკვე „ნიურნბერგთან“ მატჩზე ვფიქრობ, რომელიც აუცილებლად უნდა მოვიგოთ. დღეიდანვე ინტენსიურ მუშაობას უნდა შევუდგეთ, რათა გასავარდნ ზონას სწრაფად მოვშორდეთ და თავი სამშვიდობოს დავიგულოთ. ამ გუნდს უდიდესი პოტენციალი გააჩნია და მე ვფიქრობ, რომ მომავალ სეზონში უკვე მაღალი მიზნებისთვის ბრძოლას შევძლებთ. მაგრამ მანამდე თითოეულმა ფეხბურთელმა უნდა გაითავისოს, რომ მდგომარეობა საკმაოდ სახიფათოა. მჯერა, გუნდი გამომყვება და განაცდელის წინაშე არ აღმოვჩნდებით. ჩემი კონტრაქტი მეორე ბუნდესლიგაზეც ვრცელდება, მაგრამ ამაზე არ ვფიქრობ,“* – განაცხადა დოლმა პრესკონფერენციაზე.

აღსანიშნავია, რომ „დორტმუნდს“ დოლის გადაბირება ჯერ კიდევ 1990 წელს უნდოდა – როგორც ფეხბურთელის. მაგრამ მაშინ თომასი, რომელიც გდრ-ის ნაკრებში თამაშობდა, ბერლინის „დინამოდან“ „ჰამბურგში“ გადავიდა. 2004 წლის 18 ოქტომბერს ის ყველასთვის მოულოდნელად HSV-ს მწვრთნელი გახდა, სადაც **კლაუს ტოპმიოლერი** შეცვალა. დოლმა „ჰამბურგი“ იმ დროს ჩაიბარა, როცა ეს გუნდი ბოლო ადგილზე იყო და მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითება ემუქრებოდა. სხვათა შორის, მაშინ პირველივე მატჩი „დორტმუნდთან“ ჰქონდა, რომელიც „ჰამბურგმა“ 2:0 მოიგო. დოლთან ერთად ჩრდილოგერმანულმა კლუბმა ჯერ ელიტაში ადგილი შეინარჩუნა, მომდევნო სეზონში კი (2005/06) გერმანიის ჩემპიონობისთვის იბრძოლა და საბოლოოდ ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვა. მაგრამ ამ სეზონში „ჰამბურგმა“ თომასთან ერთად სრული ფიასკო განიცადა - როგორც ჩემპიონთა ლიგაში, ასევე ბუნდესლიგაშიც. დოლის დამსახურებების გამო, გუნდის შეფებმა დიდხანს ითმინეს და საბოლოოდ 31 იანვარს გაათავისუფლეს („ჰამბურგს“ ახლა **ჰუუბ სტევენსი** წვრთნის). დოლს სამწვრთნელო კარიერაში საკმაოდ კარგი ბალანსი აქვს: 43 თამაში, 25 მოგება, 8 ფრე და 10 მარცხი. ის ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ გერმანელ სპეციალისტად ითვლება.

### რიობერი: მეტცელდერი გუნდიდან უნდა გამეგდო!

ამასობაში, დოლის წინამორბედმა რიობერმა „რურ ნახრიხთენს“ ინტერვიუ მისცა, სადაც დორტმუნდიდან წასვლის მიზეზებზე ისაუბრა და რამდენიმე საიდუმლო გამოააშკარავა. რიობერი გაოგნებულია **კრისტოფ მეტცელდერისა** და **სებასტიან კელის** საქმისადმი მიდგომით.

*„ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ თამაშის ხარისხზე, წარუმატებლობა დავაბრალოთ ტრავმებს ან დისკვალიფიკაციებს, მაგრამ გვერდს ვერ ავუვლით კიდევ ერთ რამეს და კერძოდ, ზოგიერთი ფეხბურთელის მენტალიტეტს. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ფეხბურთელებმა ვერ გამიცნეს. განსაკუთრებით მეტცელდერმა გამაკვირვა. სანამ „ბორუსიის“ მწვრთნელად დავინიშნებოდი, მეგონა, რომ კრისტოფი ერთერთი ლიდერი და წამყვანი ფიგურა იყო, მაგრამ სასტიკად შევცდი და ვიცაც დღემდე ჰგონია, რომ მეტცე გუნდის ლიდერია, ისიც ძალიან ცდება. მოდით, ასე ვიტყვი: პირადად მე, სირბილის დროს ყოველთვის წინ ვიყავი, მეტცელდერი კი ყოველთვის უკან მოჩანჩალებდა. მხოლოდ ორ ფეხბურთელს არ ვემდური. ესენი არიან ფლორიან კრინგე და მარკუს ბრჟენსკა,“* - აცხადებს რიობერი ხსენებულ ინტერვიუში.

ამასთან, დორტმუნდის ექს-დამრიგებელი იხსენებს „ბოხუმთან“ მატჩის წინ გამართულ ვარჯიშს, როცა მას კელთან და მეტცელდერთან კამათი მოუვიდა: *„ერთი კვირის უვარჯიშებლები იყვნენ. მე გუნდი ორად გავყავი, მინდოდა, მეტცელდერსა და კელსაც ეთამაშათ, მაგრამ გამომიცხადეს, ჩვენ არ გვინდაო. წარმოგიდგენიათ? რამდენიმე წუთის განმავლობაში ვარწმუნებდი, რომ აუცილებლად უნდა ეთამაშათ.“* მეტიც, რიობერი აღიარებს, გული მწყდება, ისინი გუნდიდან რომ არ გავყარეო: *„ვარჯიშების დროს ხშირად ისეთი გრძნობა მქონდა, რომ მზად ვიყავი, მეტცე და კელი გუნდიდან გამეგდო და ახლა ენუხვარ, ასე რომ არ მოვიქეცი. ვფიქრობდი, თუ მუშაობა არ უნდათ, წავიდნენ და გამოიცვალონ, საერთოდ განაცხადში აღარ შევიყვან-მეთქი. მაგრამ გუნდი ისედაც მძიმე მდგომარეობაში იყო და ამ ორი ფეხბურთელის განაცხადიდან ამოშლა სკანდალს გამოიწვევდა. ყოველ შემთხვევაში, ახლა ვამხელ, რომ მათ გაყრაზე სერიოზულად ვფიქრობდი.“*

ალბათ ხვდებით, თუ რაოდენ მძიმე სამუშაო ელის თომას დოლს...

**გოტფრიდ ლენცი**

ყოფილი მეტოქეები: ამიერიდან ვიორნსი დოლის თანაშემწე იქნება

### ეს საინტერესოა

### დორტმუნდის ყველა მწვრთნელი ბოლო 10 წელიწადში

| მწვრთნელი | როლიდან | როლამდე |
|---|---|---|
| ოტმარ ჰიტცფელდი | 01.07.1991 | 30.06.1997 |
| ნევიო სკალა | 01.07.1997 | 30.06.1998 |
| მიხაელ სკიბე | 01.07.1998 | 04.02.2000 |
| ბერნდ კრაუსი | 08.02.2000 | 13.04.2000 |
| უდო ლატკი | 16.04.2000 | 30.06.2000 |
| მათიას ზამერი | 01.07.2000 | 30.06.2004 |
| ბერტ ვან მარვიიკი | 01.07.2004 | 18.12.2006 |
| იურგენ რიობერი | 03.01.2007 | 12.03.2007 |
| თომას დოლი | 13.03.2007 | ? |

ინგლისის ასოციაციის თასი

# საჭიროა თუ არა გადათამაშება?

## მაკლარენი წინააღმდეგია, ვენგერი ნაკრების მწვრთნელს ეთანხმება, ფერგიუსონი პატარა კლუბების ინტერესებს იცავს...

ინგლისელმა თაკაცი **სტივ მაკლარენი** ასოციაციის თასის მეოთხედფინალებით უკმაყოფილო დარჩა. "მიდლსბრო"-"მანჩესტერ იუნაიტედისა" (2:2) და "ჩელსი"-"ტოტენჰემის" მატჩები (3:3) ფრედ დასრულდა. დაინიშნა გადათამაშება. მაკლარენს კი, საკვალიფიკაციო შეხვედრების წინ, შეგირდების გადატვირთვა ყველაზე მეტად არ აწყობდა. შესარჩევ მატჩებამდე რამდენიმე დღით ადრე 14 ფეხბურთელი სათასო ბატალიებში იქნება ჩაბმული. ზოგიერთი, შეიძლება, დაშავდეს კიდეც. 19 მარტს (გადათამაშებების დღეს) ინგლისელთა შეკრება იწყება. შეკრებაზე დაგვიანებით გამოცხადდებიან მანჩესტერელები - **გარი ნევილი, რიო ფერდინანდი, უეინ რუნი, მაიკლ ქერიკი** და **ვესლი ბრაუნი**; მიდლსბროელი **სტიუარტ დაუნინგი**; ჩელსელები - **ჯონ ტერი, ეშლი კოული, ფრენკ ლემპარდი** და **უეინ ბრიჯი** და ტოტენჰემელები - **პოლ რობინსონი, აარონ ლენონი, ჯერმეინ დეფო** და **ჯერმეინ ჯენასი**.

დანარჩენ ევროპას სასაცილოდ არ ჰყოფნის ინგლისელთა ჯიუტი ერთგულება გადათამაშებების მიმართ. ხომ შეიძლება, ყველაფერი ერთ საღამოს დასრულდეს, დამატებითი დროით, ან პენალტების სერიით, როგორც ყველა სხვა ქვეყანაში ხდება? დებატები გადათამაშებების გაუქმების მოთხოვნით **არსენ ვენგერმა** იანვარში წამოიწყო. "არსენალის" თავკაცმა "ბლექბერნთან" უგოლო მეოთხედფინალის შემდეგაც ანალოგიური კომენტარი გააკეთა: *"ისევ გადათამაშება გვიწევს. არადა, ეს მატჩი არავის სჭირდება. კალენდარი გადატვირთულია. თუ მდგომარეობის გამოსწორება გვინდა, რაღაცაზე უარის თქმა უნდა შეგვეძლოს."* ვენგერის სამწუხაროდ, მისმა შეგირდებმა "ბლექბერნთან" გადათამაშება ნააგეს და ასოციაციის თასს გამოეთხოვნენ.

მაგრამ ინგლისში ისეთ მწვრთნელებსაც იპოვით, რომლებიც გადათამაშების სისწორეში დარწმუნებულნი არიან. ასეთია, მაგალითად, **სერ ალექს ფერგიუსონი**: *"ამ მატჩების ხელის ერთი მოსმით გაუქმება, არ შეიძლება. ზოგიერთი კლუბისთვის გადათამაშება მათი არსებობის ძირითადი წყაროა."* ფერგიმ ის იგულისხმა, რომ თუ პატარა კლუბი გრანდთან ფრეს თამაშობს, განმეორებითი მატჩის რეპორტაჟს დიდ ფასში ყიდის და ბიუჯეტს ავსებს.

ინგლისში პენალტებს 1991 წლიდან ურტყამენ. იქამდე ზოგიერთი სათასო პაექრობა ხუთ მატჩამდეც კი გაგრძელებულა. 1979 წელს, ასოციაციის თასის მესამე რაუნდში, "არსენალმა" "შეფილდ უენსდეის" მეოთხე გადათამაშებაში მოუგო, 2:0. იქამდე გუნდებმა თითქმის ცხრა საათი ამოდ იჭიდავეს. ერთი წლის შემდეგ, ასოციაციის თასის ნახევარფინალში "არსენალი" "ლივერპულს" გადაეყარა. მეტოქეებმა სამი გადათამაშება გამართეს და "არსენალმა" მხოლოდ მესამე ცდაზე გაიმარჯვა. ცხრა დღეში, თასის ფინალში, ის დასვენებულ "ვესტ ჰემს" შეხვდა და მინიმალურად წააგო. იმ ფინალიდან ოთხი დღის შემდეგ, გუნდმა "ვალენსიასთან" თასების თასის ფინალი გამართა. ძირითადი დრო იქაც 0:0 დასრულდა, პენალტებში კი ვალენსიელებმა იყოჩაღეს. 1980 წლის ის გვიანი გაზაფხული "მეთოფეების" ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე დრამატული პერიოდია. გუნდმა 24 დღეში 9 თამაში ჩაატარა. წარმოიდგინეთ, იმ დროს ლონდონელთა მწვრთნელი ვენგერი რომ ყოფილიყო.

ამასობაში, ინგლისში ასოციაციის თასის ნახევარფინალების კენჭისყრა გაიმართა. ორი უმთავრესი ფავორიტი, "მანჩესტერ იუნაიტედი" და "ჩელსი" ერთმანეთს ასცდა. საინტერესო კი ისაა, რომ ამ გუნდებს ნახევარფინალის საგზური ჯერაც არ აქვთ განაღდებული. ამის მიუხედავად, მათი აცდენა მაინც კენჭისყრის უმთავრეს მიღწევად ჩაითვალა. ფინალი, სავარაუდოდ, "უემბლის" უძვირფასეს სტადიონზე შედგება. ახალ არენაზე პირველ ოფიციალურ პაექრობას სწორედ ორი გრანდის დაპირისპირება მოუხდებოდა, მაგრამ...

მაგრამ "ეშმაკებმაც" და "არისტოკრატებმაც" არათუ ფინალში, ნახევარფინალში თამაშიც უნდა დაიმსახურონ. როგორც ვთქვით, მეოთხედფინალების გადათამაშება 19 აგვისტოს გაიმართება. ნახევარფინალები 14 და 15 აპრილისთვის დაინიშნა. ამ რაუნდში ერთმანეთს შეხვდებიან:

**ბლექბერნი-ჩელსი/ტოტენჰემი**
**უოტფორდი-მიდლსბრო/მანჩესტერ იუნ.**

არსენ ვენგერი გადათამაშებების უმთავრესი მონინააღმდეგეა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ სამუელ ეტოოსთან

# კარიერის ბოლო სეზონს მალიორკაში გავატარებ

## ფორვარდის გედი ხოან ლაპორტაზეა დამოკიდებული, თუმცა რაც არ უნდა მოხდეს, ფეხბურთის თამაშს ის ბალეარის კუნძულებზე დაასრულებს...

**სუპერკლასიკოს დასრულების შემდეგ ხუთი დღე გავიდა, მაგრამ დიდი გუნდების დაპირისპირებით გამოწვეული აჟიოტაჟი ჯერ კიდევ არ ჩამცხრალა. დღე ისე არ ჩაივლის, რომ ესპანურ სპორტულ გაზეთებში "ბარსელონის" ან "რეალის" რომელიმე ვარსკვლავის ინტერვიუ არ გამოქვეყნდეს. ამჯერად "დიარიო სპორტმა" სამუელ ეტოოს ინტერვიუ შემოგვთავაზა. კატალონიურ გამოცემასთან საუბარში კამერუნელი ვარსკვლავი სხვა საინტერესო თემებსაც შეეხო.**

**- სამუელ, სუპერკლასიკოს დასრულების შემდეგ, როგორ გრძნობდით თავს? ტრავმა ხომ არ გაგიმიზეზდათ?**

- დიდი მადლობა. ჩინებულად ვარ.

**- დარწმუნებული ვარ, რომ ფრეს არ გეგმავდით, თუმცა "ხიმნასტიკის" მიერ "სევილიის" დამარცხების შემდეგ კვლავ ლიდერები გახდით. ელოდით ტარაგონელთა გამარჯვებას?**

- მნიშვნელობა არა აქვს ველოდით თუ არა. მთავარია, რომ "ხიმნასტიკმა" გაიმარჯვა. ჩვენთვის ეს ძალიან კარგია. ანდალუსიელებს ბრწყინვალე შესაძლებლობა ჰქონდათ, რომ ორი ქულით გაჭრილიყვნენ წინ. სანამ ლეო მესი მესამედ გაათანაბრებდა ანგარიშს, საშინელ განწყობაზე ვიყავი. ვფიქრობდი, რომ წავაგებდით, თუმცა ლეომ სასწაული მოახდინა და ყველა ძალიან გაგვახარა. მოკლედ, წინა ტურის შედეგებით კმაყოფილები უნდა ვიყოთ. თამაშის წინ გამარჯვებას ვისახავდით მიზნად, მაგრამ შემდეგ სიტუაცია შეიცვალა. ფეხბურთელებმა ერთმანეთთან ვისაუბრეთ და აღმოვაჩინეთ, რომ მატჩის გადარჩენით უკლებლივ ყველა კმაყოფილი ვიყავით.

**- წელს გიჟურ ჩემპიონატს ვადევნებთ თვალყურს, მეთანხმებით?**

- ჩემპიონობისთვის მებრძოლი ყველა გუნდი თანაბარ დონეზე თამაშობს. გამოგიტყდებით, წელს ქულების მოპოვება შარშანდელზე უფრო რთულია. ყველა თამაშში ბოლო წუთამდე თუ არ ირბენ, მოგებაზე არც კი უნდა იფიქრო, თუმცა მთლიანობაში წინა სეზონებისგან დიდ განსხვავებას ვერ ვხედავ. კონკურენცია მაშინაც დიდი იყო.

**- კიდევ რა მსგავსებას ხედავთ?**

- ადრეც ხშირი იყო შემთხვევები, როცა სანახაობრივი თვალსაზრისით ვერ ვბრწყინავდით, მაგრამ ქულებს ვაგროვებდით. შესაძლოა, ზოგს მოსწონდეს, ზოგს არა, მაგრამ ხშირად გამარჯვებისთვის ფიზიკური ძალისხმევა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ესთეტიზმი.

**- გასაგებია, რასაც ამბობთ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ წელს უფრო სერიოზულ კონკურენციას აწყდებით.**

- "სევილია" შარშანაც ჩინებულად ასპარეზობდა. უეფას თასი შემთხვევით არ მოუპოვებიათ. ვფიქრობ, წელს ისინი კიდევ უფრო გაძლიერდნენ. ანდალუსიელები თავგანწირვით თამაშობენ და სასიცოცხლო მნიშვნელობის ქულებს აგროვებენ. ამ სეზონის დასაწყისში ბევრი ფიქრობდა, რომ მათ ძალები არ ეყოფოდათ და გაზაფხულის დასაწყისში პოზიციებს დათმობდნენ. ჯერჯერობით, საამისო არაფერი ჩანს. სევილიელთა გარდა, მაღალ კონკურენციას "ვალენსიის" საოცარი თამაშიც განაპირობებს. "ღამურები" სტაბილურობით გამოირჩევიან. ტრავმების ეპიდემიამ ამ გუნდს სისხლი გაუშრო, მაგრამ კიკე ფლორესის ბიჭებმა ურთულეს გამოცდებს გაუძლეს და აქამდე მოვიდნენ. მადრიდის "რეალს" რაც შეეხება, მას მთელი ამ დროის განმავლობაში კრიტიკის ქარ-ცეცხლი ატყდებოდა თავს, მაგრამ რამდენიც არ უნდა ილაპარაკონ, ფაქტი ფაქტად რჩება. სამეფო კლუბი მხოლოდ ხუთი ქულით ჩამოგვრჩება. ხომ ხედავთ, რამხელა კონკურენციის გადალახვა გვიწევს. ამის გათვალისწინებით, ჩვენი მიღწევები კიდევ უფრო დასაფასებელია. "ბარსელონა" ყველაზე უფრო სუსტ მეტოქესაც კი ანგარიშს უწევს და მთელი პასუხისმგებლობით ეთამაშება.

**- ეს ესაა, ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდით. მანამდე ესპანეთის, ევროპის სუპერთასებისა და საკონტინენტთაშორისო თასის მოპოვება ვერ შეძელით. მხოლოდ პრიმერა დივიზიონსა და ესპანეთის სამეფო თასზე გამარჯვების შანსი დაგრჩათ. როგორ ფიქრობთ, დუბლის შესრულება რეალური ამოცანაა?**

- რა თქმა უნდა. გულშემატკივრებს პირობას ვაძლევ, ყოველი ბარსელონელი თავს გადადებს იმისთვის, რომ დარჩენილ ორივე ტურნირში გავიმარჯვოთ. ჩვენ ეს გვსურს და გულშემატკივრები ამას იმსახურებენ.

**- როცა ლეო მესიმ ბოლო წუთზე გოლი გაიტანა, სათადარიგოთა სკამიდან გადარეულივით ნამოხტით და 50 მეტრი 7 ნამში გაირბინეთ. ტყვიასავით სწრაფი იყავით. ხომ ვერ გაგვიმხელთ, რას ფიქრობდით იმ წამებში?**

- მართლაც სპრინტერული სიჩქარით გავიქეცი. გავრბოდი, მაგრამ წარმოდგენა არ მქონდა, საით მივდიოდი. იმდენად გახარებული გახლდით, ბოლო მომენტში მოვეგე გონს. კინაღამ გულშემატკივრებში შევვარდი. ამ ჰეთტრიკით ლეო მესი კიდევ უფრო დიდი ფეხბურთელი გახდა. დარწმუნებული ვარ, მას ახლა მსოფლიო საფეხბურთო წრეებში ბევრად უფრო მეტად აფასებენ.

**- სამეფო კლუბზე რას გვეტყვით? როგორ შეაფასებთ მათ თამაშს?**

- ყველაზე მეტად იმან დამწყვიტა გული, რომ იკერ კასილიასს რამდენიმე დუელი ვერ მოვუგე. არადა, მრავალი შანსი მქონდა. ისეთი შეგრძნება დამრჩა, თითქოს მადრიდელთაგან მხოლოდ გუტი გვიქმნიდა პრობლემებს. ხოსე მარიამ ფენომენალური შეხვედრა ჩაატარა.

**- ვიქტორ ვალდესმა არაერთ სიტუაციაში გიხსნათ. როგორ ფიქრობთ, ის შეხვედრის ერთერთი გმირი იყო?**

- გენიალური მეკარე გვყავს. დიახ, მისი წყალობით წაგებას გადავურჩით. წინა სეზონებში ვალდესი იმდენად საიმედოდ თამაშობდა, რომ თამაშს თამაშზე ვიგებდით. ტიტულების მოპოვებაში მას ერთ-ერთი ყველაზე დიდი წვლილი მიუძღვის. ვიქტორი ახლაც საიმედოა. ის რომ არა, დღეს ლიდერები არ ვიქნებოდით.

**- ნუთუ, ყველაფერი მხოლოდ მისი დამსახურებაა?**

- რა თქმა უნდა, არა. ამ სეზონის კიდევ ერთი გმირი ანდრეს ინიესტაა. ზოგჯერ მას ვუყურებ და ვერ ვიჯერებ, რომ ასეთი ჩუმი და გენიალური ფეხბურთელი გვყავს.

**- უნდიანო მალიენკოზე რას გვეტყვით? სუპერკლასიკოს შემდეგ გულშემატკივრებმა მსაჯი სტვენითა და ცხვირსახოცების ფრიალით გაისტუმრეს.**

- მსაჯები ისეთივე ადამიანები არიან, როგორებიც ფეხბურთელები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შეცდომისგან არც ისინი არიან დაზღვეულები. მალიენკოს რთული მატჩი ერგო. მინდორზე ჭარბი ემოციების გამო, ძალიან ცხელოდა. სულაც არ მიკვირს, რომ არბიტრმა ამდენ დაძაბულობას ვერ გაუძლო და შეცდომები დაუშვა.

**- როგორ ფიქრობთ, ის მაშინაც შეცდა, როცა რონალდინიოს წაქცევისთვის პენალტი არ დანიშნა?**

- ამ შემთხვევაში, რიგით გულშემატკივარზე უფრო ობიექტური ვერ ვიქნები. ჩემი აზრით, პენალტი დასანიშნი იყო, მაგრამ კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ "ბარსელონის" უბრალო ფანის ლოგიკით ვსაუბრობ.

**- რიიკაარდი ბოლო დროს 3-4-3 სქემით გათამაშებთ. მის ამ გადაწყვეტილებას როგორ აფასებთ?**

- პროფესიონალები ვართ და ვალდებულები გახლავართ, რომ მწვრთნელის ნებისმიერი მოთხოვნა შევასრულოთ. სხვათა შორის, 3-4-3 სქემით წინა წლებშიც არაერთხელ გვითამაშია წარმატებით. გულწრფელად გეტყვით, გადაწყობა არ გაგვჭირვებია. თითქოს ყველაფერი ავტომატურად მოხდა. ვნახოთ, რას მოგვიტანს მომავალი. შუა ხაზში ხუთი კაცით ასპარეზობის დროსაც კარგად გამოვიყურებოდით. ჩემი აზრით, დღესდღეობით მთავარი პრობლემა არა ტაქტიკური განლაგებების პროდუქტიულობა, არამედ ფეხბურთელების მზადყოფნაა. მჯერა, უახლოეს მომავალში ყველა სირთულეს გადავლახავთ და გაცილებით უკეთ ავთამაშდებით. სეზონის დასკვნით ნაწილს კარგად მომზადებულები შევხვდებით.

**- ხშირად გვესმის, რომ "ბარსელონას" ერთსულოვნება აკლია...**

- რაც ადრე ხდებოდა, ფართო საზოგადოებისთვის უცნობი იყო, ახლა კი პრესა ყველაფრის შესახებ წერს. ახალი არაფერი ხდება, უბრალოდ, ყველა ცდილობს პრობლემებზე ღიად ისაუბროს და ამით გუნდს დაეხმაროს.

**- ნუთუ, გუნდის დახმარება რონალდინიოს გალანძღვაა?**

- მოდით, ერთ რამეს გეტყვით. რონალდინიოსთან ადრეც ჩინებული ურთიერთობა მქონდა და ახლაც მშვენიერი დამოკიდებულება გვაკავშირებს. იდიოტი უნდა იყო, მისი ნიჭი კითხვის ქვეშ რომ დააყენო. გაუჭრის ენით გამოუთქმელი შესაძლებლობები და უნარები აქვს. შესაძლოა, ზოგჯერ ემოციებს ვერ მოვერიოთ და ერთმანეთს შევუტიოთ, მაგრამ დელიკატურობის ფარგლებს არასოდეს ვცილდებით. სულ სხვა საკითხია მასმედიის მუშაობა. წარმოიდგინეთ, რომელიმე დიდტირაჟიანი გაზეთის რედაქტორი. მან გაიგო, რომ ეტოომ რონალდინიო მსუბუქად გააკრიტიკა. ცხადია, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, თუმცა წინა დღეებისგან განსხვავებით, ეტოო მაინც კრიტიკული იყო. გაინტერესებთ, რა ხდება ამ დროს? ჩემს განცხადებას ისეთ კომენტარს უკეთებენ, ადამიანი იფიქრებს, ქვეყანა დაინგრაო. და ეს ყველაფერი ბანალურ მერკანტილურ მიზნებს ემსახურება. წარმოიდგინეთ, პირველ გვერდზე წერია, ეტოომ რონალდინიოს დედა შეაგინა. ეს ყველაფერი საკმარისია იმისთვის, რომ ტირაჟი მინიმუმ 50 პროცენტით გაიზარდოს. ამას სარეკლამო სამსახურში შემოსული დამატებითი შეკვეთებიც მოყვება და გაზეთი არნახულ შემოსავალს იღებს. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, მედია ჩვენზეა დამოკიდებული. ზოგჯერ ისინი გვისაფრდებიან და პრობლემებს გვიქმნიან.

**- ზოგი ამბობს, რომ ცხოვრებაში ძალიან რთულად საურთიერთობო და მარტოსული ადამიანი ხართ...**

- შეფასებებში ვერავის შევზღუდავ. ცხოვრებაში ძალიან გამიმართლა, რადგან იმ სფეროში, რომლიც ყველაზე მეტად მიყვარს, უდიდეს წარმატებებს მივაღწიე. როცა ბუცებს ვიხდი და ეგრეთ წოდებულ, სამოქალაქო ტანსაცმელს ვიცვამ, პროფესიულ წარმატებებს ვივიწყებ და ვცდილობ, ჩვეულებრივი, თავმდაბალი ადამიანი ვიყო. ადამიანი, რომელსაც შვილები ჰყავს, უხარია, წყინს... აბა, რა გითხრათ, სულაც არ ვფიქრობ, რომ რთული საურთიერთობო, მარტოსული ეგოისტი ვარ. რა გაეწყობა, მე რამდენიც არ უნდა ვილაპარაკო, ვისაც სურს, რომ ჩემზე ასე იფიქროს, მაინც თავისას იტყვის.

**- ხოან ლაპორტაზე რას მოგვახსენებთ?**

- პრეზიდენტთან ყოველთვის კარგი დამოკიდებულება მქონდა. რა თქმა უნდა, მხოლოდ ერთი კლუბის პრეზიდენტს თუ არ ჩავთვლით. ლაპორტა კარგი ადამიანია.

**- "ბარსელონაში" რამდენ ხანს დარჩებით?**

- პრეზიდენტს ჰკითხეთ. მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ კარიერის ბოლო სეზონს "მალიორკაში" ჩავატარებ. მნიშვნელობა არა აქვს, რა მდგომარეობაში იქნება იმ დროისთვის ბალეარული კლუბი. "მალიორკასთან" ერთად სეგუნდო დივიზიონშიც კი ვითამაშებ.

**- სამუ, ტრავმა საბოლოოდ მოიშუშეთ?**

- ახლა გაცილებით უკეთ ვგრძნობ თავს, თუმცა პროგრესი არასოდეს არის ზედმეტი. ყველაფერი ჩემს მუხლზეა დამოკიდებული.

**- ზოგს ჰგონია, რომ თავს უფრთხილდებით...**

- ვისაც რა უნდა, ის იფიქროს. ჩემს კარიერას სანაგვეში არ მოვისვრი. ჯანმრთელობას რისკის ქვეშ ვერ დავაყენებ.

**- "ლივერპულთან" განცდილი წარუმატებლობა უკვე დაივიწყეთ?**

- ძნელია, იმას შეეგუო, რომ ჩემპიონთა ლიგაში აღარ ითამაშებ. ჩვენ დიდი გეგმები გვქონდა, მაგრამ სხვადასხვა პრობლემის გამო, მერვედფინალიდან გამოვვარდით. გულის კუთხეში ტკივილს ისევ ვგრძნობ, მაგრამ ვალდებულები ვართ, ყოველი თამაშის წინ ცხოვრება სუფთა ფურცლიდან დავიწყოთ. თუ პრიმერადივიზიონურ დაპირისპირებებში "ლივერპულთან" წაგებაზე ვიფიქრებთ, ამ ფრონტზეც დავმარცხდებით.

**ილია ნიკოლაიშვილი**

სამუელ ეტოო მალიორკაზე ფიქრობს

ჭადრაკი

საქართველოს ჩემპიონატი

# ორნი ოთახში

## ხუხაშვილი თუ ჯავახიშვილი?

XI ტური: წერეთელი-ლომინეიშვილი 1:0, ხუხაშვილი-ბაციაშვილი 1:0; ჭარხალაშვილი-მელია 0:1; მიქაძე-ფურცელაძე 0.5:0.5; ხურციძე-გვეტაძე 0.5:0.5; ჯავახიშვილი-ძაგნიძე 1:0

| | |
|---|---|
| სოფიკო ხუხაშვილი | - 7.5 |
| ლელა ჯავახიშვილი | - 7.5 |
| სოფიო გვეტაძე | - 7.0 |
| გაია ლომინეიშვილი | - 6.0 |
| ნანა ძაგნიძე | - 5.5 |
| ინგა ჭარხალაშვილი | - 5.5 |
| ნინო ხურციძე | - 5.5 |
| მირანდა მიქაძე | - 5.0 |
| ნინო ბაციაშვილი | - 4.5 |
| თამარ წერეთელი | - 4.5 |
| სალომე მელია | - 4.0 |
| მაკა ფურცელაძე | - 3.5 |

დღეს, საქართველოს ჩემპიონობისთვის:

**ხუხაშვილი-ჯავახიშვილი**

დღეს, 13 საათზე, **სოფიკო ხუხაშვილი** და **ლელა ჯავახიშვილი** დაფას მიუსხდებიან და ორ 25-წუთიან პარტიაში გაარკვევენ საქართველოს ჩემპიონის ვინაობას.

როგორც ვივარაუდეთ, გადათამაშება გახდა საჭირო. გვეგონა, მეტი დამატებითი მატჩის მომსწრენი გავხდებოდით, მაგრამ ბოლო ტურმა ისე უცნაურად და მოულოდნელადაც ჩაიარა, რომ მხოლოდ საჩემპიონო ბრძოლის ხილვა მოგვინევს.

თუმცა ხილვა ძალიან გადაჭარბებული ნათქვამია - აქაოდა, ხელი არავინ შეგვიშალოსო და ფინალისტებს ერთ მომცრო ოთახში მოუსურვებიათ თამაში.

ასე პირველად არ ხდება. უფრო ზუსტად, ყოველთვის ასე ხდება და პროტესტიც უმრავჯერ გამოგვითქვამს, დავგიწერია, მაგრამ საქმეს არაფერი შველის. მაინც უნდა ვიკითხოთ ერთხელაც: თუ მიზეზი ისაა, რომ გულშემატკივარი თამაშში ხელს შეგიშლით, ვერაფრით მივიღებთ ამ არგუმენტს. მაყურებელს მთელი ტურნირი არაფერი დაუშავებია მოჭადრაკეებისთვის და საჩემპიონო მატჩში რა უნდა მოხდეს განსაკუთრებული? იქნებ კეთილი გენებათ და ჭადრაკის სპეციალისტების, გულშემატკივრებისა და ჟურნალისტებისთვის მიგეცათ საშუალება, ისე დაგემოვნებინათ ჩემპიონატი, როგორც სპორტულ ასპარეზობას ეკადრება? ეს შენიშვნა, ცხადია, მოჭადრაკეებსაც ეხებათ და ფედერაციის ხელმძღვანელებსაც!

ახლა კი ბოლო ტურის ამბები. **ლელა ჯავახიშვილმა** თეთრებით **ნანა ძაგნიძე** დაამარცხა და თანაც ისე, რომ ინიციატივა წუთითაც არ გაუშვია ხელიდან. ამან კვლავ გაუსვა მის ოსტატობას ხაზი და დაამტკიცა, რომ სტაბილურად ძლიერი მოთამაშეა. **სოფიკო ხუხაშვილის** გამარჯვებაც ვივარაუდეთ გუშინდელ წერილშიც - **ნინო ბაციაშვილმა** ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწია მშვენიერ ფორმაში მყოფ მეტოქეს და ზედიზედ მესამე მარცხით დაასრულა ჩემპიონატი. ჯავახიშვილი-ხუხაშვილის დუეტს შეიძლებოდა შეერთებოდა **სოფიო გვეტაძეც**, მაგრამ მან შავებით **ნინო ხურციძეს** ვერ აჯობა, ყაიმით ითამაშა და როგორც შემდეგ აღმოჩნდა, მესამე ადგილზე დაასრულა ტურნირი. სიმართლე ითქვას, გვეტაძეს მეტისთვის არც უბრძოლია - მან ზედმიწევნით პრაგმატულად ითამაშა ბოლო ორი ტური - ჯერ ჯავახიშვილს დაუზავა თეთრებით და ხურციძესთანაც თავი არ გადადო მოსაგებად, არც ნინოს გამოუდევს თავი ზედმეტად, რადგანაც მოგება თითქმის არაფრის შეცვლიდა ცხრილში...

რახან ლიდერთაგან ორმა იმარჯვა, პირველ-მეორეზე ვეღარ, მაგრამ მესამე ადგილისთვის ბრძოლა კი შეეძლო **მაია ლომინეიშვილს**, მაგრამ როგორც... მოსალოდნელი იყო, დამარცხდა. მკითხველს ალბათ აშკარად მოხვდა ყურში ბოლო წინადადება, მაგრამ თუ მაიას კარიერას გადავხედავთ, აღმოვაჩენთ, რომ თითქმის ყოველთვის ბოლო ტურში საჭირო შედეგის მიღწევას ვერ ახერხებს - უიშვიათესად იგებს, ხშირად ყაიმს სჯერდება, უფრო მეტად კი - აგებს. ახლაც ასე მოხდა - **თამარ წერეთელმა**, რომელიც არცთუ დამაჯერებლად გამოიყურებოდა წლევანდელ ჩემპიონატში, ისეთი უპირატესობით და იოლად მოუგო ფავორიტს, რომ იფიქრებდით, დაბალი კვალიფიკაციის მეტოქეს ხვდებაო. არადა, ასე ნამდვილად არ გახლავთ, ლომინეიშვილი ძლიერი მოჭადრაკეა, თანაც სადებიუტო სისტემების კარგი მცოდნე, რაც ქალებში და შავებით თამაშის დროს დიდად ფასობს, თუმცა აშკარად ფსიქოლოგიური პრობლემები აწუხებს, ერთგვარი სპორტული შიში დარევს ხოლმე ხელს და თავის თავს აღარ ჰგავს.

თავის თავს არ გავდნენ არც ნინო ხურციძე და არც ნანა ძაგნიძე. ამათ ერთნაირი მარაგით 5.5 ქულით დაასრულეს ტურნირი, რაც ყველაზე დიდი მოულოდნელობაა. როგორც გახსოვთ, ჩემპიონატის დასაწყისში გამოკითხვა ჩავატარეთ და პრიზიორთა დასახელება ვთხოვეთ სპეციალისტებს. აბსოლუტურმა უმრავლესობამ ხურციძე მიიჩნია მთავარ ფავორიტად, ხმათა რაოდენობით მას ჯავახიშვილი და ძაგნიძე მიჰყვებოდნენ, ხოლო ხუხაშვილმა კი მხოლოდ ორი ხმა მიიღო. პროგნოზები რომ უიმედო საქმეა, ამჯერადაც გამოჩნდა.

ბოლო ტურში დამარცხდა **ინგა ჭარხალაშვილიც** - თეთრებით წააგო **სალომე მელიასთან**. ინგასაც ჰქონდა მცირე შანსი, მაგრამ რახან ლიდერებმა არ წააგეს, მხოლოდ მეოთხე ადგილს თუ შეეცილებოდა ლომინეიშვილს. მარცხმა ეს შანსიც წაართვა. მელიასთვის ეს გამარჯვება პირველი იყო ტურნირზე და ბოლო ადგილისგან თავის დაღწევის საშუალებაც გახდა. მან **მაკა ფურცელაძეს** გადააწერო, რომელმაც შავებით **მირანდა მიქაძის** დამარცხება ვერ შეძლო - ყაიმი და მხოლოდ 3,5 ქულა ყულაბაში.

**ტურნირის დახურვა ალბათ დღეს შედგება, მაგრამ რა დროს და რა ვითარებაში, ვერ მოგახსენებთ. საქმე ის გახლავთ, რომ 37-ე ოთახში საჭადრაკო დაფებს დღეიდან უკვე ვაჟები მიუსხდებიან და საქართველოს ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ჩაებმებიან. ტურნირი 14 საათზე დაიწყება, ქალთა დაჯილდოების ცერემონია ალბათ რომელიმე სხვა, გარეშე თვალისთვის მიუწვდომელ ოთახში ჩაივლის.**

**ზვიად შათირიშვილი**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ბოლო ტურის წინ გოგონებმა ერთმანეთს მკლავიც მოუსინჯეს. არბიტრი - საქართველოს მკლავჭიდელთა ნაკრების წევრი თამარ წერეთელი

სუმო

## კოკაი შესანიშნავ შვიდეულში

ოსაკას ბაშოზე სამი დღის შემდეგ შვიდი რიკიში ლიდერობს დაუმარცხებლად. სასიხარულოა, რომ მათ შორისაა აღმოსავლეთის მეშვიდე მაეგაშირა **კოკაი (ლევან ცაგურია)**. ლევანის მეტოქე ყოფილი კომუსუბი **ამინიშიკი** იყო - ათწამიანი დენის შემდეგ კოკაიმ ამინიშიკის მხარი იგდო ხელთ და მეტოქე დოჰიოზე დააგდო, ქართველის ბალანსი 3-0 გახდა. დღეს კოკაის მეტოქე ყოფილი სეკივაკე **ტამანოშიმა**, რომელსაც ბაშოზე 2-1 ბალანსი აქვს. კოკაის ტამანოშიმათან შეხვედრებში უარყოფითი ბალანსი აქვს - 4:8.

გუშინ მაკუშიტას დივიზიონში მეორე გამარჯვება იზეიმა 41-ე ნომერმა **ტოჩინიშინმა (ლევან გორგაძე)**, ლევანმა **არავაში** დაამარცხა, მისი ბალანსი 2-0-ია. დღეს კიდევ ერთი ქართველი **გაგამარუ (თეიმურაზ ჯუღელი)** იჭიდავებს.

გუშინ ბაშოზე პირველი გამარჯვება იზეიმა დიდმა ჩემპიონმა მონღოლმა **ასაშორიუმ**. კოკაისთან ერთად კი ოძეკი **ტოჩიაძუმა**, სეკივაკე **კოტომიცუკი** და კიდევ ოთხი მაეგაშირა ლიდერობს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**ჰარუ ბაშო**
(მარტის სუპერტურნირი)
ოსაპა, 11-25 მარტი

III დღე. კოკაი - ამინიშიკი 1:0 (კატასუკაში, 14,3 წ.), ასაშორიუ - ფუტენო 1:0, კოტოშუ - ტაკეკაძე 1:0, ტოკიტენკუ - კაიო 1:0, ტოჩიაძუმა - ამა 1:0, ჩიოტაიკაი - კასუგაო 1:0, ჰაკუჰო - მიაბიამა 1:0, კოტომიცუკი - ასასეკირიუ 1:0, ტოიონოშიმა - კოტოშოგიკუ 1:0, კისენოსატო - კიოკუტენჰო 1:0, როჰო - ჰომაშო 1:0, ტაკამისაკარი - ტამაკასუგა 1:0, ტამანოშიმა - კაკიძოე 1:0, დეჯიმა - კასუგანიშიკი 1:0, ტოჩინონადა - ივაკიამა 1:0, კაკურიუ - ჰაკუროძანი 1:0.

სატურნირო მდგომარეობა. 3-0: ტოჩიაძუმა (ოძეკი), კოტომიცუკი (სეკივაკე), ტოიონოშიმა (მ 1), კოკაი (მ 7), დეჯიმა (მ 8), კაკურიუ (მ 11), შიმოტორი (მ 15).

IV დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: კოკაი - ტამანოშიმა, ასაშორიუ - ტოიონოშიმა, კაიო - კოტოშოგიკუ, ტოჩიაძუმა - კოტომიცუკი, ჩიოტაიკაი - კისენოსატო, ჰაკუჰო - ამა, კოტოშუ - კიოკუტენჰო, ტოკიტენკუ - ასასეკირიუ, მიაბიამა - კასუგაო, ჰომაშო - ტაკეკაძე, ფუტენო - ტამაკასუგა, კაკიძოე - ამინიშიკი, როჰო - ტაკამისაკარი, დეჯიმა - ტოჩინონადა, კაკურიუ - კასუგანიშიკი, ტოკიცუუმი - ივაკიამა.

ჩოგბი

ესპანეთი-საქართველო

## მეტოქემაც დაასახელა

საქართველოს ნაკრების მეტოქე, ესპანეთის ნაკრები ერთა თასის მატჩისთვის სამზადისს შეუდგა. პირენელთა ინგლისელმა მწვრთნელმა **ჯერარდ გლინმა** რუმინეთში განცდილ გამანადგურებელი მარცხის შემდეგ (14:50) გუნდში სამი მორაგბე შეცვალა. თამაში მადრიდში, შაბათს, ჩვენი დროით 19:30 დაიწყება. იქნება თუ არა ტელერეპორტაჟი, ჯერ ცნობილი არაა.

შემოდგომაზე თბილისში გამართულ შეხვედრაში, რომელიც ბორჯღალოსნების გამარჯვებით დასრულდა 37:23, პენელთა ამჟამინდელი შემადგენლობიდან მხოლოდ 9 მორაგბემ ითამაშა.

**ბესიკ ჯანგავა**

ესპანეთის საქართველოსთ

პირველი ხაზი: მანუელ სერანო (სალვადორი), ხავიერ სალასარი (მადრიდი), სე მარია ბორხესი (სევილია), ოსკარ ფერერ (ჰოსპიტალე), იონ ინსაუსტი (ელ სალვადორ

მეორე ხაზი: გილერმო ბარკენა (სე ფრანსე), სერხიო სოუტო (ელ სალვად რი), მარტინ აკენა (ვალიადოლიდი),

მესამე ხაზი: კარლოს სოუტო (ელ სალ დორი), კირილ პიხარი (ალბი), ივან კრიადო სალვადორი), ალფონსო მატა (ელ სალვადო

9: პაბლო ფეიხოო (ბერა ბერა), იგნას გუტიერსი (ვიგო); 10: მანუელ ოლივარეს (კისენეროსი), ესტებან როკე (ელ სალვადორი); 12-13: ხავიერ კანოსა (მადრიდი), დავიდ მოტა (მადრიდი); 11-14: ხუან კანო (კისენეროსი), კარლოს არენასი(სევილია), ვიკტორ მრლეტი (სანტბოიანა); 15: პედრო მარტინი (ვალიადოლიდი).

# აზმაიფარაშვილის უარი

## ფედერაციამ დიდოსტატის პირობები არ მიიღო

საქართველოს ჩემპიონატში თამაშით მე ბევრს ვრისკავდი - ახალგაზრდა მოჭადრაკეები საკმაოდ ძლიერები არიან და ქულას არავინ მომართმევს. თუმცა დასამტკიცებელი არავისთვის არაფერი მაქვს - ჩემი საჭადრაკო ძალა ყველამ იცის. სამწუხაროდ, ფედერაციამ უარი მითხრა და ეს იმით ახსნა, რომ ისტორიით არ უნდა ვიხელმძღვანელოთო, - ანუ ადრე რა იყავი, ამას მნიშველობა არა აქვსო. მე კი პირიქით მგონია და ეს უნდა გაითვალისწინოს ფედერაციამ - რომ არ ყოფილიყო ნონა გაფრინდაშვილი, შესაძლოა არც მე ვყოფილიყავი და არც ქართული ჭადრაკი. ახლა იმასაც გეტყვით, თუ რა ფინანსური სარგებელი ნახა ჩემგან საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ - მე, როგორც ფიდეს ჩინოსანმა, მოვახერხე და ჩვენს ფედერაციას დაუბრუნდება 12 000 ევრო, ასევე 36 000 ევრო, რომელიც წინა წლებიდან ვალად დაუგროვდა ფიდეს მიმართ. ასე რომ, ფედერაციას ფინანსური პრობლემები არ ექნება და ჩემი მოთხოვნებიც იოლი დასაკმაყოფილებელია. ასეთი მიდგომით ალბათ იძულებული გავხდები სხვა ქვეყნის ფედერაციას მივმართო და მისი სახელით ვიასპარეზო ევროპისა და სხვა ჩემპიონატებშიც.

**აზმაიფარაშვილს ფედერაციის პრეზიდენტი რომან სიჭინავა შეეპასუხა:**

- ბატონი ზურაბის გამოსვლა შთამბეჭდავი იყო, მაგრამ ნუ ეგონება, რომ უპასუხოდ დავტოვებთ. საქმე ის გახლავთ, რომ შემუშავებულია ნაკრებში მოხვედრის კრიტერიუმები და ყველას თანაბარი დაფინანსება მიეცემა, ანუ შეღავათი არავის ექნება. ამ წესს ყველა დაეთანხმა. წესი კი ასეთია: ეროვნულ ჩემპიონატში პირველ სამ ადგილზე გასული მოჭადრაკეები სრულიად დაფინანსდებიან, სასტუმროში კი 63-ევროიანი ნომრებია გათვალისწინებული. რატომ უნდა მიეცეს აზმაიფარაშვილს 105-ევროიანი დაფინანსება და ისიც ნებისმიერი ადგილის დაკავების დროს, გაუგებარია. ასეთი მავნე ტენდენციები, რომლებიც ტრადიციადაც კი ჩამოყალიბდა, აქამდე მრავლად იყო ქართულ ჭადრაკში. ჩვენ კიდევ ერთხელ ვაცხადებთ, რომ სამართლიანობის მომხრეები ვართ და ასევე გავაგრძელებთ - რაც ადრე იყო, ის დავინწყეთ.

12 და 36 ათას ევროს რაც შეეხება. ეს ფული არანაირად არ არის აზმაიფარაშვილის საჩუქარი - 12 000 როცა კი ჩაგვერიცხება, უკანვე წაიღებს ფიდე - ამით ჩვენ ელექტრონული საათები უნდა შევიძინოთ. 36 ათასი კი, გასაოცარია, აქამდე რატომ არ მოვიდა - წლები ედო ვალად ფედერაციას და ეზრუნათ ჩვენს აქ მოსვლამდე. ეს თემაც ბუნდოვანია. თუმცა, აღვნიშნავ, რომ ამ ვალის პრობლემის გადაწყვეტის ინიციატორები სწორედ ჩვენ ვართ. ჩვენი ინიციატივა რომ არა, შესაძლოა კიდევ მრავალი წელი არავის გახსენებოდა.

**პოლემიკა გამწვავდა და ორივე მხარემ ბრალდებები წაუყენა ერთმანეთს, თუმცა, ესენი საგაზეთოდ აღარ გამოდგება - ბოლომდე დასაბუთებას არცერთი მხარე არ ცდილობდა. ეგებ უფრო დამძიმებულიყო კიდეც ვითარება, მაგრამ დარბაზში მასმედიის ყოფნამ აშკარად დააცხრო ვნებები. აზმაიფარაშვილმა წარმატება უსურვა მოჭადრაკეებს და დარბაზი დატოვა.**

**ამის შემდეგ ტურნირის გახსნის ცერემონიალს მიუბრუნდნენ და დებულების ძირითადი პუნქტების გაცნობის შემდეგ წილისყრაც ჩატარდა.**

**იმის გამო, რომ აზმაიფარაშვილმა უარი თქვა, ჩემპიონატში თამაშის უფლება ლევან არუშიძემ მიიღო. არუშიძემ ეს პატივი მაღალი რეიტინგის გამო დაიმსახურა, თორემ პირველი ლიგიდან, რომელიც უმაღლესის შესარჩევი იყო, ასეთი უფლება ვერ მოიპოვა.**

დღეს პირველ ტურში ითამაშეგენ: **ბაადურ ჯობავა-გიორგი გიორგაძე, ლევან ფანცულაია-მიხეილ მჭედლიშვილი, შოთა აზალაძე-გიორგი ყაჭეიშვილი, პარმენ გელაზონია-თამაზ გელაშვილი, ლევან არუშიძე-გაიოზ ნიგალიძე, დავით არუთინიანი-მერაბ გაგუნაშვილი.**

**ზვიად შათირიშვილი**

## ჰაღათბუთი

საქართველოს ჩემპიონატი.
ინტერვიუ დავით უგრეხელიძესთან

# მიიღე ბურთი და მოძებნე პარტნიორი!

მე-16 ტური გამორჩეული რომ იყო, "დინამოს" მიერ "ავიამშენის" ძლევა და "აზოტის" უნივერსიტეტთან 24-ქულიანი გამარჯვებაც მოწმობს. კიდევ იმიტომ იყო გამორჩეული, რომ ჟურნალისტებს საუკეთესოს დასახელება გაგვიჭირდა. თუკი სხვა დროს ორი კანდიდატიდან ერთ-ერთის არჩევა გვიწევდა, ამჯერად MVP-დ დასახელების 4 რეალური პრეტენდენტი გვყავდა - დინამოელები **ლექსო ლაფანაშვილი** და **დავით გვიმრაძე**, ტექნიკოსი **გიგი ბარბაქაძე** (რომელმაც "მაკაბის" ბოლო 10 წუთში 5 სამქულიანი ჩაუგდო) და აზოტელი **დავით უგრეხელიძე**. მატჩების მიმოხილვაშიც ვთქვით, რომ გამოკითხვაში "უგრემ" ერთი ხმით აჯობა დანარჩენებს და მიმდინარე ჩემპიონატში პირველად დასახელდა ყველაზე მარგ კალათბურთელად.

რა თქმა უნდა, საუკეთესოობის ყველა კანდიდატი სიმბოლურ ნაკრებშია. არანაკლებ იოლი გამოდგა ტურის მწვრთნელის შერჩევა. **დავით უსტიაშვილმა** სწორი ტაქტიკით პირველივე ტაიმში მოუგო არანაკლებ ძლიერ თსუ-ს, ხოლო **ზაზა ცაგარეიშვილმა** "დინამოს" ბოლო წამებზე დაამარცხებინა ჩემპიონი "ავიამშენი". მათგან საუკეთესოს არჩევაზე დრო არ დაგვიკარგავს, გავიხსენეთ, რომ უსტიაშვილი-ცაგარეიშვილის დუეტი შარშან "დინამოში" ერთად წარმატებით მუშაობდა (სხვათა შორის, რუსთავში "აზოტიც" ჰყავდა დამარცხებული), ამიტომ სიმბოლურ ნაკრებსაც ორი მწვრთნელი "დავუნიშნეთ".

ახლა, დავით უგრეხელიძის ინტერვიუ.

**- დათო, ქორქია-საკანდელიძის მემორიალის მოგების შემდეგ მითხარი, რომ პირად სტატისტიკას ყურადღებას არ აქცევ. ტურის მოთამაშედ აღიარებაც უმნიშვნელო რამ იყო?**

- თავად ფაქტი, რომ ყოველი ტურის შემდეგ ჟურნალისტები კალათბურთელებს გამოარჩევენ, მოსაწონია, რადგან ეს მსოფლიოს ყველა საკალათბურთო ქვეყანაში ხდება და მოთამაშეებს ერთგვარ სტიმულს აძლევს. მადლობას მოგახსენებთ MVP-დ არჩევისთვის და თან დავძენ - უფრო მნიშვნელოვანი მაინც "აზოტის" დამაჯერებელი გამარჯვება იყო. მსოფლიოს მასშტაბით ათასგვარი კალათბურთელია. არის კატეგორია, რომელიც პირადი სტატისტიკისთვის თამაშობს. მე კი ჯერ თანაგუნდელს ვეძებ და ამის შემდეგ ვიწყებ შეტევაზე ფიქრს. მთავარია, გუნდმა მოიგოს. ეს ხომ ჩემი სახელიცაა.

**- თსუ-სთან პარასკევის თამაში დაგამახსოვრდა, თუ ქორქია-საკანდელიძის თასის ფინალი?**

- ფინალი. მაშინ MVP-ს ჯილდოც გადმომცეს და მიხეილ ქორქიას სახელობის თასიც, რაც ჩემთვის დიდი პატივი იყო. პარასკევს კი რეგულარული ჩემპიონატის რიგითი გამარჯვება გახლდათ...

**- თსუ-სთან საწყის 10 წუთში 14 ქულა და 6 მოხსნა გქონდა. ამ შეხვედრისთვის განსაკუთრებულად მოემზადე?**

- ისევე მოვემზადე, როგორც სხვა მატჩებისთვის. კარგი გარჯა ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თამაშს თავიდან როგორ გახსნი.

**- გახსნაში რას გულისხობ?**

- ინდივიდუალურს არაფერს. ვგულისხმობ, გუნდი როგორ განავითარებს სიტუაციას, როგორ მოახერხებს გუნდურ თამაშს და მეტოქის გახსნას. თუ ყველაფერი კარგად წავიდა, შეიძლება შავ სამუშაოს ასრულებდე, სტატისტიკა არ გევსებოდეს, მაგრამ მაინც საუკეთესო იყო.

**- საქართველოში შენი გარჯა მეტოქე ცენტრებზე თუ არის დამოკიდებული?**

- ძნელია პასუხის გაცემა. ყოველთვის ვცდილობ ჩემი თამაში ვუჩვენო. თუ ქულებს ვერ ვაგროვებ, გუნდს სხვაგვარად ვეხმარები, ისევ შავ სამუშაოს მივადექით...

**- ამაზე გამახსენდა, წელს ნაკრებში შენი კოლეგის, ზაზა ფაჩულიას მატჩები ხომ არ გინახავს?**

- სამწუხაროდ, არა. თუმცა, ევროლიგის შეხვედრებს ხშირად ვადევნებ თვალს.

**- მაშინ მანუჩარ მარკოიშვილზე გკითხავ. შარშან სლოვენიაში ერთად თამაშობდით. როგორ ფიქრობ, წინა სეზონთან შედარებით, მანუმ მოუმატა?**

- მანუჩართან ძალიან ახლოს ვარ და სლოვენიაში ყოფნისას თამაშებს ხშირად ვარჩევდით. როცა ვხედავდით, რომ ერთ კონკრეტულ ეპიზოდში ისე არ მოიქცა, როგორც საჭირო იყო, მეორე მატჩში ეს შეცდომა გამოსწორებული ჰქონდა. მისთვის უცხოა სიტყვა დაზარება - "ოლიმპიაში" ყველაზე მეტს ვარჯიშობს. ამიტომაცაა ახალგაზრდულ ასაკში გუნდის ლიდერად რომ იქცა.

**- დაზარება შენთვისაც უცხოა, თუ...**

- ვარჯიში არც მე მეზარება. ვცდილობ არ გავჩერდე, რადგან ვიცი, რომ ვარჯიშის გარეშე არაფერი მიიღწევა. მცირე ტრავმები არ მაშინებს, თუ რამე სეროზულად არ ამტკივდა, საწვრთნელ პროცესს არ ვწყვეტ.

**- დაბოლოს, როგორ ფიქრობ, სუპერლიგამ გაამართლა?**

- გავიხსენოთ წინა წლების ჩემპიონატები და ახლანდელს შევადაროთ. მაყურებელთა რაოდენობამ მეტ-ნაკლებად იმატა, ყოველ შაბათს მატჩები ტელევიზიით გადაიცემა... მოკლედ, სუპერლიგამ გაამართლა. გული მხოლოდ იმაზე მწყდება, რომ ჩემპიონატში მხოლოდ 6 გუნდია. იმედია, გაისად სიტუაცია ამ მხრივაც გამოსწორდება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

უგრეხელიძე (12) ლეჟავასთან ორთაბრძოლისას




### საქართველოს XVI ჩემპიონატი. XVI ტური

| | |
|---|---|
| აზოტი-თსუ | 83:59 |
| ავიამშენი-დინამო | 85:90 |
| სტუ-მაკაბი | 105:92 |

### საუკეთესო მაჩვენებლები

**ქულა**

| | | | |
|---|---|---|---|
| 60 | გიორგი შერმადინი | დინამო-მაკაბი | 111:113 |

**მოხსნა**

| | | | |
|---|---|---|---|
| 22 | გიორგი შერმადინი | მაკაბი-სტუ | 86:84 |

**პასი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 | გიორგი დოლიძე | სტუ-მაკაბი | 96:85 |

**ჩაჭრა**

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 | შალვა კოხრეიძე | აზოტი-სტუ | 107:52 |

**დაფარება**

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 | გიორგი შერმადინი | თსუ-მაკაბი | 111:97 |

**შეცდომა**

| | | | |
|---|---|---|---|
| 13 | შალვა კოხრეიძე | აზოტი-სტუ | 107:52 |

### ქულა

| | | | თამაში | ქულა | საშ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გიორგი შერმადინი | მაკაბი | 14 | 529 | 37.8 |
| 2 | ზვიად გაგიაშვილი | ავიამშენი | 15 | 326 | 21.7 |
| 3 | ნოდარ ბერაია | სტუ | 12 | 255 | 21.3 |
| 4 | ირაკლი ხოშტარია | ავიამშენი | 14 | 249 | 17.8 |
| 5 | ბესიკ ლეჟავა | თსუ | 16 | 246 | 15.4 |
| 6 | დავით გვიმრაძე | დინამო | 11 | 165 | 15.0 |
| 7 | ლექსო ლაფანაშვილი | დინამო | 13 | 188 | 14.5 |
| 8 | კოტე ტულუში | აზოტი | 14 | 200 | 14.3 |
| 9 | შიო ხეცურიანი | თსუ | 13 | 182 | 14.0 |
| 10 | ზურაბ ბადრიძე | დინამო | 15 | 202 | 13.5 |
| 11 | ლაშა გამყრელიძე | აზოტი | 14 | 186 | 13.3 |
| 12 | რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 15 | 196 | 13.1 |
| 13 | სოსო შერმადინი | მაკაბი | 16 | 209 | 13.1 |
| 14 | ლუკა შანიძე | თსუ | 16 | 203 | 12.7 |
| 15 | ვიქტორ კოლუაშვილი | დინამო | 15 | 186 | 12.4 |
| 16 | დავით უგრეხელიძე | აზოტი | 16 | 194 | 12.1 |
| 17 | ვაკე გეჟანიშვილი | აზოტი | 12 | 145 | 12.1 |
| 18 | ირაკლი გერიშვილი | ავიამშენი | 14 | 166 | 11.9 |
| 19 | ირაკ გულისაბედაშვილი | დინამო | 15 | 173 | 11.5 |
| 20 | შალვა კოხრეიძე | სტუ | 16 | 183 | 11.4 |
| 21 | გულივერ ახალკაცი | სტუ | 16 | 179 | 11.2 |

### მოხსნა

| | | | თამაში | მოხსნა | საშ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გიორგი შერმადინი | მაკაბი | 14 | 198 | 14.1 |
| 2 | ზვიად გაგიაშვილი | ავიამშენი | 15 | 131 | 8.7 |
| 3 | სოსო შერმადინი | მაკაბი | 16 | 126 | 7.9 |
| 4 | რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 15 | 107 | 7.1 |
| 5 | დავით მაისურაძე | სტუ | 12 | 78 | 6.5 |
| 6 | დავით უგრეხელიძე | აზოტი | 16 | 101 | 6.3 |
| 7 | ირაკლი ჭეჭერენაია | მაკაბი | 3 | 18 | 6.0 |
| 8 | გულივერ ახალკაცი | სტუ | 16 | 94 | 5.9 |
| 9 | თორნიკე ნინიაშვილი | ავიამშენი | 9 | 51 | 5.7 |
| 10 | ირაკლი ხოშტარია | ავიამშენი | 14 | 79 | 5.6 |
| 11 | დავით გვიმრაძე | დინამო | 11 | 61 | 5.5 |
| 12 | ჟურიენ ტუჟანი | აზოტი | 14 | 76 | 5.4 |
| 13 | ვიქტორ კოლუაშვილი | დინამო | 15 | 81 | 5.4 |
| 14 | ალასიდე რობუშტა | ავიამშენი | 12 | 61 | 5.1 |

### პასი

| | | | თამაში | პასი | საშ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გიორგი დოლიძე | მაკაბი | 16 | 106 | 6.6 |
| 2 | ლაშა გამყრელიძე | აზოტი | 14 | 82 | 5.9 |
| 3 | ირაკლი გერიშვილი | ავიამშენი | 14 | 80 | 5.7 |
| 4 | დავით გერიშვილი | ავიამშენი | 13 | 65 | 5.0 |
| 5 | შალვა კოხრეიძე | სტუ | 16 | 73 | 4.6 |
| 6 | ლექსო ლაფანაშვილი | დინამო | 13 | 59 | 4.5 |
| 7 | ირაკლი ხოშტარია | ავიამშენი | 14 | 62 | 4.4 |
| 8 | ნოდარ ბერაია | სტუ | 12 | 52 | 4.3 |
| 9 | გიორგი შერმადინი | მაკაბი | 14 | 60 | 4.3 |
| 10 | კოტე ტულუში | აზოტი | 14 | 57 | 4.1 |
| 11 | ალექო ქიქიგური | სტუ | 4 | 16 | 4.0 |
| 12 | შიო ხეცურიანი | თსუ | 13 | 48 | 3.7 |
| 13 | ზურაბ ბადრიძე | დინამო | 15 | 55 | 3.7 |
| 14 | გიორგი ნიკოლაძე | ავიამშენი | 15 | 55 | 3.7 |

### ჩაჭრა

| | | | თამაში | ჩაჭრა | საშ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | შალვა კოხრეიძე | სტუ | 16 | 51 | 3.2 |
| 2 | კოტე ტულუში | აზოტი | 14 | 35 | 2.5 |
| 3 | გუგა გერიშვილი | თსუ | 15 | 37 | 2.5 |
| 4 | ნოდარ ბერაია | სტუ | 12 | 28 | 2.3 |
| 5 | ლაშა გამყრელიძე | აზოტი | 14 | 32 | 2.3 |
| 6 | ნიკო ნოზაძე | დინამო | 16 | 34 | 2.1 |
| 7 | ზურაბ ბადრიძე | დინამო | 15 | 31 | 2.1 |
| 8 | ირ. გულისაბედაშვილი | დინამო | 15 | 31 | 2.1 |
| 9 | გიორგი დოლიძე | მაკაბი | 16 | 32 | 2.0 |

### დაფარება

| | | | თამაში | დაფარება | საშ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გიორგი შერმადინი | მაკაბი | 14 | 34 | 2.4 |
| 2 | რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 15 | 19 | 1.3 |
| 3 | ალასიდე რობუშტა | ავიამშენი | 12 | 12 | 1.0 |
| 4 | ვიქტორ კოლუაშვილი | დინამო | 15 | 9 | 0.6 |
| 5 | გულივერ ახალკაცი | სტუ | 16 | 9 | 0.6 |
| 6 | დავით უგრეხელიძე | აზოტი | 16 | 8 | 0.5 |
| 7 | ზვიად გაგიაშვილი | ავიამშენი | 15 | 7 | 0.5 |

### შეცდომა

| | | | თამაში | შეცდომა | საშ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გიორგი შერმადინი | მაკაბი | 14 | 91 | 6.5 |
| 2 | ირაკლი დოლიძე | მაკაბი | 16 | 83 | 5.2 |
| 3 | შალვა კოხრეიძე | სტუ | 16 | 75 | 4.7 |
| 4 | ირაკლი მაისურაძე | მაკაბი | 5 | 20 | 4.0 |
| 5 | ზურაბ კორკოტაძე | მაკაბი | 16 | 63 | 3.9 |
| 6 | გიგი ვაშაკიძე | მაკაბი | 5 | 18 | 3.6 |
| 7 | გიორგი ბარბაქაძე | სტუ | 16 | 54 | 3.4 |
| 8 | ბესიკ ლეჟავა | თსუ | 16 | 52 | 3.3 |
| 9 | ლაშა გამყრელიძე | აზოტი | 14 | 45 | 3.2 |
| 10 | ნოდარ ბერაია | სტუ | 12 | 37 | 3.1 |
| 11 | სოსო შერმადინი | მაკაბი | 16 | 46 | 2.9 |

## ჩოგბურთი

### ჩიხლაძე არ განთესეს

შვეიცარიაში ვილენის ტურნირის (10 ათასი დოლარი) ორგანოზატორებს საქართველოს მეორე ჩოგანი ლადო ჩიხლაძე (582) არ განუთესავთ, ასე რომ, მას მეორე წრეშივე სერიოზული დაპირისპირება მოუწევს. თუმცა, მანამდე გზიდან საკვალიფიკაციოდან გამოსული შვეიცარიელი **ფრედერიკ ნუსბაუმი** (958) უნდა ჩამოიშოროს. მეორე წრეში კი ლადო, შესაძლოა, კვლავ **სვენ სვინენს** გადაეყაროს, შვეიცარიელს, რომელიც ბოლო ორ კვირაში ორ ფინალში დაამარცხა. სვინენი პირველ წრეში მე-2 ნომრად განთესილ მოლდოველ **რომან გორვანოვს** (442) შეხვდება. შეგახსენებთ, რომ ზედიზედ 11 მატჩია, ლადო ჩიხლაძე არ დამარცხებულა.

### ოქსანამ საუკეთესო დაიბრუნა

გუშინ 18-წლამდე ჩოგბურთელთა ახალი რეიტინგ-ლისტი გამოქვეყნდა. ლუქსემბურგის ღია პირველობის ფინალში გასვლისთვის კარიერის საუკეთესო ადგილი დაიბრუნა 16 წლის **ოქსანა კალაშნიკოვამ**. ოქსანამ 4 საფეხურით წაიწია წინ და ახლა მსოფლიო კლასიფიკაციაში 37-ეა (ისევე, როგორც შარშან დეკემბერში). გოგონებში ხუთასეულში კიდევ ერთი ქართველია, ოქსანას უფროსი და **მარია** (435-ე). ბიჭებში **ლაზარე კუხალაშვილმა** შვიდი ადგილი დათმო და ახლა რეიტინგში 49-ე ადგილზეა. ხუთასეულში კიდევ ორი ჩვენებურია: **გიორგი ჭანტურია** (280) და **რევაზ ოსაძე** (500).

### შაფაქიძე კვლავ ძირითად ბადეში

ისრაელის ქალაქ რამათ-ჰაშარონში ზედიზედ მეორე მცირე საერთაშორისო ტურნირი დაიწყო (10 ათასი დოლარი), კვლავ კარგად ასპარეზობს 17 წლის **მანანა შაფაქიძე**. ის და **ნათია გეგია** საკვალიფიკაციო ტურნირში ჩაებნენ. გეგია პირველივე წრეში დამარცხდა გერმანელ **სტეფანი ალფერისთან** - 6:7, 6:7. შაფაქიძემ კი სამივე წრე მოიგო (**შერილ გერშონი**, აშშ - 6:2, 6:1, **ჰანა მალახოვიჩი**, ბელარუსი - 3:6, 6:0, 6:2 და **ტატიანა ტეტერინა**, ბელარუსი) - 6:2, 6:2. ტურნირის ძირითად ბადეში ქართველი მე-7 ნომრად განთესილ თურქ **კაგლა ბუიუქაჩაის** (604) შეხვდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჭრიჟი



# ვარიანში 10 წლით

**ვარიანში დასრულდა დავით კვაჭაძის სახელობის კრივის ცენტრალური სპორტსკოლის დაქვემდებარებაში მყოფი სკოლების ჩემპიონატი. შეჯიბრების მთავარი მიზანი იყო, იმ მოკრივეების შერჩევა, რომლებიც აპრილში დავით კვაჭაძის სახელობის 24-ე საერთაშორისო ტურნირზე იასპარეზებენ. ტურნირმა საკმაოდ საინტერესოდ ჩაიარა. აღსანიშნავია მონაწილეთა ფართო გეოგრაფია.**

გამარჯვებულებთან ერთად გაირკვა იმ გუნდის შემადგენლობა, რომელიც კვაჭაძის ტურნირისთვის მოემზადა. ნაკრების წევრ-კანდიდატთა სია ასეთია: 36 კგ. **ზაალ ყველაშვილი** (წინანდალი), 38 კგ. **გიორგი ნაცვლიშვილი** (ვარიანი), 38,5 კგ. **ზურაბ ქებაძე** (გორი), 40 კგ. **გიორგი თორია** (თეთრიწყარო), 41,5 კგ. **მიხეილ ავაქიანი** (ბაკურიანი) და **გენადი კვანტრიშვილი** (ზესტაფონი), 43 კგ. **ბექა ქორჩილავა** (ვარიანი), 46 კგ. **გიორგი ჩაჩანიძე** (ზესტაფონი) და **რამაზ გოგიჩაშვილი** (ვარიანი), 48 კგ. **თამაზ იზორია** (ზუგდიდი) და **დავით თედიაშვილი** (ვარიანი), 50 კგ. ბაჩანა **ბეჟუაშვილი** (წინანდალი) და **გიორგი ზვიადაური** (გამარჯვება), 52 კგ. **გელა ყულიაშვილი** (ვარიანი), 54 კგ. **ნიკა გვაჯავა** (თბილისი), 56 კგ. **აკაკი ხიზამბარელი** (გორი), 59 კგ. **ნუკრი სომხიშვილი** (გორი), 62 კგ. **დავით მინდიკაური** (გამარჯვება), 65 კგ. **გიორგი ჭინჭარაული** (გამარჯვება) და **გიორგი ბერუაშვილი** (ერედვი), 72 კგ. **ლევან მდინარაძე** (ვარიანი).

**შეჯიბრების დასასრულს, გავესაუბრეთ დავით კვაჭაძის სახელობის სკოლის დირექტორს რევაზ მეგრელიშვილს:**

- საკმაოდ კარგი ტურნირი გამოგვივიდა. კმაყოფილი ვარ ყველა რეგიონის წარმომადგენლებით. უამრავი ბავშვი მოგვროვდა. რა თქმა უნდა, მათგან ყველა ვერ გახდება მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მაგრამ ქართულ კრივს რამდენიმე უმაღლესი დონის ოსტატიც რომ ვაჩუქოთ, ჩვენი სკოლისთვის ესეც დიდი პატივი იქნება. რაც მთავარია, ამ ბავშვებს ვწყვეტთ ქუჩას, ვზრდით ისე, როგორც საკუთარ შვილებს და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ყველა სამაგალითო მოქალაქედ ჩამოყალიბდება.

ვარიანის საკრივო კომპლექსი ჩვენს სკოლას, ათწლიანი ვადით, უსასყიდლოდ გადასცა საქართველოს პროფესიული კრივის ფედერაციის პრეზიდენტმა გიორგი კანდელაკმა, რისთვისაც მას თქვენი გაზეთის საშუალებით, უღრმეს მადლობას ვუხდი. ამ 10 წლის განმავლობაში, საიჯარო თანხაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, კომუნალურ ხარჯებსაც კი არ გადავიხდით, რაც დიდი შეღავათი იქნება, ხოლო დაზოგილ თანხას ისევ და ისევ ნორჩ მოკრივეებს მოვახმართ. ჩვენი მხრივ, ვალდებულნი ვართ, ვარიანის კომპლექსი კარგად შევინახოთ.

**კობა ხატისაშვილი**

პროფესიული ჭრიჟი

# ქამრები და... ქალებიც!

საქართველოს პროფესიული კრივის ფედერაცია ხუთშაბათს ორ სიურპრიზს გვიმზადებს. ორივე მოვლენა სიურპრიზთან ერთად, ისტორიულიც იქნება. ჯერ ერთი – გათამაშდება საქართველოს პირველი ქამარი და მეორეც – პირველად გაიმართება ოფიციალური საერთაშორისო სარეიტინგო ბრძოლა ქალებს შორის. ეს ინფორმაცია გუშინ გაგვანდო პროფესიული კრივის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ზურაბ კიკნაველიძემ**.

- ხუთშაბათს, ვერის ბაღის კალათბურთის სასახლეში, მორიგი სარეიტინგო ორთაბრძოლების დღეა, რომელიც ჩვენთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იქნება. როგორც უკვე გითხარით, ამ დღეს, საქართველოს პირველი ქამარი გათამაშდება, რომლისთვისაც იბრძოლებენ ზემძიმე წონითი კატეგორიის წარმომადგენლები – **ვლადიმერ ჭანტურია** და **დავით გეგეშიძე**.

ხუთშაბათსვე, გულშემატკივარს ვუმზადებთ მეორე სიურპრიზს – საქართველოში პირველ ოფიციალურ სარეიტინგო ბრძოლას ქალებს შორის. მართალია, ქალები აქამდეც გასულან რინგზე, მაგრამ ოფიციალურად ჯერ არა. პირველი ასეთი შეხვედრა ხუთშაბათს შედგება 55 კილოგრამ წონით კატეგორიაში. ერთმანეთს დაუპირისპირდებიან დედოფლისწყაროელი **ფიქრია მენთეშაშვილი** და თბილისელი **მარიკა ლომინაშვილი**.

**კობა ხატისაშვილი**

თბილისი

**14 მარტი, 1961 - დაიბადა მიხეილ გიორგაძე. წყალბურთი, მეკარე. თამაშობდა თბილისის "დინამოში" (1977-89) და სსრკ ნაკრებში (1981-89). მსოფლიოს ჩემპიონი (1982), მსოფლიოს თასის მფლობელი (1981), მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონი (1985), ევროპის სამგზის ჩემპიონი (1983, 85, 87), 1988 წლის სეულის ოლიმპიადის მესამე პრიზიორი. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი.**

ამბები

# საზღვარი, რომელსაც მთამსვლელები აკონტროლებენ



მაშინ, როცა საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობები კიდევ ერთხელ იძაბება, ქართველი და რუსი მთამსვლელები იკრიბებიან, რუსეთის მიერ დაწუნებულ ქართულ ღვინოებს "ალაზნის ველსა" და "საფერავს" აგემოვნებენ და ერთობლივ სამომავლო პროექტებზე საუბრობენ.

მთამსვლელთა მსგავსი შეხვედრის ორგანიზატორი საერთაშორისო პრესცენტრ "რია ნოვოსტის" თბილისის ბიურო გახდა. ორგანიზატორთა სურვილით სწორედ, ამ ტელეხიდის დროს, საქართველოში რუსეთის საელჩოს პირველმა მდივანმა **სერგეი ნოვიკოვმა** თბილისის სამთო, სათავგადასავლო და ექსტრემალური სატელევიზიო ფილმების ფესტივალ "ნიამორის" რუს გამარჯვებულებს პრიზები გადასცა.

სამთო ფილმების რიგით მეოთხე ფესტივალზე "საუკეთესო ალპინისტურ ფილმად" ცნობილი რუსი მთამსვლელის **ალექსანდრ რუჩკინის** "ჟანუს სიმფონია" აღიარეს. ეს არის ფილმი ტექნიკურად საკმაოდ რთული კედლის, "ჟანუს" წარმატებულ ექსპედიციაზე, რომლის დროსაც რუსმა მთამსვლელებმა ყოველგვარ გასაჭირსა და სირთულეს ვაჟკაცურად გაართვეს თავი და 7710 მეტრიანი ჟანუს მწვერვალის ჩრდილოეთი კედელი პირველებმა გაიარეს. ფილმის ოპერატორი და რეჟისორი ალექსანდრე რუჩკინი კი პირველი გამოდგა, ვინც ყველა პოლიტიკური თუ ჩინოვნიკური ბარიერის მიუხედავად, საქართველოში ფილმის გამოგზავნა მოახერხა. ამ "გმირობისთვის" "ნიამორის" ორგანიზატორებმა რუსი მთამსვლელი მეგობრობის დიპლომით დააჯილდოვეს.

*"ჩვენ ახლა საბაზოში დავბრუნდებით და... "მაგრა გაასწორებს" თუკი სადმე ოთხიოდ ლიტრ კარგ ღვინოს ვიშოვით... მაშინ ერთბაშად ორ მოვლენას აღვნიშნავთ..."*- ეს არის ციტატა გამარჯვებული რუსული ფილმიდან. ალბათ, ამიტომაც ფესტივალის ორგანიზატორებმა სიმბოლურად ტელეხიდის ყველა მონაწილეს საფირმო ქართული ღვინოების დეგუსტაცია შესთავაზეს, "თელიანი ველის - საფერავი" კი საელჩოს წარმომადგენელს გადასცეს საჩუქრად.

ბუნებრივია, ქართულმა ღვინომ თავისი გააკეთა და მთელი ტელეხიდის დროს ჩუმად მყოფი ქართველი ალპინისტების დიდი მეგობარი, რუსი მესიმაღლე **ვლადიმირ იანოჩკინი** აალაპარაკა...

- დიდი ხანია საქართველოში არ ვყოფილვარ, მაგრამ ვიდრე ღვინოებს აკრძალავდნენ მეგობრებმა საქართველოდან რამდენიმე ყუთი გამომიგზავნეს და ახლა ისე არ ვიძინებ, თუ 4-5 ჭიქა არ დავლიე."- თქვა ვლადიმირ იანოჩკინმა, რომელიც მზად არის ქართველ მთამსვლელებთან ერთად ახალი სიმაღლეები დალაშქროს. იგი, საქართველოში, ბოლოს, 2002 წელს იყო, როდესაც მიხეილ ხერგიანის დაბადების 70 წლისთავისადმი ქართულ-რუსული ერთობლივი ექსპედიცია მოეწყო უშბაზე.

ამ ექსპედიციის კიდევ ერთი ნევრი, გინესის რეკორდსმენი **ლევ სარქისოვი,** გუშინ თბილისის სტუდიიდან სინანულს გამოთქვამდა, რომ მეგობრებს ვეღარ ხვდება. თუმცა მთამსვლელი დაამშვიდეს და პაექრობაში გამოიწვიეს კიდეც. *"ლევ, არ გეგონოთ, რომ თქვენს მეგობრებს არ ახსოვხართ. უფრო მეტიც - ვეტერანი მთამსვლელები სიურპრიზს ამზადებენ და თქვენი რეკორდის, უხუცესი ევერესტელის მოხსნას აპირებენ"* - ამბობს **იური ბაიკოვსკი**, რუსული სამთო ფილმების ფესტივალი "ვერტიკალის" დირექტორი.

რეკორდისა რა მოგახსენოთ, მაგრამ რუსი ქალები ქართველ მანდილოსნებს ერთობლივ ექსპედიციებში ეპატიჟებიან. *"რუს ქალთა ალპინისტების გუნდი იყო პირველი, ვინც ზამთრის პირობებში იალბუზზე ასვლა მოახერხა. ჩვენ გვიხარია ქართველი მამაკაცი მთამსვლელების ხილვა, მაგრამ ნუთუ არ არიან ქალები, რომლებთან ერთობლივი ექსპედიციების განხორციელება შეიძლება? იქნებ შევძლოთ და 2008 წელს მყინვარწვერზე შევხვდეთ?"*- ამბობს მთამსვლელი **ოლგა შილენინა**.

*" ყველა ჩამოდით. საქართველოში ყოველთვის მზად არიან მასპინძლობისა და ერთობლივი ასვლებისთვის. ჩვენ ვართ მოწმენი, როგორ დადგა ფეხზე ორი წლის წინათ რუსეთის სამაშველო სამსახური, როცა უშბაზე ტრაგედია დატრიალდა და ორი ქართველი მთამსვლელი დაილუპა. ბოლო წლების განმავლობაში ცოტა ჩამოვშორდი აქტიურ ალპინიზმს, მაგრამ ვეცდები, ახლა ავანაზღაური და მრავალი საინტერესო პროექტიც განვახორციელოთ"*- **ბენო ქაშაკაშვილი,** ქართველი ალპინისტი, საქართველოს ალპინიზმისა და მეკლდეურობის ასოციაციის პრეზიდენტი.

ეს მოგვიანებით, იქამდე კი, 13-დან 21 აპრილამდე მოსკოვში მეთერთმეტედ გაიმართება სამთო ფილმების ფესტივალი "ვერტიკალი". **იური ბაიკოვსკიმ** ქართველები ამ ფესტივალზე ოფიციალურად დაპატიჟა. ახლა ჯერი რუსეთის საელჩოზეა, გასცემს თუ არა ვიზებს. რაც შეეხება რუსულ ფესტივალ "ვერტიკალს", იქ წლების განმავლობაში ქართული ალპინისტური ფილმები იმარჯვებდნენ, თუმცა მესამე წელია, მოსკოვის ფესტივალზე ქართული ფილმი არ წარუდგენიათ. ამის გამოსწორებას ქართველი მთამსვლელები უკვე 2007 წლიდან შეეცდებიან.

**თამარ ჯიშკარიანი**

ტურნირები

# ფედერერს ბლეიკი მიჰყვა



რაფაელ ნადალი

არგენტინელი **გილერმო კანიასი**, ვინც ინდიან ველსის მეორე წრეში მსოფლიოს პირველ ჩოგანს, შვეიცარიელ **როჯერ ფედერერს** მოუგო, ამით მას 41-მატჩიანი წაუგებელი სერია შეაწყვეტინა და რაც მთავარია, თანამემამულე **გილერმო ვილასის** რეკორდამდე (ზედიზედ 46 თამაშის მოგება) არ მიუშვა, მესამე წრეშივე გამოეთიშა სეზონის პირველ სამასტერსო ტურნირს. ის მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს, ესპანელ **კარლოს მოიასთან** ორ სეტში დამარცხდა.

სანამ ფედერერი იძულებით ისვენებს და მაიამის მასტერსისთვის ემზადება, ინდიან ველსის დანარჩენი ფავორიტები წინსვლას აგრძელებენ. მესამე წრის შეხვედრები მოიგეს ესპანელმა **რაფაელ ნადალმა**, ამერიკელმა **ენდი როდიკმა** და ბრიტანელმა **ენდი მარიმ**. სამგიეროდ, ტურნირს გამოეთიშა ამერიკელი **ჯეიმს ბლეიკი**, ვინც შარშან ტურნირის ფინალს მიაღწია და იქ ფედერერთან წააგო.

მარის გამარჯვებები უკვე აღარავის აკვირვებს. ამ ეტაპზე, ის ფავორიტთა შორისაა და ამაზე თავადაც ლაპარაკობს, თუმცა არც თავმდაბლობა აკლია და ამბობს, რომ მასზე მეტი შანსები ნადალს, **ჰაასსა** და როდიკს აქვთ. მან მხოლოდ ოთხი გეიმი დაუთმო ფრანგ **ნიკოლა მაიუს**, ვისაც მეტწილად უკანა ხაზიდან ბომბავდა. რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ბრიტანელი კარგად თამაშობდა მეტოქის მოწოდების მიღებაზეც და თავადაც უნაკლოდ აწოდებდა.

*"ჩემი თამაშით კმაყოფილი ვარ. ნიკოლას ძლიერი მოწოდება აქვს და მიხარია, რომ მიღებაზე ყველაფერი კარგად გამომდიოდა. საერთოდ, ის ბადესთან ხშირი გასვლებით არ გამოირჩევა, მაგრამ ხაზიდან ძალიან აგრესიულად თამაშობს, თუმცა ამჯერად მის აგრესიას იოლად ვუმკლავდებოდი"*, - განაცხადა მარიმ, ვინც მომდევნო წრეში რუს **ნიკოლაი დავიდენკოს** დაუპირისპირდება. სხვათა შორის, დავიდენკომ ზუსტად იგივე ანგარიშით მოუგო ჩეხ **იან ჰერნიხს**, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ პირველ სეტში სამი გეიმი დათმო, მეორეში კი - მხოლოდ ერთი.

ბლეიკმა მეორე წრის შეხვედრა გვიან დაასრულა, მესამე წრისაზე კი, რომელშიც მისი მეტოქე ფრანგი **ჟულიან ბენეტო** იყო, კორტზე პრაქტიკულად დაუსვენებლად გავიდა, რაც მის თამაშზე უარყოფითად აისახა.

*"ნებისმიერ სათამაშო კომპონენტში რაღაც არ გამომდიოდა. ეს სერვისსაც ეხება, მიღებასაც, გადამწყვეტ მომენტებში თამაშსაც. ბევრი რეალური შანსი გავანიავე და აბა, ასეთ შემთხვევაში ვინ მოგაგებინებს? არ ვიცი, რას დავაბრალო ყოველივე. უბრალოდ, ეს ჩემი დღე არ იყო"*, - განაცხადა ბლეიკმა.

ბენეტოს მომდევნო მეტოქე კი იქნება სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი**, ვინც რუსი **ევგენი კოროლიოვი** გაანადგურა.

## ATP

### Pacific Life Open

ინდიან ველსი (აშშ). 7-18 მარტი. ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 3 169 600 დოლარი

### 1/16 ფინალი

**რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 32) 6:4, 6:4; **ენდი როდიკი (აშშ, 3)**-ოლივიე როხუსი (ბელ, 33) 6:3, 7:6 (5); **ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 4)**-იან ჰერნიჩი (ჩეხ) 6:3, 6:1; **ფერნანდო გონსალესი (ჩილ, 5)**-რობინ სიოდერლინგი (შვედ, 26) 7:6 (4), 7:6 (2); **ჟულიან ბენეტო (საფ)**-ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 6) 6:2, 7:6 (1); **ივან ლუბიჩიჩი (ხორ, 8)**-ტომას იოჰანსონი (შვედ) 6:1, 6:4; **ტომი ჰაასი (გერ, 9)**-თეიმურაზ გაბაშვილი (რუს) 6:0, 6:3; **დავიდ ნალბანდიანი (არგ, 10)**-პოლ-ანრი მატიო (საფ) 6:7 (3), 6:2, 6:0; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 12)**-ევგენი კოროლიოვი (რუს) 6:2, 6:1; **ენდი მარეი (ბრიტ, 13)**-ნიკოლა მაუ (საფ) 6:1, 6:3; **დავიდ ფერერი (ესპ, 14)**-იანკო ტიპსარევიჩი (სერ) 6:1, 6:3; **რიშარ გასკე (საფ, 15)**-იარკო ნიემინენი (ფინ, 18) 6:3, 1:6, 6:3; **ხუან კარლოს ფერერო (ესპ, 22)**-ხოსე აკასუსო (არგ) 4:6, 7:6 (5), 6:4; **ხუან იგნასიო ჩელა (არგ, 30)**-ჟილ სიმონი (საფ) 6:2, 6:2; **კარლოს მოია (ესპ)**-გილერმო კანიასი (არგ) 6:4, 6:4; **მაიკლ რასელი (აშშ)**-გილერმო გარსია ლოპესი (ესპ) 6:1, 7:5.

### 1/8 ფინალში ხვდებიან

მოია-ფერერი (14); ჯოკოვიჩი (12)-ბენეტო; დავიდენკო (4)-მარეი (13); ჰაასი (9)-გონსალესი (5); ლუბიჩიჩი (8)-ნალბანდიანი (10); გასკე (15)-როდიკი (3); ჩელა (30)-რასელი; ფერერო (22)-ნადალი (2).

## WTA

### Pacific Life Open

ინდიან ველსი (აშშ). 7-18 მარტი. ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 2 100 000 დოლარი

### 1/16 ფინალი

**სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 2)**-ელენა ლიხოვცევა (რუს) 6:1, 7:6 (4); **ნადია პეტროვა (რუს, 4)**-ლაურა გრენვილი (აშშ) 4:6, 6:3, 6:0; **ნიკოლ ვაიდიშოვა (სლოვაკ, 6)**-აშა როული (აშშ) 6:3, 4:1 როულის უარი; **მარიონ ბარტოლი (საფ, 17)**-დინარა საფინა (რუს, 9) 6:4, 6:3; **ანა ივანოვიჩი (სერ, 10)**-ალისია მოლისი (ავსტრა) 6:2, 6:1; **ტატიანა გოლოვინი (საფ, 13)**-სამანტა სტოსური (ავსტრა, 21) 6:2, 6:0; **აი სუგიამა (იაპ, 16)**-ტატიანა გარბინი (იტა, 20) 6:7 (4), 6:1, 6:1; **სიბილ ბამერი (ავსტრა, 33)**-შუაი პენგი (ჩინ, 30) 6:3, 6:3.

### 1/8 ფინალში ხვდებიან

შარაპოვა (1)-ზვონარევა (15); ნა ლი (12)-იანკოვიჩი (7); ჰინგისი (3)-ჰანტუხოვა (14); პეერი (11)-ჩაკვეტაძე (8); ბამერი (33)-ივანოვიჩი (10); გოლოვინი (13)-პეტროვა (4); ვაიდიშოვა (6)-ბარტოლი (17); სუგიამა (16)-კუზნეცოვა (2).

ჩრდილი

ზემძიმე წონა

# შეხვედრის ადგილი მოსკოვია

აქამდე რუსეთის დედაქალაქში პროფესიულ კრივში, პრესტიჟულ გაერთიანებათა საჩემპიონო ბრძოლა არ ჩატარებულა. არადა, უკვე ბევრი მიეჩვია იმ ფაქტს, რომ ყველაზე ფასეულ, ზემძიმე წონაში ოთხიდან სამი პრესტიჟული გაერთიანების ტიტული ყოფილი საბჭოეთის ქვეყნების მოკრივეთა ხელშია. ამ ოთხიდან ერთია ამერიკელი, ერთიც უკრაინელი, დანარჩენ ორ ტიტულს კი რუსი მოკრივეები ფლობენ. ოღონდ, მათგან ერთი - **ოლეგ მასკაევი** ერთდროულად ორი ქვეყნის, აშშ-ისა და რუსეთის მოქალაქეა.

და აი, გამოცხა მოსკოვი ერთდროულად ორ საჩემპიონო ბრძოლას უმასპინძლებს და თანაც, ორივეს ერთდროულად (2 ივნისს). ერთში ერთმანეთს WBO-ის ჩემპიონი **შენონ ბრიგსი** და რუსი **სულთან იბრაგიმოვი** იბრძოლებენ, მეორეში კი რინგზე დაბრუნებული უკრაინელი **ვიტალი კლიჩკო** WBC-ს ტიტულს შეეცილება მის ახლანდელ მფლობელს, რუსი ოლეგ მასკაევს. ამ მეორე წყვილის ბრძოლის თარიღი და ადგილი ჯერ საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის, მაგრამ ორივე მხარე ახლავე თანახმაა, რომ ისინი მოსკოვში, 2 ივნისს შეხვდეს ერთმანეთს.

ბრიგსსა და იბრაგიმოვს 10 მარტს უნდა ეჩხუბათ, მაგრამ ამერიკელს, ვინც ისედაც ასთმითაა დაავადებული, პნევმონია აღმოაჩნდა, რის გამოც მან ბრძოლის გადავადება ითხოვა. იბრაგიმოვსაც ისღა დარჩენოდა, თანხმობა მიეცა და რომ არ "გაგრილებულიყო", ეს თარიღი რიგით მოკრივესთან ბრძოლისთვის გამოიყენა - ნიუ იორკის "მედისონ სკვერ გარდენის" ერთ-ერთ თეატრალურ დარბაზში, მექსიკელ **ხავიერ მორას** წუთზე ნაკლებში გაუსწორდა.

მორას რომ ნოკაუტი აგემა, იბრაგიმოვმა განაცხადა, მსურს, აქვე, ოღონდ მთავარ არენაზე, ბრიგსსაც შავი დღე ვაყაროო, მაგრამ მისმა ბანაკმა ბრძოლის ადგილად მოსკოვი შეურჩია და ამაზე WBO-ის პრეზიდენტ **პაკო ვალკარსელის** თანხმობაც მიიღო.

ვალკარსელმა რუსს თავად მიულოცა გამარჯვება და განაცხადა, რომ თუ ბრიგსი მას ივნისის შუამდე არ შეხვდება, მაშინ ტიტულს ბრძოლის გარეშეც დაკარგავს. ეს ამბავი იბრაგიმოვის ბანაკმა უმალ ამერიკელის ბიჭებს ახარა.

ბრძოლის ორგანიზების უფლებისთვის გამართულ ვაჭრობაზე, რუსულმა კომპანია "გოლდენ გრეინ პრომოუშენმა" თვით **დონ კინგსაც** კი აჯობა და მანვე გაჩარხა მოსკოვში ბრძოლის ჩატარება. სხვათა შორის, რუსულ კომპანიას პარტნიორად **ოსკარ დე ლა ჰოია** და მისი საპრომოუშენო კომპანია "გოლდენ ბოი პრომოუშნი" მოევლინა. იბრაგიმოვისა და მორას ბრძოლას კი ამ კომპანიის დასავლეთის საქმეთა გამგებელი, სახელოვანი **ბერნარდ ჰოპკინსი** დაესწრო.

პარალელურად, ზუსტად იმავე თარიღზე მიაღწიეს შეთანხმებას მასკაევისა და ვიტალი კლიჩკოს ბანაკებმა. ოღონდ, ოფიციალურად ეს ჯერ არ დაუდასტურებიათ. ჩემპიონის პრომოუტერი **დენის რაპპორტი** იმედოვნებს, რომ კლიჩკო მოსკოვში ბრძოლაზე უარს არ იტყვის. სხვათა შორის, თავად ვიტალისაც



მარცხნიდან: იბრაგიმოვი, ჰოპკინსი და ბრიგსი

არაერთხელ უთქვამს, რომ დიდი სიამოვნებით შეხვდება მასკაევს მოსკოვში.

რაპპორტის ინფორმაციით, ნიგერიელი **სემუელ პიტერი**, ვინც სავალდებულო პრეტენდენტის სტატუსს ფლობს, თავისი უფლების გამოყენების გადადების სანაცვლოდ, 2.75 მილიონ დოლარს მიიღებს. თანაც, არც ისაა გამორიცხული, რომ მან კლიჩკოსა და მასკაევის შეხვედრის ანდერქარდზე ბრძოლაზე თანხმობა განაცხადოს.

სანამ ბრძოლების მოსკოვში ჩატარების ამბავი იჩარხება, კიდევ ერთი რუსი - გიგანტი **ნიკოლაი ვალუევი**, ვინც WBA-ის სარტყელის მფლობელია, IBF-ის ჩემპიონ **ვლადიმირ კლიჩკოზე** ინევს - სადაც უნდა, როცა უნდა, მაშინ შევხვდებიო. მაგრამ ბევრი რამ ჩემს პრომოუტერსა და მის მოხერხებაზეა დამოკიდებული. სანამ უკრაინელთან შესაძლო შეხვედრაზე მისი პრომოუტერი რეალურ ნაბიჯებს გადადგამდეს, ვალუევს თავისი ტიტულის მორიგი დაცვა ელის კიდევ ერთ რუს **რუსლან ჩაგაევთან**.

**მერაბ ლორთქიფანიძე**



ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

## პინგვინები პიტსბურგში რჩებიან

როგორც ჩანს, წარსულს ჩაბარდა "პიტსბურგ პინგვინების" შესაძლებელი გადასვლის პერსპექტივა. დაუზუსტებელი ინფორმაციით, ქალაქი პიტსბურგი ჰოკეის კლუბს შეინარჩუნებს.

ამერიკული პრესა კლუბთან დაახლოებულ სანდო წყაროზე დაყრდნობით წერს, რომ "პიტსბურგის" ხელმძღვანელობამ შეთანხმებას მიაღწია შტატისა და ქალაქის მთავრობასთან და 2009-10 წლების სეზონიდან მოყოლებული, "პინგვინზი" ახალ არენაზე ითამაშებს.

ახალი სტადიონის აშენებაზე 290 მილიონი დოლარი დაიხარჯება, ხოლო ქალაქის მთავრობასთან შეთანხმების თანახმად, "პინგვინები" პიტსბურგში კიდევ 30 წელი დარჩებიან.

## პეკა ფლეი ოფში დაბრუნდება

"ტორონტო მეიპლ ლივზის" ერთ-ერთი ლიდერი, **მაიკლ პეკა** ფლეი ოფის მატჩებისთვის ჩადგება მწყობრში. შეგახსენებთ, რომ ეს ჰოკეისტი ფეხის მოტეხილობის გამო, 22 დეკემბრის შემდეგ არ თამაშობს.

ამ სეზონში 32 წლის ფორვარდმა 35 მატჩი ჩაატარა და 15 ქულა (4 გოლი+11 შედეგიანი გადაცემა) დააგროვა.

## პროფკავშირის შეფი შვებულებაში გაუშვეს

ჰოკეის ეროვნული ლიგის მოთამაშეთა ასოციაციის აღმასრულებული დირექტორი **ტედ სასკინი** დროებით იძულებით შვებულებაში გაუშვეს. მანამდე კი, დირექტორის პოსტზე მისი მოღვაწეობის შესასწავლად გამოძიება ჩატარდება.

NHL-ის ჰოკეისტებმა ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, რაც სასკინსა და მის თანამემწე **კენ კიმზე** ეჭვი მიიტანეს, თითქოს ისინი ჰოკეისტების პირად ელექტრონულ საფოსტო ყუთებს ამოწმებდნენ. თუ ეს ფაქტი დადასტურდება, მაშინ სასკინს დაკავებული თანამდებობიდან გადააყენებენ.

ტედ სასკინი NHL-ის პროფკავშირის აღმასრულებელ დირექტორად 2005 წლის ივლისიდან მუშაობს. იქედან მოყოლებული, მის თავიდან მოშორებას ჰოკეისტთა ერთი ჯგუფი ცდილობს, რომელსაც სათავეში "დეტროიტის" ლეგენდარული მცველი **კრის ჩელიოსი** უდგას. ვეტერანი ჰოკეისტი სასკინს იმაში ადანაშაულებს, რომ შარშანდელი ლოკაუტის პერიოდში, დირექტორი მოთამაშეებს ცრუ ინფორმაციებს აწვდიდა მოლაპარაკებების მიმდინარეობის შესახებ, რათა ისინი ლიგასთან ახალი კოლექტიური ხელშეკრულების ხელისმოწერაზე დაეთანხმებინა.

## ბამპამ მცველი დაკარგა

"ტამპა ბეი ლაითნინგის" 22 წლის მცველი **პოლ რეინჯერი** მუხლის ტრავმის გამო დაახლოებით 4-6 კვირას გამოტოვებს.

ექიმების თქმით, ჰოკეისტს ოპერაცია არ დასჭირდება, მაგრამ რეინჯერი ველარ გამოჩნდება რეგულარული ჩემპიონატის დარჩენილ მატჩებში. მისი დაბრუნება ფლეი ოფის მეორე ეტაპისთვის არის ნავარაუდები, რა თქმა უნდა, თუ იქ "ტამპა ბეი" მოხვდება.

ამ სეზონში რეინჯერმა 67 მატჩში 26 ქულა (4 გოლი+22 პასი) დააგროვა.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

## ლეიკერსში პიპენის ადგილი არაა

"ლოს ანჯელეს ლეიკერსის" მთავარმა მწვრთნელმა **ფილ ჯექსონმა** უარყო გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს მისი კლუბი ვეტერან **სკოტი პიპენთან** აპირებდეს კონტრაქტის გაფორმებას.

*"უპირველეს ყოვლისა, შემადგენლობაში ადგილი არ გვაქვს - ჩემს განკარგულებაში 15 კალათბურთელია. თანაც, ჩვენ ისეთი მოთამაშე გვჭირდება, რომელიც 15 წუთზე მეტს დაჰყოფს მოედანზე"*, - განაცხადა "ლოს ანჯელეს თაიმსისთვის" მიცემულ ინტერვიუში ფილ ჯექსონმა.

## ტაუს ერდოგანი გამოაკლდა

ესპანეთის "ტაუგრესის" ოფიციალური ვებ-გვერდის ინფორმაციით, კლუბის ერთ-ერთმა ლიდერმა **სერქან ერდოგანმა** ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში ფეხის ტრავმა მიიღო.

დაზიანება სერიოზული არ არის, მაგრამ თურქ კალათბურთელს მაინც მოუწევს ევროლიგის მეხუთე ტურის მატჩის გამოტოვება, რომელშიც "ტაუგრესი" რომის "ვირტუსს" შეხვდება.

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

## ჩაკვეტაძემ სამპრასის მწვრთნელი აიყვანა

რუსი ჩოგბურთელი **ანა ჩაკვეტაძე** ინდიან უელსის ტურნირზე ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით თამაშობს. სულ ცოტა ხანია, რაც წარმოშობით ქართველ ჩოგბურთელს ცნობილი მწვრთნელი **რობერტ ლენსდორპი** ავარჯიშებს.

თავის დროზე, ეს სპეციალისტი მსოფლიო ჩოგბურთის ლიდერებთან - **პიტ სამპრასთან, ტრეისი ოსტინთან, ლინდსი დავენპორტთან** და **მარია შარაპოვასთან** მუშაობდა.

როგორც რუსი ჩოგბურთელის მამა - **ჯემალ ჩაკვეტაძე** აცხადებს, მის ქალიშვილს სურვილი აქვს, რომ ლენსდორპთან თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდეს.

## რუსეთი დემენტიევას გარეშე

მსოფლიო კლასიფიკაციის მერვე ნომერი, რუსი **ელენა დემენტიევა** ნეკნის მოტეხილობის გამო ვერ ითამაშებს ფედერაციის თასის მერვედფინალში. ამ ეტაპზე რუსები 21-22 აპრილს, ესპანეთის ნაკრებს უმასპინძლებენ.

როგორც იცით, რუსეთის ნაკრების კაპიტანმა **შამილ ტარპიშჩევმა** ერთი კვირის წინათ დაასახელა თავისი გუნდის შემადგენლობა, რომელშიც დემენტიევას გარდა **მარია შარაპოვა, სვეტლანა კუზნეცოვა** და **ნადია პეტროვა** მოხვდნენ. ტარპიშჩევის თქმით, დემენტიევას ნაკრებში **ანა ჩაკვეტაძე** ან **დინარა საფინა** შეცვლის.

გარდა ქალთა გუნდისა, შამილ ტარპიშჩევი რუსეთის მამაკაცთა ნაკრებსაც ავარჯიშებს, რომელსაც დევისის თასის მეოთხედფინალში საფრანგეთის ნაკრებთან უწევს შეხვედრა.

გუშინ, რუსების მწვრთნელმა ამ მატჩისთვის შემადგენლობა გამოაცხადა. დევისის თასის მფლობელის რიგებში ბრუნდება **ნიკოლაი დავიდენკო**, ხოლო მას გვერდს დაუმშვენებენ **მარატ საფინი, მიხაილ იუჟნი** და **იგორ ანდრეევი**.

ᲙᲠᲘᲖᲘ

## ყოფილი ჩემპიონი კინალამ კოკაინმა იმსხვერპლა

სამ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი **ჯონი ტაპია**, კოკაინის ზედმეტი დოზის მიღების გამო, კრიტიკულ მდგომარეობაში საავადმყოფოში მოათავსეს.

როგორც სააგენტო "როიტერი" იტყობინება, ყოფილი სპორტსმენი ამერიკის ქალაქ ალბუკერკის ერთ-ერთი სასტუმროს ნომერში უგონოდ იპოვნეს. *"ის არ სუნთქავდა. როცა ტაპია კარგად გახდება, მას ნარკოტიკების შენახვის ბრალდებით დავაპატიმრებთ"*, - განაცხადა პოლიციის წარმომადგენელმა.

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

# ედმონტონმა ზედიზედ მერვედ წააგო

მიკა კიპრუსოფი

### კალგარი-სენტ ლუისი 5:4 (ბ)

0:1, 2:1, 2:2, 0:0

**გოლები:** 0:1 ბეკმენი-6 (უეიტი-38, ბოიესი-25), 1:1 მოსი-9 (ლომბარდი-23, ჰუსელიუსი-37), 2:1 ჰუსელიუსი-30 (იგინლა-46, ჰამრლიკი-26), 2:2 სტემპნიაკი-22 (ბოიესი-26, ჩააინეკი-30), 3:2 ფანოფი-17 (ჰუსელიუსი-38, ჰამრლიკი-27), 4:2 ლენგკოუ-28 (ჰუსელიუსი-39, მოსი-7), 4:3 ჩააინეკი-11 (ბოიესი-27, უეიტი-39), 4:4 სტემპნიაკი-23 (ბეკსი-8).

**ბულიტები გაიტანეს:** ტანგეი (კალგარი), იგინლა (კალგარი).

"კალგარი" მყარად ინარჩუნებს დასავლეთი კონფერენციის მერვე პოზიციას და ახლოს არ უშვებს კონკურენტებს. "სენტ ლუისი" ფლეი ოფის ბოლო საგზურისთვის ბრძოლაში მისი ერთ-ერთი მეტოქეა, ასე რომ, კანადელებმა მეტად მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს.

ეს მოგება დიდწილად "ფლეიმზის" მეკარის - **მიკა კიპრუსოფის** კარგმა თამაშმა განაპირობა. ოვერტაიმში სტუმრებმა ერთხელაც არ დაარტყმევინეს კარში "კალგარის", თავად "სენტ ლუისმა" კი, 6 ზუსტი დარტყმა შეასრულა, მაგრამ კიპრუსოფმა ყველა მოიგერია და ბულიტების სერიაშიც მშრალად შეინახა საკუთარი კარი. სხვათა შორის, კიპრუსოფმა "კალგარის" რიგებში მე-100 გამარჯვება იზეიმა.

### ატლანტა-ვაშინგტონი 4:2

2:0, 1:1, 1:1

**გოლები:** 1:0 ვიაჩ. კოზლოვი-23 (მარიან ჰოსა-50), 2:0 ჰოლიკი-11 (ბულტონი-3), 2:1 ოვეჩკინი-40 (ნოვოტნი-10), 3:1 ტკაჩუკი-24 (ბულტონი-4), 3:2 ოვეჩკინი-41 (კლიმერი-12, სიომინი-27), 4:2 კოვალჩუკი-37 (სიმი-11).

"ატლანტა" ახლოა, რომ პირველად გავიდეს ფლეი ოფში, თანაც საკუთარი მოედნის უპირატესობით. "ვაშინგტონის" დამარცხების შემდეგ, "ტრეშერზი" სამხრეთ-აღმოსავლეთი დივიზიონის ლიდერი გახდა, რაც კონფერენციაში მინიმუმ მესამე ადგილის ტოლფასია.

ეს გუნდი აშკარად ფლეი ოფისთვის ემზადება. ბოლო ტრეიდი, რომელიც მან განახორციელა, სწორედ სტენლის თასზე წარმატებულ გამოსვლაზე იყო გათვლილი. "სენტ ლუისიდან" აყვანილი **კეიტ ტკაჩაკი** ახალ გუნდს კარგად მოერგო - გამოცდილმა ფორვარდმა "ტრეშერზის" რიგებში უკვე მეოთხე გოლი გაიტანა.

"ვაშინგტონის" ამბავი კი, უკვე კარგა ხანია გარკვეულია. ეს გუნდი აღმოსავლეთში ბოლოსწინა ადგილზეა და მას წელსაც ვერ ეღირსება ფლეი ოფში თამაში.

### ფინიქსი-ფილადელფია 4:0

2:0, 1:0, 1:0

**გოლები:** 1:0 ნ. კაპანენი-5 (ზ. მიხალეკი-24, ტელკვისტი-1), 2:0 ნოლანი-16 (ნ. კაპანენი-12, ბელი-5), 3:0 ტიარნკვისტი-4 (კ. ადამსი-7, მ. ჯონსი-3), 4:0 კარჩილო-2 (დოენი-23).

"ფინიქსის" მეკარე **მიკაელ ტელკვისტმა** 24 შაიბა მოიგერია და სეზონში მეორე შათაუტი შეასრულა.

ერთი პერიოდი, **უეინ გრეტცკის** გუნდს თითქოს ფლეი ოფში მოხვედრის შანსი გაუჩნდა, მაგრამ "ფინიქსმა" ბოლო 15 მატჩში მხოლოდ სამჯერ მოიგო და ასეთი თამაშით, სტენლის თასზე ფიქრი არარეალურია.

### ლოს ანჯელესი-ედმონტონი 5:1

2:1, 1:0, 2:0

**გოლები:** 1:0 ნ. კლარკი-1 (დ. ბრაუნი-21, მოდრი-10), 2:0 ფროლოვი-34 (ა. მილერი-6, ვივერი-5), 2:1 პეტერსენი-5, 3:1 კამალერი-28 (რ. ბლეიკი-19, ვიშნოვსკი-36), 4:1 რ. ბლეიკი-12 (ვიშნოვსკი-37, ო'სალივანი-6), 5:1 კამალერი-29 (ვიშნოვსკი-38, რ. ბლეიკი-20).

"ედმონტონმა" თავისი წაგებათა სერია 8 მატჩამდე აიყვანა და თუ კიდევ სამ თამაშში დამარცხდება, საკლუბო რეკორდსაც გაიმეორებს. "ოილერზის" ეს წარუმატებელი სერია მას შემდეგ დაიწყო, რაც კლუბის ხელმძღვანელობამ "აილენდერსში" **რაიან სმიტი** გაუშვა. გარდა ამისა, "მენავთობეებს" 10 (!) ჰოკეისტი ჰყავთ დამტვრეული. შედეგიც სახეზეა.

სხვათა შორის, "ედმონტონს" ბოლო 30 მატჩში არ გაუტანია 4-ზე მეტი გოლი.

#### დასავლეთი კონფერენცია

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ნეშვილი* | 70 | 46 | 18 | 6 | 98 |
| 2. ანაჰაიმი* | 70 | 42 | 17 | 11 | 95 |
| 3. ვანკუვერი* | 69 | 41 | 23 | 5 | 87 |
| 4. დეტროიტი | 69 | 43 | 17 | 9 | 95 |
| 5. დალასი | 68 | 40 | 23 | 5 | 85 |
| 6. სან ხოსე | 69 | 41 | 25 | 3 | 85 |
| 7. მინესოტა | 70 | 39 | 24 | 7 | 85 |
| 8. კალგარი | 69 | 37 | 22 | 10 | 84 |
| 9. კოლორადო | 69 | 34 | 29 | 6 | 74 |
| 10. სტ. ლუისი | 69 | 29 | 29 | 11 | 69 |
| 11. ედმონტონი | 70 | 30 | 34 | 6 | 66 |
| 12. ჩიკაგო | 68 | 26 | 33 | 9 | 61 |
| 13. კოლამბუსი | 69 | 27 | 35 | 7 | 61 |
| 14. ფინიქსი | 69 | 28 | 38 | 3 | 59 |
| 15. ლოს ანჯელესი | 70 | 23 | 34 | 13 | 59 |

*შენიშვნა:* ოწ - ოვერტაიმში წაგება (დამარცხებულ გუნდს ერთი ქულა ენიჭება); * - დივიზიონის ლიდერი

#### ბომბარდირები (გოლი+პასი)

| | |
|---|---|
| კროსბი (პიტ) | 100 (28+72) |
| ლეკავალიე (ტ-ბეი) | 93 (46+47) |
| სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 92 (39+53) |
| მარიან ჰოსა (ატლ) | 90 (40+50) |
| ჰიტლი (ოტა) | 88 (42+46) |
| სავარი (ბოს) | 88 (21+67) |
| ჯ. ტორნტონი (ს-ხოს) | 86 (16+70) |
| ოვეჩკინი (ვაშ) | 83 (41+42) |
| სელიანე (ანა) | 81 (41+40) |
| ბრიერი (ბაფ) | 80 (28+52) |

#### გოლეადორები

| | |
|---|---|
| ლეკავალიე (ტ-ბეი) | 46 |
| ჰიტლი (ოტა) | 42 |
| სელიანე (ანა) | 41 |
| ოვეჩკინი (ვაშ) | 41 |
| მარიან ჰოსა (ატლ) | 40 |
| სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 39 |
| განიე (ფილ) | 37 |
| კოვალჩუკი (ატლ) | 37 |
| ჯ. ბლეიკი (აილ) | 35 |

#### ასისტენტები

| | |
|---|---|
| კროსბი (პიტ) | 72 |
| ჯ. ტორნტონი (ს-ხოს) | 70 |
| სავარი (ბოს) | 67 |
| ჰ. სედინი (ვან) | 56 |
| იაგრი (რეინ) | 55 |
| სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 53 |
| ბრიერი (ბაფ) | 52 |
| დაციუკი (დეტ) | 52 |
| ბრინდამორი (კარ) | 51 |

#### აღმოსავლეთი კონფერენცია

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაფალო* | 68 | 44 | 19 | 5 | 93 |
| 2. ნიუ ჯერსი* | 69 | 42 | 19 | 8 | 92 |
| 3. ატლანტა* | 71 | 37 | 24 | 10 | 84 |
| 4. ოტავა | 69 | 39 | 23 | 7 | 85 |
| 5. პიტსბურგი | 68 | 37 | 21 | 10 | 84 |
| 6. ტამპა ბეი | 70 | 39 | 27 | 4 | 82 |
| 7. აილენდერსი | 68 | 34 | 24 | 10 | 78 |
| 8. რეინჯერსი | 69 | 34 | 27 | 8 | 76 |
| 9. კაროლინა | 70 | 34 | 28 | 8 | 76 |
| 10. ტორონტო | 69 | 33 | 27 | 9 | 75 |
| 11. მონრეალი | 70 | 34 | 30 | 6 | 74 |
| 12. ბოსტონი | 69 | 33 | 31 | 5 | 71 |
| 13. ფლორიდა | 69 | 29 | 27 | 13 | 71 |
| 14. ვაშინგტონი | 70 | 24 | 34 | 12 | 60 |
| 15. ფილადელფია | 69 | 19 | 39 | 11 | 49 |

### კვირის სამი ვარსკვლავი

გასულ კვირას, ჰოკეის ეროვნული ლიგის მიერ არჩეულ საუკეთესო მოთამაშეებში ორი მეკარეა. პირველი და მესამე ვარსკვლავები, შესაბამისად, "რეინჯერსისა" და "სან ხოსეს" გოლკიპერები - **ჰენრიკ ლუნდკვისტი** და **ევგენი ნაბოკოვი** გახდნენ.

შვედი ლუნდკვისტი სტატისტიკური მაჩვენებლებია - საშუალოდ 1.43 გაშვებული შაიბა და 94.8 პროცენტი მოგერიებული დარტყმები. გასულ კვირას ამ მეკარემ თავის გუნდს ოთხიდან სამ შეხვედრაში მოაგებინა.

რაც შეეხება ნაბოკოვს, მას ლუნდკვისტზე უკეთესი შედეგები ჰქონდა - ორი შათაუტი, 0.66 გაშვებული შაიბა და მოგერიების 97.6 პროცენტი.

კვირის მეორე ვარსკვლავის სტატუსი "ჩიკაგო ბლექჰოქსის" თავდამსხმელ **ჯეფ ჰამილტონს** ერგო. ორ თამაშში ამ ჰოკეისტმა სამი შაიბა გაიტანა და ოთხი შედეგიანი გადაცემა გააკეთა.

## ველოსპორტი

პარიზი-ნიცა (საფრანგეთი). მე-2 ეტაპი

# პელიცოტი პირველია

იტალიელი **ფრანკო პელიცოტის** გამარჯვებით დასრულდა პრო ტურის სერიის პირველი რბოლის, პარიზი-ნიცას მეორე ეტაპი. მან შესანიშნავად ისარგებლა იმით, რომ ფინიშის სწორზე მცირე აღმართი იყო. პელიცოტიმ თავგამოდებული სპურტით უკან მოიტოვა ძირითადი ჯგუფი და მასთან ორწამიანი უპირატესობით მიაღწია ფინიშის ხაზს.

გამარჯვებასთან ერთად, მან ლიდერის ყვითელი მაისური მოირგო, რომელიც პროლოგის შემდეგ ბრიტანელ **დევიდ მილარს** ეკუთვნოდა, რომელიც ორი ეტაპის შემდეგ, ახალ ლიდერს 6 წამით ჩამორჩება.

სხვათა შორის, ფინიშზე პირველი სამი ადგილი იტალიელმა ველომრბოლებმა დაიკავეს. ამასთან, კვარცხლბეკზე იტალიურ გუნდ "ლიკიგაზის" ორი წევრი ავიდა - პელიცოტის თანაგუნდელმა **ლუკა პაოლინიმ** მესამე ადგილი დაიკავა.

პელიცოტიმ გადამწყვეტი შეტევა ფინიშამდე 400 მეტრით ადრე წამოიწყო, როცა სპრინტის სპეციალისტი გუნდები თავიანთ ლიდერებს ხელსაყრელ პოზიციებს ურჩევდნენ. იტალიელმა რომ ფეხს აუჩქარა, მისი დადევნება მისმა თანამემამულე **დანიელე ბენატიმ** სცადა, თუმცა არაფერი გამოუვიდა და მეორე ადგილს დასჯერდა.

ვატანიდან ლიმოჟამდე (177 კმ)

1. ფრანკო პელიცოტი (იტალია, ლიკიგაზი) 3:57.36 (44.696 კმ/სთ); 2. დანიელე ბენატი (იტალია, ლამპრე-ფონდიტალი) 0.02; 3. ლუკა პაოლინი (იტალია, ლიკიგაზი) 0.02; 4. ვილიამ ბონე (საფრანგეთი, კრედიტ აგრიკოლი) 0.02; 5. ჯოაკიმ როდრიგესი (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 0.02; 6. ტომას ვაიტკუსი (ლიტვა, დისქავერი ჩენელი) 0.02...

კლასიფიკაცია მეორე ეტაპის შემდეგ

1. ფრანკო პელიცოტი (იტალია, ლიკიგაზი) 8:33.12; 2. დევიდ მილარი (ბრიტანეთი, სონიე დიუვალ-პროდირი) 0.06; 3. დანიელე ბენატი (იტალია, ლამპრე-ფონდიტალი) 0.06; 4. რომან კროიციგერი (ჩეხეთი, ლიკიგაზი) 0.07; 5. სებასტიან ჟოლი (საფრანგეთი, ფრანსის დე ჟუ) 0.08; 6. ლუის ლეონ სანჩესი (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 0.08; 7. ფრანცისკო ხოსე ვენტოსო (ესპანეთი, სონიე დიუვალი) 0.10...

## TV სპორტი

### 14 მარტი. ოთხშაბათი

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ამხანაგური მატჩი. მანჩესტერ იუნაიტედი-მსოფლიოს ნაკრები.
15:35 იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:35 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:50 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:50 ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
18:20 გასული კვირის ჰიტ-ალუმი.
20:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:25 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:25 უეფას თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი (LIVE).
23:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
23:40 ინგლისის ჩემპიონატი. გადადებული მატჩი. ასტონ ვილა-არსენალი (LIVE).

#### SPORT 1 (უკრაინა)

08:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ვერდერი.
09:50 სპორტინფორმი.
10:05 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:05 სპორტინფორმი.
11:20 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-რეალი.
13:05 ფიტნესი.
13:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-მილანი.
15:15 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. აკაპულკო. მექსიკა.
16:50 სპორტკლუბი.
17:00 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
17:30 ფეხბურთი. ინგლისის თასი. 1/4 ფინალის მიმოხილვა.
18:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ვალენსია-ინტერი.
19:50 სპორტკლუბი.
20:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
20:30 სპორტინფორმი.
20:45 სპორტის სახე.
21:15 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლევერკუზენი-ლანსი (LIVE).
23:10 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
23:45 კალათბურთი. ULEB-ის თასი. 1/2 ფინალი. I მატჩი. ხუვენტუდი-პარტიზანი (LIVE).
01:50 სპორტინფორმი.
02:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
03:00 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
03:25 სპორტკლუბი.
03:30 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ ჯერსი-პიტსბურგი (LIVE).
06:05 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ვალენსია-ინტერი.
07:55 სპორტკლუბი.

#### EUROSPORT

11:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS127. კუოპიო. ფინეთი.
12:30 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. სწრაფდაშვება. ლენცერჰაიდი. გერმანია (LIVE).
13:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მექსიკა.
14:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS127. კუოპიო. ფინეთი.
15:30 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი. ქალები. სწრაფდაშვება. ლენცერჰაიდი. გერმანია (LIVE).
16:30 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. სწრაფდაშვება. ლენცერჰაიდი. გერმანია.
17:00 ფეხბურთი. ალგარვის თასი. მე-3 ადგილისთვის. პორტუგალია (LIVE).
19:00 ბარის თხილამურები. მსოფლიო თასი. მამაკაცები. ქალები. სპრინტი. დრამენი. ნორვეგია (LIVE).
19:45 ველოსპორტი. პარიზი-ნიცა. III ეტაპი (LIVE).
20:30 ფეხბურთი. ალგარვის თასი. ფინალი. პორტუგალია (LIVE).
22:30 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/4 ფინალი. ინდიან უელსი. აშშ (LIVE).
23:45 ჩოგბურთი.
00:00 აფროსნობა.
00:05 მულტისპორტი.
00:10 ცხენოსნობა.
00:15 გოლფი. PGA-ს ტური.
01:15 გოლფი. ევროპის ტური.
01:50 აფროსნობა.
01:55 მულტისპორტი.
02:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩები.
02:30 ექსტრემალური სპორტი.
03:00 ფეხბურთი. ალგარვის თასი. ფინალი. პორტუგალია.
04:00 ავტოსპორტი. FIA WTCC. ტელეჟურნალი.

#### EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
13:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. 1/2 ფინალი. I მატჩი. უნიქსი (რუსეთი)-რეალი (ესპანეთი).
14:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩები.
15:00 ახალი ამბები.
17:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. 1/2 ფინალი. I მატჩი. ლიეტუვოს რიტასი (ლიტვა)-ჟელეზნიკი (სერბეთი).
18:00 ველოსპორტი. პრო-ტურის სერია. ტირენო-ადრიატიკო. I ეტაპი (LIVE).
19:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩები.
20:00 ლაკროსი. ჩრდილოამერიკის ლიგა. ოლ სტარი.
21:00 ახალი ამბები.
21:30 ფრისტაილი. მსოფლიო თასი. ინავაშირო. იაპონია.
22:00 ფრისტაილი. მსოფლიო თასი. აპექსი. კანადა.
22:30 ახალი ამბები.
23:00 ექსტრემალური სპორტი.
23:30 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. მსოფლიო თასი.
00:30 მულტისპორტი.
01:00 რესტლინგი.
02:30 მულტისპორტი.
03:00 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

#### ფეხბურთი

##### ინგლისი

###### ჩემპიონატი

| | |
|---|---|
| დერბი-ქუინზ პარკი | 1:1 |
| ლესტერი-ლიდსი | 1:1 |
| ლუტონი-ჰალი | 1:2 |
| ნორვიჩი-ბირმინგემი | 1:0 |
| პრესტონი-იფსვიჩი | 1:0 |
| უენსდი-კოლჩესტერი | 2:0 |
| საუთჰემპტონი-კარდიფი | 2:2 |
| საუთენდი-ბარნსი | 1:0 |
| სანდერლენდი-სტოკი | 2:2 |
| ქოვენთრი-უელზი | 2:1 |

###### I ლიგა

| | |
|---|---|
| ბრისტოლი-ბრედფორდი | 2:3 |
| მილუოლი-კრიუ | 2:2 |

###### II ლიგა

| | |
|---|---|
| მილტონი-მაკლსფილდი | 3:0 |

###### კონფერენსი

| | |
|---|---|
| ალდერშოტი-უოკინგი | 2:2 |
| კემბრიჯი-იორკი | 0:5 |
| გრეისი-ტამუორტი | 1:0 |
| ჰალიფაქსი-რაშდენი | 0:0 |
| მორეკამბი-ალტრინჩემი | 0:1 |
| ოქსფორდი-კიდერმინსტერი | 0:1 |
| სტ. ალბანსი-დაგენემი | 1:2 |
| სტეფორდი-გრავესენდი | 3:1 |
| სტივენეიჯი-საუთპორტი | 3:1 |
| უეიმაუთი-კროული | 3:2 |

##### იტალია

###### სერია B

| | |
|---|---|
| ბარი-ჩეზენა | 0:2 |
| ფროსინონე-პესკარა | 0:0 |
| ჯენოა-ბრეშია | 3:0 |
| იუვენტუსი-ტრევიზო | 1:0 |
| მანტოვა-ლეჩეა | 0:0 |
| მოდენა-ბოლონია | 1:1 |
| ნაპოლი-პიჩენცა | 0:0 |
| ტრიესტინა-არეცო | 2:0 |
| ვერონა-პიაჩენცა | 3:1 |
| რიმინი-ლეჩე | 1:0 |

##### გერმანია

###### რეგიონალლიგა (ჩრ)

| | |
|---|---|
| ვილჰელმშაფენი-ემდენი | 2:1 |
| ოსნაბრიუკი-მაღდებურგი | 1:1 |

##### შოტლანდია

| | |
|---|---|
| მოზერველი-აბერდინი | 0:2 |

###### I დივიზიონი

| | |
|---|---|
| პარტიკი-სტ. ჯონსტონი | 2:0 |
| როსი-ჰამილტონი | 4:1 |

###### III დივიზიონი

| | |
|---|---|
| დამბარტონი-სტენჰაუზმური | 1:1 |

##### ფინეთის ლიგის თასი

| | |
|---|---|
| კტპ-მიუპა | 1:0 |

##### ავსტრიის თასი

###### 1/4 ფინალი

| | |
|---|---|
| ლუშტენაუ-მატერსბურგი | 1:3 |
| კერნტენი-ზალცბურგი | 0:3 |
| რიდი-აუსტრია | 0:3 |
| ჰორნი-ზალცბურგი A | 1:3 |

##### პოლონეთის თასი

| | |
|---|---|
| პლოცკი-არკა | 1:1 |
| კორონა-ლეხი | 1:0 |

##### უნგრეთის თასი

| | |
|---|---|
| მტკ-ჰონვედი | 2:2 |

#### კალათბურთი

##### ULEB-ის თასი

| | |
|---|---|
| უნიქსი-რეალი | 76:69 |
| ლეტუვოს რიტასი-ჟელეზნიკი | 78:67 |

#### ჰოკეი

##### გერმანია

| | |
|---|---|
| ფრანკფურტი-აისბარენი | 6:0 |

##### ფინეთი

| | |
|---|---|
| ლუკო-ილვესი | 2:5 |

##### ჩეხეთი

| | |
|---|---|
| სლავია-ბუდეიოვიცე | 1:4 |

##### შვეიცარია

| | |
|---|---|
| ბერნი-ცუგი | 4:0 |
| დავოსი-კლოტენი | 5:0 |

#### ჩოგბურთი

##### WTA. ინდიან უელსი

| | |
|---|---|
| შარაპოვა-ზვანორევა | 6:4, 5:7, 1:6 |
| იანკოვიჩი-ლი | 3:6, 6:7 |
| ჩაკვეტაძე-პეერი | 4:6, 6:7 |



ბიედრინსი დალასს მაგრად დაუდგა

**დენი აიელოს** პოპულარული ფილმი დღევანდელ მიმოხილვასთან, პრაქტიკულად, არაფერ შუაშია. უბრალოდ, კაცი, რომელმაც "დალას მავერიქსს" 17-მატჩიანი მოგებათა სერია შეაწყვეტინა, ამ გუნდის ყოფილი თავკაცი, შაქრის დიაბეტით დაავადებული, მაგრამ მაინც ჯანზე მყოფი, **დონ ნელსონია**. გამოცდილი სპეციალისტი, რომელმაც **მარკ კიუბანს** თავის დროზე მთელი აქცენტი **დირკ ნოვიცკიზე** გადაატანინა, დღეს კალიფორნიაში იგივეს გაკეთებას ლატვიელი **ანდრის ბიედრინსის** გარშემო ცდილობს, პარალელურად კი თავის ყოფილ გუნდს მოედნის განურჩევლად ყველგან უგებს.

"გოლდენ სტეიტმა" "დალასი" მისსავე იარაღით, უსწრაფესი კალათბურთითა და მეტოქის გამოკვეთილი ლიდერის მაქსიმალურად შეწუხებით დაამარცხა. **ეივერი ჯონსონს**, რომელიც "დალასში" კიუბანმა სწორედ ნელსონის რჩევით გაათავკაცა, არაერთხელ უთქვამს - გამიჩერეთ **კობი ბრაიანტი, ტიმ დანკანი, შაკი** და მათ გუნდებს "დალასის" წინააღმდეგ მოგების არანაირი შანსი არ ექნებათო.

იგივეა "მავერიქსთან" მიმართებაშიც. მართალია, გუნდს ძალიან ღრმა რეზერვი აქვს, მაგრამ გადაუკეტეთ სათარეშო ზონა ნოვიცკის და **ჯეისონ ტერი, ჯერი სტექჰაუზი** და **ჯოშ ჰოვარდი** უსისტემოდ სირბილსა და ნაჩქარევი ტყორცნებით პირად-გუნდური მაჩვენებლის გაფუჭებას იწყებენ.

ნელსონმა დირკს ჯერ **ელ ჰარინგტონი** და **სტივენ ჯექსონი**, მეორე მეოთხედში ბიედრინსი და ჯექსონი, მერე და მერე კი **მიკაელ პიეტრუსი** აადევნა. ათლეტური ოპონენტების გარემოცვაში მოქცეულმა გერმანელმა მატჩი ნორმალურად კი დაიწყო, მაგრამ მერე და მერე აურია. ხოლო მესამე მეოთხედში კი მსაჯ **კენ მაუერს** ერთი მაგრად მიაგინა, რისთვისაც რეფერიმ დირკს ეგრევე ტექნიკური მიართვა.

დასავლეთის მოქმედ ჩემპიონებს ლიგის ისტორიაში მე-7 ყველაზე ხანგრძლივი წარმატებული სერია შეუწყდათ.

"მავერიქსმა" 25 იანვარს, ჩიკაგოში წაგების მერე პირველად დატოვა ფიცარნაგი თავდახრილი, რაშიც ძალიან დიდი წვლილი სწორედ ნელსონს მიუძღვის.

"დონმა ჩვენი ყველა მოთამაშე იდეალურად შეისწავლა, დირკი კი სულაც მისი გაზრდილია. დღეს მოედანზე მხოლოდ ერთი გუნდი იყო, რომელმაც მეორეს ყველა სათამაშო კომპონენტში აჯობა. საკუთარ გუნდში ვერავის გავაკრიტიკებ, რადგან ბიჭებისთვის ზედიზედ 17 მატჩის მოგებისთვის მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. ამ სეზონში ასეთი ჩავარდნა ჯერ არ გვქონია და იმედი მაქვს, რეგულარულში მეტს აღარ შევრცხვებით. შეიძლება წავაგოთ კიდეც და, ალბათ, ასეც მოხდება, მაგრამ იმედი მაქვს, ბრძოლაში და ბოლო წუთამდე შერჩენილი მოტივაციით თუ დავმარცხდებით", - ასე შეაფასა მატჩი "დალასის" მთავარმა მწვრთნელმა **ეივერი ჯონსონმა,** რომელსაც ნელსონმა ამ სეზონში უკვე მეორედ მოუგო.

ნელსონს საამმატჩოდ თავისი საუკეთესო სასტარტო ხუთეული ჰყავდა დაყენებული. პერმანენტული ტრავმიანობის გამო, "გოლდენ სტეიტს" ამ სეზონში მხოლოდ მეოთხედ ეყენა პირველ ხუთეულში **ბაირონ დევისი, ჯეისონ რიჩარდსონი**, ელ ჰარინგტონი, სტივენ ჯექსონი და ანდრის ბიედრინსი. "მეომრებმა ოთხივე მატჩი მოიგეს, 66-ე შეხვედრაში 30-ე გამარჯვება ჩაინერეს აქტივში და ასე თუ გააგრძელებენ, რა "კლიპერსი", რის "მინესოტა", ფლეი ოფში სწორედ ნელსონის გუნდი გავა.

შეგახსენებთ, რომ "დალასს" 11 დეკემბრის მერე 40-დან 38 მატჩი მოეგო, ნოვიცკიმ კი "გოლდენ სტეიტთან" 11-დან მხოლოდ 3 ტყორცნა გამოიყენა.

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# უკანასკნელი დონი

...

*"რაღაც არასწორი მოხდა... ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ფლეი ოფის ზონასთან "ორლანდოზე" ახლოს "ბობკეთსი" ყოფილიყო. მათ ჩვენზე მეტი მონდომება ჩააქსოვეს დღევანდელ შეხვედრაში და დამსახურებულადაც მოგვიგეს", -* იტყვის "შარლოტთან" წაგების მერე, "ორლანდოს" ერთ-ერთი ლიდერი **გრანტ ჰილი** (22 წუთი, 8 ქულა, 2 მოხსნა, 2 დაფარება).

"მეჯიქმა" სეზონი ძალიან კარგად დაიწყო და პირველი ორი კვირის შემდეგ აღმოსავლეთში ლიდერობდა კიდეც. მერე და მერე გუნდს ჩავარდნა დაეწყო, რომელიც დღემდე გრძელდება.

ფლორიდელები "ბოსტონისა" და "მემფისის" მერე ლიგის უსუსტეს წარმომადგენელს, ჯერაც **ემეკა ოკაფორის** გარეშე მყოფ "შარლოტსაც" ვერ უგებენ, მასპინძლებმა კი ამ გამარჯვებით რვამატჩიანი წარუმატებელი სერია დაასრულეს.

**ჯერალდ უოლასმა** ოთხივე სამქულიანი გამოიყენა, 42 წუთში ერთადერთი პერსონალური შენიშვნა მიიღო, მისმა გუნდმა კი 14 ზუსტი შორეული გასროლით საკლუბო რეკორდი დაამყარა. ამასთან ერთად, მასპინძლებმა 42 ზუსტ ტყორცნას 39 პასი მოახმარეს, რაც მიმდინარე რეგულარულში ამ ორი კომპონენტის შეფარდებისას ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელია.

"მეჯიქმა" სეზონის 13:4 დაწყების მერე, მომდევნო 48 შეხვედრიდან 32 დათმო და გუნდი, რომელსაც ბევრი აღმოსავლეთის ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნევდა, სადღეისოდ სუსტი კონფერენციის რვა საუკეთესო გუნდშიც კი ვერ შედის.

"ცოცხალი" სროლების შესრულებისას კვლავ ბრწყინვალე იყო **დუაიტ ჰოვარდი** (11-ში 8), მაგრამ მანვე არ უღალატა ტრადიციას და კოშმარულად ისროლა საჯარიმოები (19-ში 10).

ამ სეზონში თავისი საუკეთესო მატჩი ჩაატარა "ბობკეთსის" ცენტრმა **პრიმოჟ ბრეჟეცმა**, რომელსაც 21 მატჩი ავადმყოფობისა და ზურგის ტრავმის გამო გამოეტოვებინა. მან მიმდინარე რეგულარულში 10 და მეტი ქულის დაგროვება მხოლოდ მეშვიდედ შეძლო, მასპინძლებმა კი თამაშიდან სროლების 56 პროცენტი (75-ში 42) გამოიყენეს.

■ ■ ■

ბოლო სამ მატჩში **ლეანდრო ბარბოსამ** მეორედ გააკეთა 32 ქულა, რაც პროგრესირებადი ბრაზილიელის კარიერის რეკორდის გამეორებაა.

მატჩი, სადაც ბევრის მზერა **სტივ ნეშისადმი** და ერთსა და იმავე დრაფტზე აყვანილი **ამარესა** და **იაოსადმი** იყო მიპყრობილი, "სანზის" რეზერვისტმა გაიბრწყინა, რომელმაც 6 სამქულიანიდან 5 ზუსტად შეასრულა.

"ფინიქსმა" საშინაო ხუთმატჩიანი სერია წაუგებლად დაასრულა და ხუთშაბათს, გამთენიისას კვირის მთავარ მატჩში გასვლაზე "მავერიქსს" შეხვდება.

მინმაც და სტაუდმაიერმაც ძალიან ცუდად ითამაშეს. ამარემ 15 სროლიდან 9 გააფუჭა და 5 პერსონალური შენიშვნა მიიღო, იაომ კი 5 შეცდომა დაუშვა და 9 სროლიდან ერთადერთი გამოიყენა.

**ზურაბ თალაკვაძე**

**გ.სტეიტი–დალასი 117:100**

33:33, 31:18, 34:18, 19:31

**გოლდენ სტეიტი:** მ. პიეტრუსი (20 ქ. 6 მ. 2 დ), ჯ. რიჩარდსონი (16 ქ. 8 მ. 7 პ. 4 ჩ), ელ ჰარინგტონი (16 ქ), ს. ჯექსონი (16 ქ. 7 პ. 2 ჩ), ბიედრინსი (16 ქ), ბარნსი (11 ქ), ბ. დევისი (9 ქ. 7 პ).

**დალასი:** ტერი (16 ქ. 4 პ), დ. ჰარისი (16 ქ. 5 პ), ნოვიცკი (13 ქ. 9 მ. 4 პ), ბაკერი (11 ქ), ჯოშ ჰოვარდი (11 ქ), კროშერი (5 ქ. 13 მ).

**შარლოტი–ორლანდო 119:108**

34:27, 28:22, 33:28, 24:31

**შარლოტი:** დ. ანდერსონი (24 ქ. 10 პ. 5 მ), ფელტონი (21 ქ. 7 პ. 2 ჩ. 2 დ), ჯ. უოლასი (20 ქ. 9 პ. 5 მ. 2 ჩ), ბრუჟეცი (17 ქ), მეი (14 ქ. 2 ჩ), მორისონი (11 ქ).

**ორლანდო:** დ. ჰოვარდი (26 ქ. 11 მ. 4 პ. 2 დ), თურკოლუ (23 ქ. 6 მ. 4 პ. 2 ჩ), ნელსონი (17 ქ. 8 მ), არიზა (12 ქ).

**მემფისი–ნიუ ჯერსი 102:113**

21:28, 24:23, 30:36, 27:26

**მემფისი:** გასოლი (19 ქ. 7 მ. 4 დ), ეტკინსი (17 ქ. 6 მ. 5 პ), გეი (17 ქ. 3 დ, კინსი (13 ქ. 3 ჩ), სვიფტი (10 ქ. 10 მ), უორიკი (10 ქ. 8 მ).

**ნიუ ჯერსი:** ვ. კარტერი (30 ქ. 10 მ. 5 პ), მური (24 ქ. 6 მ. 3 ჩ), რ. ჯეფერსონი (18 ქ), ნახბარი (14 ქ), კიდი (8 ქ. 12 პ. 8 მ).

**მილუოკი–ტორონტო 93:108**

24:37, 22:25, 30:24, 17:22

**მილუოკი:** რედი (29 ქ), ჩ. ბელი (25 ქ. 7 მ), მო უილიამსი (18 ქ. 8 მ. 5 პ), პატერსონი (13 ქ. 5 მ. 4 ჩ), ბოგუტი (6 ქ. 8 მ. 8 პ).

**ტორონტო:** ბოში (25 ქ. 10 მ. 5 პ. 2 დ), ტი. ჯეი. ფორდი (19 ქ. 9 პ. 3 ჩ), ბარნიანი (12 ქ. 7 მ), დიქსონი (10 ქ).

**ფინიქსი–აიუსტონი 103:82**

30:20, 22:22, 22:24, 29:16

**ფინიქსი:** ბარბოსა (32 ქ. 8მ. 3 პ), დიაო (15 ქ), მერიონი (14 ქ. 15 მ. 3 დ. 2 ჩ), ა. სტაუდმაიერი (12 ქ. 6 მ), ჯ. ჯოუნსი (11 ქ), ნეში (10 ქ. 8 პ).

**აიუსტონი:** მაკგრედი (19 ქ. 7 მ. 4 პ), ჯუვან ჰოვარდი (14 ქ), ჩ. ჰეიესი (13 ქ. 10 მ. 3 ჩ), ჰედი (12 ქ), მინი (10 ქ. 8 მ).


სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
გესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა გიგილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუგინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით მალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტორა
ლელა ხომასურიძე
ლევან გიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდებერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაძარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936–39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მოსაპარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერეკლე მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14, 0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა, 0159 თბილისი
(დილით, ას. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოლის ყოველდღე. გარდა კვირისა


კვირის მოთამაშეები

# ლებრონ ჯეიმსი

ზედიზედ 12 მატჩის მოგებისა და სტაბილური თამაშის მიუხედავად, ამ კვირამდე ლიგის საუკეთესო მოთამაშედ ერთხელაც არ დასახელებულა "სან ანტონიო სპურსის" წევრი. ნავსი ტეხასელთა არგენტინელმა უნივერსალმა **მანუ ჯინობილიმ** გატეხა, რომელიც დასავლეთის წინა კვირის უძლიერესად აღიარეს.

აღმოსავლეთში იდენტური პატივი წილად ხვდა "კლივლენდის" სუპერვარსკვლავს **ლებრონ ჯეიმსს**, რომელიც ერთ მატჩში საშუალოდ 32.8 ქულას (ლიგაში საუკეთესო მაჩვენებელი) აგროვებდა, "კავალიერსმა" კი ოთხივე მატჩი თავის სასარგებლოდ დაასრულა.

რაც შეეხება მანუს, მისი საშუალო სტატისტიკური მონაგარი ლებრონისაზე მოკრძალებული იყო (20.5 ქულა, 5.0 მოხსნა, 3.5 პასი, 1.35 ჩაჭრა), თუმცა ნუ დაგვავიწყდება, რომ იგი "სპურსის" წევრია, სადაც დესპოტი **გრეგ პოპოვიჩი** ინდივიდუალურ რეკორდებს მაინც და მაინც არ სწყალობს.

**ლებრონის მატჩები**

**5 მარტს "პიუსტონთან"** - 32 ქულითა და 12 მოხსნით ჯეიმსმა თავის გუნდს მეტოქე 91:85 დაამარცხებინა. მის ანგარიშზე ასევე 8 პასი იყო.

**7 მარტს "დეტროიტთან"** - 41 ქულით მან მიმდინარე რეგულარულის პირადი რეკორდი დაამყარა. ჯეიმსმა კიდევ 8 პასი და 7 მოხსნა მოიმკო, "კლივლენდმა" კი მთავარი კონკურენტი დამატებით დროში 101:97 დაამარცხა.

**10 მარტს "მილუოკისთან"** - 32 ქულა, 9 მოხსნა, 8 პასი და 3 ჩაჭრა - "კლივლენდი" 94:92 იგებს.

**11 მარტს "ინდიანასთან"** - ყველაზე მოკრძალებული მაჩვენებელი - 26 ქულა, 7 მოხსნა, 6 პასი და 3 ჩაჭრა. 99:88 "კლივლენდის" სასარგებლოდ.

**ჯინობილის მატჩები**

**5 მარტს "კლიპერსთან"** - მანუმ 16 ქულა, 8 მოხსნა და 4 პასი დააგროვა. "სან ანტონიომ" კალიფორნიაში 88:74 მოიგო.

**6 მარტს "პორტლენდთან"** - 23 ქულა (9 ბოლო ორ წუთში), 4 მოხსნა და 3 პასი. 99:94 "სპურსის" სასარგებლოდ.

**8 მარტს "საკრამენტოსთან"** - თავისი 26 ქულიდან ჯინობილიმ, 12 ბოლო სამ წუთში გააკეთა, რასაც 5 მოხსნა, 4 ჩაჭრა და 3 პასი დაურთო. 100:93 იგებს "სპურსი".

**10 მარტს "ნიუ ჯერსისთან"** - 12 ქულა, 4 პასი, 3 მოხსნა. 93:77.

ლებრონისა და მანუს გარდა, საუკეთესო მოთამაშის ტიტულისთვის იბრძოდნენ **ჯოშ სმიტი** (ატლანტა), **კრის უებერი** (დეტროიტი), **ტრეისი მაკგრეიდი** (ჰიუსტონი), **ედი ჯოუნსი** (მაიამი), **ანდრე იგუოდალა** (ფილადელფია), **დერონ უილიამსი** (იუტა) და **შაკილ ონილი** (მაიამი).



ლებრონ ჯეიმსი



აიზია ტომასი

გახსოვთ, რა პირობა წაუყენა "ნიქსის" ბოსმა **ჯეიმს დოლანმა** რეგულარულის დაწყებამდე **აიზია ტომასს**? ამ უკანასკნელს გუნდის პრეზიდენტისა და მთავარი მწვრთნელის თანამდებობის შესანარჩუნებლად "ნიქსი" ფლეი ოფში უნდა გაეყვანა.

გუნდმა სეზონი ცუდად დაიწყო, მაგრამ დროთა განმავლობაში ყველაფერი დალაგდა და ამ ეტაპზე "მედისონ სკვერ გარდენის" ბინადარი და მიმდინარე რეგულარულში უმაღლესი სახელფასო ფონდის მქონე გუნდი აღმოსავლეთში მერვე ადგილზე იმყოფება, რაც, თავისთავად, (ჯერჯერობით) ფლეი ოფს ნიშნავს.

ჰოდა, დოლანი აღარ დაელოდა სეზონის დასრულებას და მწვრთნელ-მოთამაშეებისთვის დამატებითი მოტივაციის შესაძენად, აიზიას მრავალწლიანი ხელშეკრულება გაუფორმა.

ნიუ იორკ ნიქსი

# კარტ ბლანში აიზია ტომასს

*"თავიდან მეგონა, რომ საბოლოო გადაწყვეტილებას მხოლოდ სეზონის შეჯამებისას მივიღებდი, მაგრამ ბიჭებმა იმდენად თავდადებით ჩაატარეს რეგულარულის სამი მეოთხედი, რომ უფლება არ მაქვს, აიზია ტომასს გაწეული სამუშაო არ დავუფასო. უამრავმა ტრავმამ ხელი შეგვიშალა, თორემ ახლა გაცილებით უკეთესი მაჩვენებელი გვექნებოდა", -* განუცხადა ამერიკელ ჟურნალისტებს სატელეფონო საუბარში დოლანმა.

"ნიუ იორკს" ამ ეტაპზე 29 მოგება, 34 წაგება და გუნდის ბოლოდროინდელი თამაშიდან გამომდინარე, ფლეი ოფის ორნლიანი გვალვის დასრულება საკმაოდ რეალურია. გაითვალისწინეთ ისიც, რომ ტომასმა "ნიქსი" საშინელ მდგომარეობაში ჩაიბარა. შარშანდელი სეზონი **ლარი ბრაუნის** ხელმძღვანელობით აღმოსავლელებმა სამარცხვინო 23 მოგებით ჩაამთავრეს.

როგორც კი გუნდს **დევიდ ლი** (ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მომხსნელი) დაუბრუნდება, "ნიქსი" უფრო შთამბეჭდავად ათამაშდება, მანამდე კი აიზიას, პირველ რიგში, მოტივირებული **სტეფონ მარბერის, სტივ ფრენსისისა** და აღმოსავლეთის ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრის, **ედი კარის** იმედი უნდა ჰქონდეს.